

9 772298 1095006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი



13

პ რილი

1134
2014

ლი ლიქოკალი

ჰვიანე რაშთიანი

ბაქა ყორშია

ხათუნა საბულიანი
ვახო ბუღაძის სერია
„იპოდრომი“

მგინა ბაქრაძე
რემონ კარტიე
საქართველოში



2014/ივლისი
5 (225)

**ფახბურთი და
ლიტერატურა**

სარჩევი

ლიტერატურა და ფეხბურთი

- 1 ქართველ მწერალთა საფეხბურთო ნაკრები
- 4 დათო ქარდავა | თამაში ასფალტის ყანაში ანუ როცა ფეხბურთი იყო ქუჩაში
- 7 ალექსანდრ გენისი | როგორ უნდა ვუყუროთ ფეხბურთს?
- 8 მარტოსული მეკარე
- 11 ალბერ კამიუ | ლამაზი დროება
- 13 "პაზოლინი, მარცხენა ფრთა, მაისური N11"
- 19 ჩარლზ სიმიკი | რატომ ვმარცხდებით?
ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
- 21 ნიკ ჰორნბი | „ამბობენ, რომ ჩემმა წიგნმა საშუალო ფენა ფეხბურთით დაინტერესა. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ.“
ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ
- 24 ჯულიან ბარნსი | „რა ცუდი თამაშია ფეხბურთი“
- 26 დევიდ რანსიმენი | Fergie Time
ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ
- 32 რიშარდ კაპუშცინსკი | საფეხბურთო ომი
პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშიკაშვილმა

პოეზია

- 39 ლია ლიქოკელი
- 45 ზვიად რატიანი
- 50 ბექა ყორშია

ხელოვნება

- 53 ხათუნა ხაბულიანი | ვახო ბულაძის სერია „იპოდრომი“

მოგონება

- 58 მზია ბაქრაძე | რემონ კარტიე საქართველოში

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

Arili

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბელია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბელია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაპაძე მამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დასასვენებელი სინამდვილა

სულხან-საბა

პრილი - მზის შუქი, რამაზე დამდგარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ფურნალი გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით





ქართველ მწერალთა საფეხბურთო ნაკრები

შეადგინეს მალხაზ ხარბელიამ და შადიმან შამანაძემ



1. დავით გურამიშვილი, მეკარე.

თხელი, ათლეტური აღნაგობისაა, მაღალია (იხ. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება), რაც მთავარია, მაღლად მხედია - ეს თვისება სიმალღეზე არანაკლებ მნიშვნელოვანია საჯარიმოში, მეკარის მოედანზე თამაშის დროს - ფლანგებიდან ჩანოდეები-სას, კარიდან გამოსვლისას და ა.შ. (სხვათა შორის, "მაღლადმხედი" გუნდის კაპიტანმა, შოთა რუსთაველმა შეარქვა და შერჩა კიდეც მეტსახელად). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკრაინაშია ნათამაშები და იქაური გამოცდილება ძალიან გამოადგა. გამორჩეულია ვარჯიშისმოყვარეობით, ახალი ტაქტიკური სქემების შესწავლის სურვილით. ვარჯიში უყვარს და თეორიული მეცადინეობებიც. შეკ-

რებებზე არც თავს იზოგავს და არც სიზარმაცეში მხილებულ, სწავლის არამძებნელ თანაგუნდელებს პატიობს რაიმეს.

2. დავით კლდიაშვილი, მარცხენა მცველი

მჩატი და სწრაფი ფეხბურთელი მოულოდნელი გარდევებით და უზუსტესი ჩანოდეებით. დავით კლდიაშვილი საუკეთესოა საჯარიმო დარტყმებისას, განსაკუთრებით საჯარიმოს კუთხეებიდან მისი ჩანოდეებია სახიფათო. როდესაც კლდიაშვილი მიდის შეტევაზე, ფლანგის ნახევარმცველები შიგნით იწევენ, ადგის უთმობენ და ცენტრიდან ეხმარებიან თანაგუნდელს. იგი თავისი ფლანგის ნამდვილი ბატონ-პატრონია.



3. ვაჟა-ფშაველა, ცენტრალური მცველი

ყველაზე ნიჭიერი და მრავალმხრივი ფეხბურთელი, ვისაც კი ოდესმე უთამაშია ჩვენი მისსურთი, მისგან საუკეთესო გამთამაშებელი დადგებოდა, თუმცა თავად დაცვის ცენტრში თამაში ამჯობინა. არ უყვარს ცუდი ხარისხის მინდორზე თამაში, მხოლოდ იდეალურ ბალახზე თამაშობს. მისი პასები საოცარი სიზუსტით გამოირჩევა. არის შორიდან დარტყმების დიდოსტატი. ძალიან სამართლიანი მოთამაშეა, ამის მიუხედავად (ან შეიძლება ამის გამოც), ჩხუბშიც აერეთხელ ჩართულა.

4. ალექსანდრე ყაზბეგი, ცენტრალური მცველი

დაცვის ბურჯი, მოწინააღმდეგის შეტევების ჩამშლელი. ფიზიკურად ძალიან ძლიერი და მოუღალავი. არ ერიდება ორთაბრძოლებს, ერთ გოჯს არ თმობს, ვერ იტანს უხეშობას და ზოგჯერ პირდაპირ ხელჩართულ ჩხუბზე გადადის. ამიტომ პერსონალურად არავის უყენებენ ხოლმე. დიდი რისკია. წითელ-ყვითელი ბარათების გამო, ისედაც ხშირად უწევს თამაშების გამოტოვებას. განსაკუთრებით სახიფათოა მისი თავურები მეტოქის კარის სიახლოვეს - საჯარო ჩანადებების და კუთხურების დროს. გამორჩეული პლასტიკა აქვს. უკან სწრაფად ბრუნდება, სულ ცეკვა-ცეკვით.

5. ოთარ ჭიალაძე, მარჯვენა მცველი

ოთარ ჭიალაძე უნივერსალია, ყველაზე ხშირად მარჯვენა მცველად თამაშობს, მაგრამ საყრდენი ნახევარმცველის და გამთამაშებლის ადგილზეც არაერთხელ გვინახავს. მისი პოეტური გარღვევები დაუვიწყარია. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, თავისი ფლანგიდან მრავალსვლიანი კომბინაცია წამოიწყია, ბოლოს ფლანგიდანვე შეხვალა საჯაროში, იქ დაარჩილი მცველებისთვისაც თავბრუს დაუხვევია და ეფექტური გოლიც გაუტანია. მთავარი ღირსება - გამძლეობა და სიზუსტე. თითქმის ყველა შეტევასა და კონტრშემტევაში მონაწილეობს. ბურთის დაჭრა ციცი და გრძელი პასების (გრძელი წინადადებების) უბადალ ოსტატიც გახლავთ.

6. ნიკოლოზ ბარათაშვილი, მარცხენა ნახევარმცველი

ნამდვილი ფრთის მოთამაშე, ჭეშმარიტი უინგერი. ნიკოლოზ ბარათაშვილი ვიტალი დარასელაია პოეზიაში. მთელი თამაშის მანძილზე სულ მომენტს ელოდება, ძალიან კარგად იხსნება. მისი სისწრაფე, მისი განწირული სულისკვეთება ყოველთვის შიშის ზარს სცემს მოწინააღმდეგეს. მიღების მაღალ ბურთზე არასდროს იბრძვის, ყოველთვის ელოდება მცველის შეცდომას, რათა მაშინვე დაიჭიროს ბურთი, მორიგი შეტევა წამოიწყოს და ეფექტური გოლი დააგვირგვინოს. იგი ყოველთვის არაგვიანია (ბურთზე არასდროს აგვიანებს). თუმცა, თამაშის ბოლოს ხანდახან იღლება და აღმოჩნდება: «ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს... როგორ იქნება არ განისვენოს?»

მწვრთნელი ყოველთვის ხედება ამ მომენტს და სასწრაფოდ ამზადებს ცვლილებას.

7. აკაკი ნერეთელი, მარჯვენა ნახევარმცველი

ხალხში ძალიან პოპულარულია და ფანების მთელი არმია ჰყავს. თუმცა ხშირად სკანდალებშიც ეხვევა (საფეხბურთოშიც და არასაფეხბურთოშიც). ბოლო დრომდე ყოველთვის ძირითადი შემადგენლობის უცვლელი მოთამაშე იყო, თუმცა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ილია ჭავჭავაძემ რამდენჯერმე სპორტული რეჟიმის დარღვევაში დაადანაშაულა და სათანადო სჯიმზე დასვა: ვარჯიშებზე ნახვამი მოდიხარო, ქალებში დაძვრებო, ვაჟა-ფშაველას ტყუილად უხირდებო და როგორც ამბობენ, ბერი სხვა პრეტენზიაც გამოუთქვამს. ქართული გულშემატკივრების მხრიდან ამ ფაქტს არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა: ფანკლებმა გულმხურვალე საპროტესტო აქციები მოაწყვეს (ძირითადად დასავლეთ საქართველოში), ხოლო დედაქალაქის პუბლიკა შედარებით მშვიდად შეხედა მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებას.

8. მიხეილ ჯავახიშვილი, საყრდენი ნახევარმცველი

ასეთი მშრომელი და თავდადებული მოთამაშე იშვიათია. ჯერ კიდევ დამწყებმა ფეხბურთელმა მიმე ტრავმა მიიღო, ამის გამო ძირითად შემადგენლობაში საკმაოდ გვიან მოხდა, თუმცა სულ რამდენიმე წლის მანძილზე უმთავრესი გამარჯვებები მოუტანა ნაკრებს. უნივერსალია, შეუძლია მიმე დაცვაც ითამაშოს და ჩაშალოს ნებისმიერი შეტევა, თუმცა საოცარ გამომგონებლობასაც ავლენს, ასრულებს წარმოსადგენელ რიედებს, კარგად ანაწილებს ბურთს, დრიბლინგში ხან ზანტად, ქართულად უტევს, ათრევს ბურთს, ხანაც დასავლურ-ქართული სიმკვირცხლით. აქვს მარტობაში, დამოუკიდებლად დამუშავებელი სქემები, რომელსაც მწვრთნელის გარეშეც იყენებს ხოლმე თამაშისას, გადამწყვეტ მომენტებში.

9. გალაკტიონ ტაბიძე, თავდამსხმელი

თავდამსხმელი, რომელიც ყველგანაა, უკანაც ჩამოდის, ყველგან იბრძვის ბურთისთვის, არასდროს ელოდება როდის მიუვა ბურთი. აქვს არაჩვეულებრივი ტექნიკა და რაც მთავარია, მოედნის ხედვა. გამორჩეულად სტაბილურია, ყველა სეზონში სხვადასხვანაირია, მუდმივად იბრუნება. მაგალითად, თავიდან უჭირდა თავით თამაში, ბურთის დაჭერაც არ ეხერხებოდა, თუმცა სულ მალე დიდოსტატი გახდა. განსაკუთრებით სახიფათოა აკაკის და გალაკტიონის ტანდემი. აკაკის პასი, როგორც ნეი, ყოველთვის პოულობს გალაკტიონს.

10. შოთა რუსთაველი, ცენტრალური ნახევარმცველი, გამთამაშებელი (გუნდის კაპიტანი)

იგი თავიდანვე ვუნდერკინდი გახლდა. სულ პატარა ბიჭი იყო უმაღლესი ლიგაში რომ ათამაშებდნენ და მაშინდელ "ლომებს" უკვე კატებსაებრ უსწორდებოდა. ჯერ ის რად ღირს, იმ შავბ-



ნელ აუტსაიდერობის საუკუნეებში, მარტომ ზურ-გით რომ ათრია მთელი გუნდი. მოედანზე დღესაც ყველაფერი მის გარშემო ტრიალებს, ყველა ბურთი მისკენ მიდის, ყველა პასი მისგან მოდის. თანაგუნდელები სულ თვალებში უყურებენ, გულშემატკივრები ხომ აღმერთებენ და აღმერთებენ. და ყველა ჯერზე უმოწყალოდ წყდებათ ხოლმე გული, როცა მავანი გადათივლილი ყველა დროის საუკეთესო შროის შოთა რუსთაველს არ ასახელებენ. იგი ნამდვილი ეპიკოსია თამაშისას, იდეალური დრიბლიორია. მის მიერ შეტევის დაწყებიდან დაგვირგვინებამდე შეიძლება მთელი ცხოვრება დაგადგეთ თვალწინ (ან მთელი ქვეყნის ცხოვრება). გარდა ამისა, ძალზე ზუსტია საჯარიმოების დარტყმისას, იცის შესანიშნავი თავურები, სწრაფია, ძალზე მოქნილი, მოულოდნელი გადანყევტილებების დიდოსტატია და საოცრად მიზანმიმართული მებრძოლია.

11. გურამ რჩეულიშვილი, ცენტრალური თავდასხმელი

გურამ რჩეულიშვილი ყველასგან გამორჩეულია. არავის ჰგავს. მისი მთავარი თვისებებია - სისხარტე, ბურთის არაჩვეულებრივი ალღო, სრულიად მოულოდნელი გადანყევტილებების მიღების უნარი. მასთან თამაშისას მცველები ხშირად არღვევენ წესებს, ინიშნება პენალტები, რომელსაც, როგორც ნესი, გუნდის უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ურტყამენ ხოლმე. გურამ რჩეულიშვილი თავდაცვა ფიქსია. ყოფილა შემთხვევები, მეკარისთვისაც გაუგებებინებია ხელიდან ბურთი და გოლი გაუტანია.

მწვრთნელები:

ილია ჭავჭავაძე, მთავარი მწვრთნელი

აღიარებული ტაქტიკოსია, თუმცა იმპროვიზაციის დიდოსტატაცაა, არასდროს ენდობა გათვლებს და ციფრებს. ყველაზე მეტად ენდობა თავის ფეხბურთელებს, და რაც მთავარია, ზუსტად იცის მათი მდგომარეობა მოცემული მომენტისთვის, მისი შეცვლები, როგორც ნესი, ნაყოფიერია.

სულხან-საბა ორბელიანი, მოთამავე მწვრთნელი

მთავარი მწვრთნელის მარჯვენა ხელი. თამაშობდა კლასიკურ ცენტრალურ ნახევარმცველს, თუმცა დაცვაშიც შეუძლია თამაში და შეტევის ხაზშიც. ეს ასაკოვანი ვეტერანი გადამწყვეტ მომენტებში გამოდის მოედანზე, როცა გუნდს ყველაზე მეტად უჭირს. სულხან-საბა სიტყვის და პასების კონაა. იგი სიტყვითაც ამხნევებს თანაგუნდელებს და უზუსტესი პასებითაც ამარაგებს.

სათადარიგოები:

მეკარე

ჭაბუა ამირჯიბი - მისი მთავარი ნიშანია თვისებება და სიამელობა, რეაქცია და რაც მთავარია, გამოკლება. თამაშის ბოლო წუთებზე ორჯერ გოლიც აქვს გატანილი მეტოქის კარში. არის გრძელი პასის დიდოსტატი, არ-

ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მისი პასით გუნდს ბურთი თავდასხმელებს. საუკეთესოა თერთმეტმეტრიანების მოგერიებისას. ერთხელ ილია ჭავჭავაძემ დაბატებით დროშიც გამოიყვანა, სპეციალურად თერთმეტმეტრიანებისთვის.

დაცვა

ნიკო ლორთქიფანიძე - მარჯვენა განაპირა მცველი, მოკლე პასების და კედლის გათამაშების დიდოსტატი, გამორბენის გარეშე, ადვილიდან ურტყამს საჯარიმოებს.

გრიგოლ ორბელიანი - ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ლიბერო. ცხოვრების მანძილზე ბევრ პოზიციაზე ითამაშა. საყრდენ ნახევარმცველადაც უთამაშია და შეტევაშიც.

კონსტანტინე გამასახურია - ყველაზე არტისტული მცველი, გამოირჩევა თამაშის ექსტრავაგანტული მანერით, გრძელი დიაგონალური და გამჭოლი პასებით. მოედანზე, როგორც ნესი, დარბაისლურად დაბინჯებს.

ნახევარდაცვა

ნოდარ დუმბაძე - ფლანგის კლასიკური მოთამაშეა. თამაშის მისეული ხალასი მანერა ყოველთვის განსაკუთრებულ სიხარულს ანიჭებს გულშემატკივარს. ხშირად ანუხებს ტრავმები, თუმცა მოუშუშებელი ტრავმითაც არაერთხელ უთამაშია.

პოლიკარპე კაკაბაძე - ფლანგებზე სწრაფი და ლამაზი გარღვევების სწორუპოვარი სპეციალისტია. ორივე ფეხით თანაბრად თამაშობს, ამიტომ ორივე ფლანგიდან თანაბარი ნარმატებით უტევს. მისი საფირმო ილეუტობია - მკვეთრი მიძრაობით უკან შემოპრუნება და გრძელი პასით ფრთიდან ფრთაზე ბურთის გადატანა, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლა, თამაშის სიუქეტის ჩახლართვა და მონიხანაღმდეგის კარებთან არეულობების შექმნა.

დანიელ ჭონჭაძე - შემტევი ნახევარმცველი. ეს ტფილისელი მეზღაპრე ფინტიების დიდოსტატია, იმდენად კარგად შეუძლია ამბების ხლართვა, რომ ნებისმიერ მცველს დაახნევს. მარტოს არაერთხელ ნამოუწყია მრავალსელიანი კომბინაციები, რომელიც შემდეგ თავადვე დაუგვირგვინებია.

თავდასხმა

გოლა ლეონიძე - მუდამ ნონის პრობლემა აქვს და მწვრთნელს მხოლოდ შეცვლაზე შემოჰყავს, თუმცა თითქმის ყოველთვის გააქვს გოლი (გახსენეთ 1987-88 წლების რამაზ შენგელია). ბევრის აზრით, ფორმა სტალინურმა პრემიებმაც დააკარგვინა.

შოთა ჩანტაძე - კლასიკური 9 ნომერი, ძალიან სწრაფი თავდასხმელი მოულოდნელი გამოხატებით. არასტაბილურია, თუმცა ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო გოლები აქვს გატანილი. მოკლე პასის დიდოსტატი. რამდენჯერღვე დაუფინჯარი გრძელი დრბინგებიც აქვს შესრულებული, რომელიც ეფექტური გოლით დააკარგვინა.

გრიგოლ რობაქიძე - განთქმულია ფინტიებით, ხანდახან აგვიანებს კარში დარტყმას ან საგოლე პასს, თუმცა დამატებით დროში ძალიან ეფექტურია. მწვრთნელს ყველაზე ხშირად მოგების შესანარუნებლად გამოჰყავს ხოლმე.

გუნდის ექიმი: იაკობ გოგებაშვილი.

გუნდის დირექტორი: ნიკო ნიკოლაძე.

გუნდის ფანკლუბის თავმჯდომარეები:
იოანე ზოსიმე და საიათნოვა.



დათო ქარდავა


თამაში ასფალტის ყანაში

ანუ როცა ფეხბურთი იყო ქუჩაში

„ქუჩა ყოველთვის თავისუფლებას გულისხმობს“
ქალაქური სიბრძნე

„თამაშს შეუძლია სილამაზისა და ღვთაებრიობის
ისეთ მწვერვლებს მიაღწიოს, სერიოზულობა რომ ახ-
ლოსაც ვერ გაეკარება“

იოჰან ჰაინცა



ჯერ იყო ბურთი და მერე ყველაფერი სხვა: კეტე-ბი, ბუცები, გამაშები, ნომირიანი მაისურები და თვით სათამაშო მოედანიც კი.

ცხადია, თუ ბურთი გაქვს, გასაჯობებელ ადგილ-საც იპოვი ყველგან, მათ შორის ასფალტის უღაბნო-ში - ქალაქში, სადაც ბალახზე მეტი ადამიანია, სადაც ხეები ვერ იკეთებენ ჩრდილს და უწყლობით დამსკ-ადრ მინას ასფალტის სიმკვარე აქვს, მაგრამ თუ ბურთის მიპყველი, თუ მზეც ცაში ასროლილი ცეცხლოვანი ბურთი გგონია, მაშინ მთელი სიმძაფრით, სისრული-თა და სილაღით შეიგნებო სიცოცხლეს და სათამა-შოდ შერჩეული ნებისმიერი ადგილი ეზოში, გარაუქვს შორის თუ მიტოვებული შენობის დერეფანში, პატა-რა თაზისად გექცევა: აღარც სიცხე შეგანუხებს და აღარც - უწყლობა...

პირველი მოჯადოება ბურთიდან იწყება, მისი შე-კუმშული სიმრგვალიდან, მისი გეომეტრიიდან, რო-მელიც უფრო მეტად სახალისო და თვალსაჩინოა, ვიდრე კოლმეგროვის რედაქციით შედგენილი სკო-ლის სახელმძღვანელო თავისი აქსიომებით, დამუე-ბებით, ლიმბებითა და თეორემებით, თუმცა ჩვენი ბავ-შუობის პირველი ტყავის სფერო - დუბუბუ (ტერმ. ბურთი, სფერო, ბირთვი) ვერ გამოირჩეოდა იმგვარი იდეალური ფორმით, როგორც ალაფრთვანებდა არქიმედესა და არისტოტელეს, რადგანაც კამერის ჩაბებისა და გაბერვის შემდეგ, ერთ-ერთ პანელზე დატანებული ჭრილი (ე.წ. „პიპკანი“ ნინაპარი) ზონა-რით უნდა შეგეკრა, კამერის გადაკეცილი ყელი და ზონარის კვანძი კი უხეშად არღვევდა ბურთის ზედა-პირის სიგულეკსა და ერთგვაროვნებას, რაც კვალს ამჩნევდა როგორც ბურთის მოძრაობის ტრაექტო-რიას, ასევე მოთამაშის გვარიანად შენითლულ შუბ-ლსაც.

სულ სხვა იყო „პიპკანი“, ნემსით გასაბერი 9 და 11-მანეთიანი ბურთები, სამ-სამად ჩანყობილი მარ-თუთხან ტყავის პანელებით, რომლებიც ხან ჭრელი, ხანც სრულად წითელი, ყვითელი ანდა თეთრი იყო, მაგრამ, ცოცხა გამხელოლი სჯობს და, გერცერით მათგანი ახლოსაც ვერ მივიდოდა ისეთ სრულყოფი-ლებასთან, როგორც ადღასას ე.წ. კოპლებიანი, 25-მანეთიანი ბურთი იყო: თეთრი ექვსკუთხედების (ჰექ-საგონების) ალაყაში მოქცეული შავი ხუთკუთხედები (პენტაგონები) პროპორციით 5/3-ზე, ანუ 20 ექვს-კუთხედი 12 ხუთკუთხედი ნინააღმდეგ, თუმცა, რო-გორც ჩანს, მხოლოდ გეომეტრიამი კი არა, „ტყავის“ ხარისხშიც იყო განსხვავება: მიძიმე, კოპლებიანი ბურ-თი იღდხანს არ იხედა და ფორმა-ზომასაც ძნელად იცვლიდა. მომრუსხველი იყო მისი სიმკვრივე, დრეკა-დობა და დაჭიმულობა, რომლის ერთგვაროვნება რი-დვეოდა მხოლოდ გადაბმის ხაზების ოდნავ შესამჩ-ნევ სიღრმეებში, სადაც ზემკერივი ძაფის ხაზები ჩა-კერდულიყო...

სწორედ ასეთი ბურთი იყო იმ სამყაროს გრავი-ტაციის ცენტრი, რომელსაც ჭუჩის ფეხბურთი ერქ-ვა! სწორედ ასეთი ბურთის მიზიდულობა და ერთმა-ნეთში არეული ტყავისა და საღებავის მათორებლა სურნელი ქმნიდა დღესასწაულს, რომელიც გვეგონა, რომ არასოდეს დასრულდებოდა. ბურთის გამოდევ-ნებულ ადამიანისთვის კაცობრიობა ხომ ორი ნაწი-ლისგან შედგება! პირველი - ისინი, ვინც ფეხბურთის თამაშობენ და მეორე - ისინი, ვინც ფეხბურთს უყუ-რებენ! ან ფეხი გაგრიბის, ან - თვალი, აბა, სხვანაი-

რად როგორ?

თუმცა იმ სამყაროში სულ იყვნენ ისეთი კაცები, რომლებიც ტერიტორიებს საზღვრავდნენ და საზღვ-რის დარღვევის გამო პატარა ბიჭებს ბურთებს უჭ-რიდნენ. ამ კაცებს სულ შეეძლო პაუზაობები ეცვათ და სულ შემად უხასიათოდ ახალგაღვიძებულები იყე-ნენ. ამასთან, აუცილებელი არ იყო ფანჯარა ჩაგმს-ხვრია ან ავტომობილის სარკე გაგეტეხა. მთავარი სხვა ვნება იყო: ვერ იტანდნენ თამაშს, სიცოცხლის ზემის და სერიოზულობის სამსხვერპლოზე კვად-ნენ ბურთს, რომლის სულისგან დაცლილ სეკულს, ისეთსავე უსახარო, როგორც მანანაის ქუდი შე-იძლება იყოს, მისხვედნენც უზის ბიჭები. ძველი და-დეების ნაშთად მოჩანდა პირდაპირი ტყავიანი კარ-გული წითელი ან ყვითელი კამერა, რომელიც რამდე-ნიმეწათიანი გლოვის შემდეგ, „რავატის“ მასალად იჭრებოდა... დაინახე კი იდეა და იმუქრებოდა: ბურთი რაა, თავებს დაგაჭრით, თუ თამაშს არ შეწყ-ვეთ და აქედან არ გადაიკარგებითო... მაგრამ ამ კ-ცებს, მრისხანებისა და მეწაღის დანის ტრიალის მი-უხედავად, არსებითად არაფერი შეეძლოთ. როგორც ერთმა ჭკვიანმა კაცმა თქვა, თამაშის უარყოფა შე-უძლებელიაო. ადამიანს შეუძლია ყოველგვარ ასტრ-ანქციანზე თქვას უარი: სამართაობა, სილამაზეზე, ჭემშარიტებაზე, სიკეთეზე, გონზე, ღმერთზე, მაგ-რამ თამაშზე კი - არაო!

ცხადია, ბურთის გორების, თამაშის იდეას დაწით ვერ მოკლავ, ამ სამყაროს სულ სხვა მტერი ჰყავს - სერიოზულობა, რომელიც ასაკთან ერთად ემატება ადამიანს, მაგრამ კიდევ უფრო უარესია, როცა პატა-რა ბიჭებს თავს მოახვევენ დიდების სამყაროსთვის დამახასიათებელ ქცევასა და საფუქრალს!

წიგნებში ამოგვიკითხავს, რომ თამაში (თავისი მოგება-წაგებით), სიმბოლურად, სიკვდილ-სიცოცხ-ლის ამბავია. კაცობრიობას ჰქონდა ემოქა, რომელ-შიც სპორტი საკრაილზეული იყო და რელიგიური კულტის ნაწილად მიიჩნეოდა. ათასობით წელი დას-ჭირდა სპორტის გათავისუფლება-განჯადოებას. თა-ნამედროვე სამყაროში სპორტულ მეჯობში დამარ-ცხება გაიგივებულია რიტუალური მსხვერპლშენი-რის მხოლოდ სიმბოლურ ჩანაცვლებასთან. ამიტო-მაც არის, რომ ამდარცხებელი გუნდის ქობა ისე იქცევა, როგორც დანაკარგით განადგურებული ქო-რისი უფულობა. ცხადია, ნაგება ყოველთვის სამწუხაროა და იმ სამყაროშიც გულსატკენი იყო, რომელიც მე-რის ფეხბურთის სახით ჩვენს ბავშვობაში დარჩა, მა-გრამ ეს, როგორც იტყვიან, სულ სხვა ტკივილი იყო - პერსონალური, სხვას რომ არ ეკითხებოდა ისეთი აქ, სერიოზული სამყაროში კი, ამ ტკივილს ერთი ათად აძლიერებს გარე ფაქტორები...

ჩვენ ვუმღერო სამყაროს, რომელიც თავისუფა-ლია გამარჯვებამწყურებელი სასტიკი ვულკანმატ-კიკირის, ყოველსემძლე მწერტინელის, უსამარლო მსაჯისა და ყოველგვარი მატერიალური სარგებლის-გან!

ვუმღერო სამყაროს, რომელიც თამაში, ბურთის გაგორება ყველაფერი - აღფაც და ომეგაც და ამ სამყაროს ჭუჩის ფეხბურთი ჰქვია. ეს არის სამყარო, სადაც არც ვარჯიში არსებობს იმ ვაკებთი, როგორა-დაც „სერიოზულ ძიებს“ ესმით; კრისს, აქქარება, სა-ერთო ფიზიკური მომზადება და ასე შემდეგ. აქ თვი-თონ თამაშია ვარჯიში! უფრო ზუსტად, ყოველი თა-

მაში თავად არის ვარჯიში და მზადება მომდევნო თამაშისთვის! ყოველი თამაში ხომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფალი მოქმედებაა. ნაბრძანები თამაში თამაში აღარაა!

...და კიდევ, ამ სამყაროში მსაჯის გარეშე უფრო სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღება. საჯარიმო დარტყმა, კუთხური თუ პენალტი მხოლოდ იმ შემთხვევაში ინიშნება, თუკი ორივე გუნდის წევრები შეთანხმდებიან. პატარა მოთამაშეებმა იციან, რომ თამაშის წესების დარღვევითა და უსამართლობით თვით თამაშის სამყარო დაინგრევა. თუ ერთხელ იჭიჭყლებ (შეუვალად უსამართლო და მიკერძოებული იქნები), შეიძლება გეპატიოს კიდევ, მაგრამ თამაშის სისტემატური ჩაშლის შემთხვევაში, აღარ გათამაშებენ, არჩევან-არადნის დროს, უარს იტყვიან შენზე!

ვარსკვლავობასა და ფულის შოვნაზე ოცნებაც დიდებია, ანუ სერიოზული სამყაროს ნაწილია!

ქუჩაში მოთამაშე ბიჭი, რომელიც 10 ნომერს იწერს ზურგზე, კემპისის, ყიფიანის, ზიდანის, პლატინისა და მარადონას ფინტებსა და მოხერხებულობაზე ოცნებობს და აზრად არ მოსდის დიდი ფეხბურთელების ფულების თვლა!

დიდების სამყაროში პირიქითაა: მუქთად „აუტჩიკობსაც“ აღარ მოაქვთ ბურთები!

ასფალტის უდაბნოში მობურთავე ბიჭს დედა დასდევდა, უშლიდა თამაშს, დროისა და ჯანმრთელობის ფლანგვად მიაჩნდა. ეს უფრო ბუნებრივი იყო, ვიდრე ახლანდელი დედების ქცევა, ვარჯიშზე პირსახოცებით რომ დაპყვებიან შვილებს, ვიტამინებითაც რომ ამარაგებენ და ტრენერის (დინამოს დუბლების გააცხადში ორჯერ რომ მოხვედრილა, მაგრამ მენისკის გამო რომ დაუწვებია თავი თამაშისთვის) კეთილგანწყობაზეც ზრუნავენ, თუმცა საკმარისია ეჭვი შეეპაროთ შვილების ვარსკვლავურ მომავალში, ჩათვალონ, რომ მათი 12 წლის ბიჭისგან, რაც უნდა ფული ხარჯონ, არც ზიანი გამოვა, არც პეკე და არც მესი, რომ უყოყმანოდ, არც დაფიქრდებიან, ისე დაუჭრიან ბურთს!

პატარა ბიჭებისთვისაც კი ფეხბურთი აღარ არის თამაში ამ სიტყვის ყველაზე ტრადიციული გაგებით! შეიძლება უფრო ძლიერად ურტყამდნენ ან უფრო სწრაფად დარბოდნენ, ვიდრე ქუჩაში მობურთავე მათ თანატოლები ოცი და მეტი წლის წინ, მაგრამ აღარ

აქვთ უმთავრესი - თავისუფლება, სპონტანობა და უზრუნველობა, რასაც ჯამში თამაშის განწყობა ჰქვია! არადა, დიდი ფეხბურთელიც ის არის, ვინც სკალტებით, მწვრთნელებით, გუნდის მფლობელებით, სათამაშო სქემებითა და ფსონების მონაგარიშე ხალხით დაბინძურებულ გარემოშიც არ კარგავს თვითმყოფლობას და, ვისაც ტექნიკური ორგანიზაციის, მატერიალური აღჭურვილობისა და მეცნიერული გააზრებულობის მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს თამაშობრივი განწყობა და თამაშის დროს ბავშვად გადაქცევა შეუძლია!


„ნუ მოკლავ ბავშვს!“ - ეს უნდა იყოს საფეხბურთო სამყაროს უმთავრესი პრინციპი, რომელიც თამაშს დაბრუნებს სტადიონებზე, დააბრუნებს შთაგონებას, გულწრფელობას, ალტაცებას, სიხარულსა და გმირობას!

აკი, ფეხბურთის მშობელი ცივილიზაციის, მაიას ტომთა ლეგენდებზე ამტკიცებენ, რომ ბურთის გაგორებაში ბადალი არ ჰყავდათ ბავშვებს და, რომ არა ბავშვები, სამყარო ვერ იქნებოდა ისეთი, როგორიც არისო.

ერთ-ერთი მითის თანახმად, ფეხბურთის თამაშის საბაბი გამხდარა ტყუპი ძმების სურვილი, შევიბრძოთ გამოენჯიათ მინისქვეშა ღმერთები, მაგრამ ძმები დამარცხდნენ და მოუწიათ სიცოცხლის სახით საფასურის გადახდა.

მაიას მითოლოგია გვეუბნება, რომ ღმერთებმა ერთ-ერთი ძმის თავი ხის ტოტზე დაკიდეს, მაგრამ მოხდა ისე, რომ ხეზე იმყოფებოდა ნორჩი ქალწული, რომელიც დაფეხმძიმდა ბავშვებიდან ამოფრქვეული თესლით. შედეგად, იშვინ ბავშვები, რომლებმაც ხელახლა გამოიწვიეს მინისქვეშა ღმერთები ფეხბურთის მოედანზე. ამჯერად ბავშვებმა გაიმარჯვეს, ტყუპი ძმების მოკვითილი თავები კი ხეცად ამაღლდნენ და იქცნენ მზედ და მთვარედ!

სამყაროს ამ მოდელში, სადაც ბურთის სათამაშო მოედანი გაიგივებულია ცასთან, მოთამაშე ბიჭების გარეშე ჰარმონია ვერ იქნება შესაბამისად, ვერც მზე და მთვარე იბრწყინებენ სტადიონების თავზე და, ვერც მინისქვეშა ღმერთები დამარცხდებიან ადამიანებთან ყიდილში. ჰოდა, ნუ ვატყენთ ამ ბიჭებს გულელებს და ნუ დაეუჭრით ბურთებს, ვაცადოთ ბავშვობა, ვაცადოთ თამაში!





ალექსანდრ გენისი

როგორ უნდა მკურნოთ ფეხბურთს?

ყველაზე საღად მოაზროვნე გერმანელი რომანტიკოსის, ჰაინრიხ კლისტიის ერთ უცნაურ ესეში უძველესი მორფოლოგიკული აღწერის თაობაზეა აღწერილი, რომელიც დათვითაა.

- დათვა ის არ მაქმარა, - ამბობს რაპირის ოსტატი, - რომ ჩემი ყველა დარტყმა მოიგერიო. ცრუიერიშებზე, უბრალოდ, არ რეაგირებდა: თვალბში ისე ჩამშტერებოდა, თითქმის ჩემს სულს გაწვევებდა. თათი დასარტყმელად აენია და ცრუშტეტების საპასუხოდ არც კი ირხეოდა.

- ამკარაა, - განმარტავს ამ ორთაბრძოლას კლისტი, - რომ რაც უფრო ბუნდოვანი და სუსტია გონი ორგანულ სამყაროში, მით უფრო ბრწყინვალედ და მძლავრად იქნის მასში თავს გრაცია.

ამ ესეში აღწერილი დუელი მკაფიოდ განმარტავს იმას, რასაც ვერ ვხვდებოდა კლისტი. ესაა სამურაბის სამრძოლო ხელოვნება. მათში ყოველთვის იმარტვებდა ის, ვისაც "მუ-შინს", ანუ "ცნობიერების გათიშვის" უნარი ჰქონდა. გონების კონტროლისგან განთავისუფლებული მებრძოლი ისე ადევნებდა ხოლმე თავის მოვლენებს, რომ არაფერზე ამახვილებდა ყურადღებას (როგორც ფოთოლს ვუყურებთ, ხეს ვერ ვხვდებით ხოლმე). სამურაბი განვრთნილი სხეულის იმედად იყო და თავს აიძულებდა, დაეწყინებინა შესწავილი ილითები. მხოლოდ მაშინ ესხმოდა თავს მონინააღმდეგვს, როდესაც ბუნებრივად არამორგებოდა და დაეცა, რაც ორივე მხარისთვის მოულოდნელი იყო.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მარცხი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს, არ უნდა დავეყრდნობი შედარებით ახალ შენაგებს - გონს. სხეული გონზე უფრო არქაულია, და, მამასადამე, უფრო ბრძენიც. ამიტომ ხომ არ ხდება, რომ მოსწავლეებს შორის გოლები ყველაზე ხშირად ოროსნებს გააქეთ? ყოველ შემთხვევაში, ჩვენი საუკეთესო ფორვარი 10 წლის განმავლობაში ჩემგან იწერდა თხზულებებს. სიტყვამ მოიტანა და, მისი გვარი მემდევნივ გახლდათ.

თვით მე ვზოს ფეხბურთშიც კი ვერ გამოვიჩინე თავი და მთელი სიცოცხლის მანძილზე ვუფლებდი მისი ყურების ხელოვნებას. ფეხბურთის ნესების უდიდესი სიმარტყე მეტყველებს ამ თამაშის სრულყოფილებაზე. ისევე, როგორც სექსში ან ჭადრაკში, აქ ვერაფერს გამოიგონებ და, მით უფრო, ვერც გააუმჯობესებ - ვერ ამოწურავთ იმას, რაც უკვე არსებობს. ამასთან, ფეხბურთის სრულ თავდავიწყებამდე მივყავართ. ის მთლიანად გამოვითქვამს ხოლმე ცხოვრებიდან და სწორედ ამის გამო ვგმადლიერებთ მას. ფეხბურთით მხოლოდ მაშინ ვტკბებით, როდესაც ისე ვადევნებთ თვალყურს

მთაბამეებს, როგორც დამშული კატა - ბელურას. სხეულის ყველა კუნთი გვეძაბება. ფეხბურთი ხომ ისევე უწყვეტია, როგორც - დრო. სიტუაცია აქ მაქსიმალურად ნაგავს საბრძოლოს - ხანგრძლივი ლოდინი, რომელიც აფუთქებას მოასწავებს. ის, რაც მოედნის ცენტრში ხდება, პოზიციურ ომს ნაგავს. უსასრულო შრომა, ღრმავროვანი მწვრთნელი და მომბეზრებელი შეუპოვრობა გადამწყვეტ უპირატესობებს ვერ უზრუნველყოფს. მთაბამეებისა და პასებისგან შედეგინილი რთული კონფიგურაციებით მინავ ყინვის შედეგად აღბეჭდილი ნახაზებზე უფრო ეფემერულია - მთი ნამშლაც არაა ძნელი.

და მაინც, ჩვენ, მკურნელები, დაყინებით ვადვენებთ თვალს ტაქტიკურ ნახაზს, რადგან ვიცით, რომ შეუპოვრობა - გამარტვების აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი პირობაა. ამასთან, თამაში ზოგჯერ იმდენად ღრმად გტაცებს, რომ მისი დასასრულის ნინაგრძობა გიჩნდება. ისტერიკულად დაყინებული შერის ზეგავლენით რეალობა იმდენად მკვირვდება, რომ მომავლის ყლორტები აწმყოში ამოძვრება ხოლმე. მათ თრთოლას გრძობა და ჩურჩულთ: "ახლა გოლს გაიტყვობ", თანაც იმედოვნებ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მენი ნინასწარმეტყველება ახდება. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად და ყოველთვის უდროო დროს ხდება. ფეხბურთის იდუმალება ისაა, რომ თამაშსა და გოლს შორის მიზეზშედეგობრივი მიმართება არ არსებობს. კაუზალური კავშირი აქ იმდენად ღრმადაა მიჩქმალული, რომ მას, ისევე, როგორც სიცვარულს, ვერც დაინახავ, ვერც ჩასწვდები და ვერც გაითვლი. რა თქმა უნდა, გოლი მოვლენათა შუაგულში იბადება, მაგრამ ისევე განსხვავდება მათგან, როგორც სპერმატოზოიდი - ადამიანისგან.

ფეხბურთის არანრფივი არსი - მისი არსებობის პირობაა. იმ მიღწევათგან განსხვავებით, რომელთაც მეტრები და ნამები განასაზღვრავს. ფეხბურთისთვის უცხოა თანაზომიერება და თანამიმდევროლობა. გოლი შეიძლება თამაშის გაგრძელება იყოს, მაგრამ შეიძლება გადახაზოს მთელი თამაშიც. ფეხბურთი, რომელიც ცხოვრებასავით უსამართლოა, მასზე უფრო ლოკური როდია. ზოგჯერ მარცხდება ისინი, ვინც ისინი, როგორც უნდა ითამაშოს; უფრო ხშირად იგებენ იმის, ვისაც ეს ცოდნა დაიწყებულა აქვს. როგორც ვთქვი, ფეხბურთი გააზრების საშუალებას არ გაძლევს - აქ თავით კი არ თამაშობენ, არამედ - ურტყამენ (სასურველია, კარისკენ). ინტელექტის უგულვებლყოფისა და აზროვნების აღკვეთის მემშობით ფეხბურთი ამიშვლებს თავის არსს: ის სხვა არაფერია, თუ არა ინსტინქტების თანაში. ბურთის ბადეში ახვედრებს მხოლოდ ის, ვინც უფრო მეტად ენდობა ინსტინქტებს, ვიდრე - საკუთარ თავს. ფეხბურთი არამორგებოდა და სწორედ ამამა მისი მშენიერება. ამ ეპოქაში, როდესაც სინთეტური ემოციების სიხვეზე მხოლოდ ამაფრებს სენსორულ შიმშილს, ჩვენ უსასრულო მადლიერებას ვანიჭებთ ფეხბურთის მიმართ ჯადოსნური, თითქმის მომაკვდინებლად მძაფრი და მარცხსული განცდების გამო, რაც ერთი თვის განმავლობაში გრძელდება.

ალექსანდრ გენისი - ნიუ-იორკელი მწერალი და პუბლიცისტი, ავტორი და ნამყვანი პროგრამისა "ამერიკული სახით: ბავიერთა მიღმა". ტექსტი გამოქვეყნდა რადიო "თავისუფლების" რუსული რედაქციის საიტზე (svoboda.org), 2014 წლის 12 ივნისს.

მარტოსული მეკარე



“თუკი რამ ზნეობა გამაჩნია, საფეხბურთო მოედანზე ვისწავლე”. ეს ფრაზა არც მიშელ პლატინის ეკუთვნის და არც კრიშტიანუ რონალდუს. ამ სიტყვების ავტორი მეოცე საუკუნის დიდი მოაზროვნე, ფეხბურთზე უსაზღვროდ შეყვარებული, ნობელის პრემიის ლაურეატი, ფრანგი მწერალი, ალბერ კამიუა. თავის დროზე კამიუს ამ ნათქვამმა სპორტული ჟურნალისტების დიდი სიხარული გამოიწვია. თუმცაღა, რა თქმა უნდა, ერთი წინადადება სრულად მაინც ვერ გადმოსცემდა მწერლის დამოკიდებულებას ფეხბურთთან. მით უმეტეს, რომ ეს იყო ამონარიდი მისი საუბრიდან, რომლის სრული ვერსია შემდეგნაირად ჟღერს: “თუკი რამ ზნეობა გამაჩნია, საფეხბურთო მოედანზე და თეატრის სცენაზე ვისწავლე. ორივე მათგანი ჩემთვის ცხოვრების ნამდვილ უნივერსიტეტად დარჩა”.

ფეხბურთი და თეატრი, ორი სცენა! კამიუსთვის, ისევე როგორც პიერ პაოლო პაზოლინისთვის, ორივე ის ადგილია, სადაც ადამიანი მარტოსულად და იმავდროულად სოლიდარულად გრძობს თავს. როგორც კამიუს შემოქმედების სპეციალისტი, ჟოზე ლანზინი, აღნიშნავს, ალბერ კამიუს ცხოვრებაში ამ ორი ფენომენის თანაარსებობას

სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამის ყველაზე ნათელი დადასტურება 1953 წლის 23 ოქტომბერს პარიზში, პარკ დე პრენსის სტადიონზე გამართული მატჩია, სადაც ერთმანეთს პარიზის რასინგ კლუბი და მონაკოს გუნდი დაუპირისპირდა. ამ მატჩს პარიზის “ნაღები საზოგადოება” ესწრებოდა, ამიტომ მას ჟურნალისტების მთელი არმია აშუქებდა. მოულოდნელად, მონინალმდევე გუნდის მოთამაშემ მარტომ გააარღვია მოედნის ცენტრი და უძლიერესი დარტყმით ბურთი ფრანგების მეკარის ბადეში გაახვია. სწორედ ამ დროს კამერა ნელა დაეშვა და 35 000 მაყურებლიდან მხოლოდ ერთი გამოარჩია. ეს გულანთებული გულშემატიკვარი ლაბადასა და პალსტუხში გამოჩნობილი, დიდი განცდებისგან უკვე ფეხზე წამოშტარი, 44 წლის, ცოტა ხნის წინ ნობელის პრემიით დაჯილდოებული, ალბერ კამიუ იყო.

მწერლისთვის კარგად იყო ნაცნობი მეკარის “უბედურება”, ის თვითონაც არაერთხელ ყოფილა მსგავს სიტუაციაში, ამიტომ მეკარე თანაგრძნობით დაიცვა: “არ უნდა უსაყვედუროთ. როცა ორ ძელს შორის აღმოჩნდები, მხოლოდ მაშინ მიხვდები, რომ ყველაფერი ძალიან რთულია”. დიდე-



ბის შარადნდევით შემოსილმა ახალმა ეროვნულ-მა გმირმა იცოდა, რაზეც ლაპარაკობდა და თითქოს იმიტომ, რომ თავისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა, დასძინა: "მე აღყირის რასინგ უნივერსიტერის სტუდენტი ვიყავი".

როგორ შეიძლება აიხსნას მეკარის დიდოსტატების ასეთი დიდი გატაცება სპორტის ამ ერთი შეხედვით ბარბაროსული და ძველმოდური სახეობით? ეს ხომ არც ჩოგბურთია და არც ცხენოსნობა! რატომ არიან მწერლები ფეხბურთზე ასე შეყვარებულები? ნუთუ ოცდაორი ვადრეული ადამიანის ლამაზ მინდორზე თავდაყენებით ბურთის დენვანა ამის მიზეზი არა, რა თქმა უნდა. მიზეზი სხვაგან იმალება. ფეხბურთი ცხოვრების ფილოსოფიაა და ბედისწერა მის შედეგებზე ვადამწყვეტ როლს თამაშობს. ეს იმედის, სოლიდარობის, შეუპოვრობის და მიტევების დიდი სკოლაა. ინტელექტუალისთვის, მწერლისთვის, ფეხბურთი ემოციების დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს, მსახიობისთვის კი მატჩი ბაროკოს ეპოქის პოეტური სექტეკალია. როცა მწერალი ფეხბურთის თამაშობს, მისი გული და გონება მხოლოდ ერთი რამითაა დაკავებული. მას ყოველგვარი ამქვეყნიური საზრუნავი ავიწყდება და ნოსტალგია ეძალება. თვით მამაკაცური ძლიერი მანყისიც ვადრეებით უკანა პლანზე გადადის და მინდორზე ვასულს თავი ბავშვი ჰგონია. იგი ის პატარა ბიჭია, რომელიც საკუთარ ეზოში ან სკოლის სპორტულ მოედანზე გაიჭანრებული დასდევს ბურთის და თუ გოლიც ვაიხრება, მაშინ ხომ მის სიხარულს საზღვარი არ აქვს. მაგრამ არ დაგვავინწყდეს, ის უკვე ზრდასრული მამაკაცია და მოზარდებით ველარ დარბის; მალევე იღლება და ცოტა ხნით ჩრდდება. აი, სწორედ აქ უბრუნდება რეალობის და იხევე უცაბედად ეშვება მინაზე, როგორ ელვისუსწრაფსადაც ღრუბლებში აიჭრა. მამ, რა ვამოდის, რა უხაროდა? რა იყო მისი ამგვარი აღტყინების და სიხარულის მიზეზი ან რა აღარ მოსწონდა? რეალობასთან დაბრუნება; ზუსტად ეს არ უნდა; მას ვაქცევა მოსწონს, რადგან კამიუს "უცხოოს" გმირის, მერსოსი არ იყოს, ამ ქვეყანაში თავს უცხოედ გრძნობს და თუნდაც რამდენიმე ნუთით, მაგრამ მაინც, წარმოსახვით სამყაროში ყოფნა ურჩევნია.

ალბერ კამიუს ეს ოცნებაც, ეს ვაქცევაც არ შეეძლო. მას უფლება არ ჰქონდა ბავშვობას ცოტა ხნით მაინც დაბრუნებოდა, რადგან ვერცა ავადმყოფობამ და ექიმების დაყინებულმა მოთხოვნამ აიძულა, ფეხბურთის თამაშისთვის თავი დაენებებინა. თუმცა ამახ ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ საკუთარი გუნდის და საერთოდ, ფეხბურთის დიდ ქომაგად დარჩენილიყო.

ფეხბურთის თამაში ალბერ კამიუმ, როგორც ფეხბურთზე შეყვარებულმა ბევრმა სხვა მწერალმა, ბავშვობიდან დაიწყო. მაშინ, როცა ალჟირში, ღარიბი ევროპელებით დასახლებულ კვარტალში, ბელკურში ვადავიდნენ საცხოვრებლად. ალბერისთვისაც, ისევე როგორც ბევრი მისი თანატოლისთვის, ფეხბურთით ვატაცება სკოლის ეზოში თამაში იყო. მშობლიური სკოლის ეზო მისთვის ყველაზე მიმზიდველ მოედანს წარმოადგენდა. ალბერ

რი იქ ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში.

ქვემარტივ საფეხბურთო კარიერა კი მამონ შედგა, როცა ალბერ კამიუ მონპასიეს სპორტული ასოციაციის ფეხბურთის გუნდის მეკარე ოფიციალურად ვახდა; თუმცა ერთი წლის შემდეგ, 1929 წელს, კამიუმ ოცნება აიხინდა და ალჟირის საფეხბურთო კლუბის, რასინგ უნივერსიტერის კარის ღირსების დამცველი ვახდა. ალბერს არასოდეს სდომებია კარში მდგარიყო. პირიქით, ის აქტიური მოქმედებაზე, მოედნის დალაშქვრანზე ოცნებობდა, მაგრამ მის ამ ჩუმ ნატვრას ახდენა არ ეწერა; არა იმიტომ, რომ თამაში არ შეეძლო, არამედ იმიტომ, რომ ამ ყველაფერს ძალიან პრავამტული, ყოფითი მიზეზი ჰქონდა: ფეხბურთის კარი მინდორზე ის ადგილი იყო, სადაც ბუცებს ძალა არ ადგებოდა და ამის გამო ყველაზე დიდხანს ინარჩუნებდა პენს, უბრალოდ მალე არ იცვითებოდა. ალბერს არასოდეს ჰქონია იმის ვფრუვნება, რომ ახალი ბუცები ეყიდა. სახლში მისულს კი ბეზია ყოველ საღამოს საგულდაგულოდ უთვალეირებდა ფეხსაცმელს და, თუ საჭირო ვახდებოდა, თვითონვე იყო შეღებვის მენაღე და ხელში ნემს- და ძაფომარჯვებული გულმოდგინედ ეკრავდა მის დახეულ სპორტულ ფეხსაცმელს, რათა მეორე დღეს ბიჭს თამაში შესძლებოდა. იმ ცოტა ხნის მანძილზეც კი, როცა კამიუ თავისი სათაყვანებელი გუნდის მეკარე იყო, ალბერმა როგორც თვითონ ამბობს, ბევრი რამ ისწავლა. სწორედ მამონ შექმნილი ვამოცდილება ვახდა მისი ცხოვრების თანამდევნი და ვანუყოფელი ნაწილი. ალბერმა მოგებაც ისწავლა და ნაგებაც. მას აღარც მოგებული მატჩის შემდეგ მიიჩნდა თავი მამაღმერთად და აღარც ნაგებულ თამაშს აღიქვამდა სამყაროს დასასრულად. ვუნდურად თამაშმა ალბერი ცხოვრების ბევრ საიდუმლოს აზიარა და ადამიანური ბუნების ყველაზე დაფარული ადგილები დაანახა, რამაც მოგვიანებით მის შემოქმედებაშიც ჰპოვა ასახვა.

ახალგაზრდა ალბერისთვის ალჟირის რასინგ უნივერსიტერში თამაში ღირსების საქმე იყო. კამიუს ერთ-ერთი მეგობარი, ალჟირელი მწერალი, ემანუელ რობლესი ალჟირის რასინგ უნივერსიტერისა და ალბერ კამიუს შესახებ საუბრისას ვანმარტავდა, რომ ამ გუნდს ალბერი ალჟირელის ეროვნულ მებობის, ქვემარტივი იდენტურობის ერთ-ერთ სიმბოლოდ აღიქვამდა. სწორედ მისი ასეთი დამოკიდებულება ვანსაზღვრავდა ალბერის თავდაუზოგავ ვარჯიშს და მონდომებას - ყოფილიყო საინფორმუ მეკარე. თუმცა სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოქმაცველი თამაშის დროს ძალიან ვაოფლიანდა, სახლში დაბრუნებული ვაცივდა და 17 წლის ასაკში ტუბერკულოზით დაავადდა. ამ მომენტმა მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ვანსაზღვრა: კამიუ იძულებული ვახდა, ფეხბურთისთვის თავი დაენებებინა. ეს ავადმყოფობა ალბერისთვის ნამდვილი წყველა იყო. მისი ყველაზე სანუკვარი ოცნება, ვამდგარიყო საუკეთესო მეკარე და დიდი ფეხბურთელი, ოცნებად დარჩა. თუმცა იმ წლების დავინწყება ვერ შეეძლო და ფეხბურთის სიყ

ვარული მთელი ცხოვრება გაჰყვა. სამწუხაროდ, იგი განწირული იყო, ტურბოკოლოზისგან განკურნება ვერ შეძლო და ვერც მერცხე ოცნება აისრულა; საუნივერსიტეტო კარიერას სამუდამოდ დაემშვიდობა.

კამიუ რეველარულად ესწრებოდა ფეხბურთის მატჩებს. ალჟირის რასინგ უნივერსიტეტი კი მისთვის ყველაზე ძვირფასს გუნდად დარჩა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ის პარიზის რესინგ კლუბის თამაშების საყურებლად დადიოდა სტადიონზე და მისი აქტიური გულშემატკივარი გახდა. "უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე პარიზის რასინგ კლუბის თამაშების სანახავად ვივლი, რომელიც ჩემი ფავორიტი მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ გუნდის ფეხბურთელებს ისეთივე მაისურები აცვიათ, როგორსაც ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის მოთამაშეები ატარებდნენ: თეთრი და ლურჯი ფერის ზოლებით" - ამბობდა კამიუ. ალბერის ფეხბურთის კარგი შემფასებელიც იყო. პარიზის რასინგ კლუბზე საუბრისას იგი ამბობდა: "პარიზის რასინგს იგივე თვისებები ახასიათებს, რაც ალჟირის რასინგ უნივერსიტეტს. ის "აკადემიურ" ფეხბურთს თამაშობდა და აკადემიურად ავებს იმ მატჩებს, რომლებიც, წესით, უნდა მოეგო" - ამბობდა ის გაზეთ რუასთვის (RUA) მიცემულ ინტერვიუში, რომელიც შემდგომ "ფრანს ფუტბოლმა" დაბეჭდა.

მიუხედავად კამიუს დროდიდრო გამოქვეყნებული შეფასებებისა, ის არც ფეხბურთის დიდი თეორეტიკოსი გამხდარა. ყოზე ლანზინის თქმით, კამიუ ხშირად ლაპარაკობდა ფეხბურთზე, რადგან ერთგულდმა მისი ცხოვრების მთავარი საყრდენი იყო. უნდოდა, თავის ბელკურზე ესაუბრა, იმიტომ, რომ ის ერთგულად ინახავდა ამ ღარიბი ევროპელებით დასახლებული ევარტლის მოგონებებს. ფეხბურთი კამიუსთვის ბავშვობის ნაზი სურნელით გაჟღერითლი ის საიდუმლო ბალია, რომელიც ალჟირში, ბელკურის ლატაკ უბანში იწყება და იქვე მთავრდება. როცა 1953 წელს, თითქმის ათწლიანი პაუზის შემდეგ, ის კიდევ ერთხელ შეეცდებოდა მოირგოს ბუცები, ალბერში ის პატარა ბიჭი გაიღვიძებს, რომელიც დღემდე ბურთზე ოცნებობდა.

1957 წელს ალბერ კამიუს ნობელის პრემია მიენიჭა. მიღებული ფულით მწერალმა საფრანგეთის სამხრეთით, ხმაურითიანი პარიზისა და ალჟირისგან შორს, სოფელ ლურმარენში სახლი იყიდა, სადაც ზაფხულის საღამოებით ტკებობდა და ცოტა ხნით ტკბილ მოგონებებში იძირებოდა. კვირაობით კამიუ სოფლის საფეხბურთო მოედნის ხშირი სტუმარი იყო და დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ლურმარენისა და მეზობელი სოფლების ბავშვთა გუნდების თამაშებს. მას არც ზრდასრულ ასაკში განუღებია ფეხბურთის სიყვარული, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ნოსტალგიაზე, რაც თამაშის იძულებით შეწყვეტას უკავშირდებოდა; ალბერს ხომ ოდესღაც ის იმედი ასაზრდოებდა, რომ დიდ ფეხბურთელის კარიერას შესწავდებოდა. ალბათ ამიტომაც, ამ განუხორციელებელი მოლოდინის კომპენსაციისთვის, მან ლურმარენის ბიჭუნა-


თა გუნდს დაფინანსება დაიწყო; იქამდეც კი მივიდა, რომ გუნდისთვის მაისურებსაც თვითონ ყიდულობდა.

გასაკვირი აღარაა, რომ ფეხბურთის ასეთმა დიდმა სიყვარულმა გამოაძახილი მის შემოქმედებულ კაპოზე. კამიუს "უცხოში" სტადიონიდან დაბრუნებული მაყურებლები, სწორედ ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის გულშემატკივრები არიან და ისინი კამიუს საყვარელი გუნდის ჰიმნს მღერიან. "შავი ჭირის" გმირები, გონსალესი და რამბერი, იმავე კაპოზე, ვინ უფრო მნიშვნელოვანი გუნდისთვის, ცენტრალური თავდამსხმელი თუ ცენტრალურ დაცვაში მითამაშე ფეხბურთელი. "დაცემის" გმირებიც კი, კლემანსისთვის, ხალხით გააფრთხილი ფეხბურთის სტადიონი და მაყურებლებით სავსე თეატრის დარბაზი, უცოდველობის თანაბარ გაცნობებს ინვევენ. "პირველი ადამიანის" გმირიც, კორმერი, სწორედ ლიცეუმის მეკარე გახდება.

როდესაც კამიუ "შავ ჭირზე" მოუშობდა, რომანის რამდენიმე ვერსია შექმნა. მისი დღიურის ჩანაწერებში ჩანს, რომ თითქმის ყველა ვერსიაში რომანი ან ფეხბურთის მატჩით იწყებოდა, ან ფეხბურთზე მსჯელობით, თუმცა არცერთი ეს ჩანაწერი წიგნში არ მოხვედრილა. სიტყვა "ფეხბურთი" კი კამიუს მიერ შემოქმედებულ იშვიათად გვხვდება. თითქოს უფროხილდებოდა მის ხმაბალს ნარმოთქმას, თითქოს ადამიანური ურთიერთობის ეს ფორმა და თვით სიტყვა - ფეხბურთის - უღერადობაც კი ნაკლებად პოეტური იყო სამიზნად, რომ ლიტერატურულ ნაწარმოებში მოხვედრის ღირსი გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, თავის სათაყვანებელ სპორტს ალბერი ყოველთვის ღირსეულ პატივს მიაგებდა და სადაც საშუალება ეძლეოდა, მისთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფეხბურთის წყალობით ბევრი რამ ისწავლა, რაც შემდგომ მთელი ცხოვრების მანძილზე გამოადგა.


საინტერესოა, როგორი იქნებოდა კამიუს შემოქმედება, რომ არა ფეხბურთით გამოწვეული ტურბოკოლოზი და ცხოვრების მეტამორფოზა? ჩვენი არსებობა ხომ მოუღონდელი ისურპირობითაა სავსე და არასოდეს ვიცით, როდის და რომელ საფეხურზე ნავიბორძიკებთ. იქნებ სამყარო დიდი ფეხბურთელი დაკარგა?

მოამზადა ნანა ლალიაშვილი



ალბერ კამიუ

ლამაზი დროება



მართალია, რამდენიმე წელი ვითამაშე ალჟირის რასინგ უნივერსიტერში (საფეხბურთო გუნდი RUA - Racing Universitaire Algerois - მთარგმ. შენ.) და გუშინდელ დღესავით მასხოვს ყველაფერი, მაგრამ როცა 1940 წელს ბუცები ხელახლა მოვირგე, მივხვდი, რომ ეს მთლად გუშინ აღარ ხდებოდა. ჯერ პირველი ტაიმი არ იყო დამთავრებული, მე კი ისეთი ენაგადმოვდებული დავგროდი მოედანზე, როგორც კაბილეელი ძაღლები დაძუნძულებენ აგვისტოს ხვატში, შუადღის ორ საათზე ტიზი-უზუში. მოკლედ, ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ ხდებოდა, მგონი 1928 წელი იყო, მერეც, მომდევნო წლებშიც ვთამაშობდი. ჩემი დებოუტი მონპასიეს სპორტულ ასოციაციაში შედგა. ცოტა უცნური იყო, იმიტომ, რომ ბელკურში ვცხოვრობდი და ბელკურ-მუსტაფას უბნელი ყველა „გალიაში“ თამაშობდა. ასე იმიტომ გამოვიდა, რომ ერთი ბანჯგელიანი ძმაკაცო და და წყალბურთს მონპასიეს სპორტულ ასოციაციაში თამაშობდა. ზოგჯერ სრულიად უბრალო მიზეზის გამო იღებენ ადამიანები გადაწყვეტილებას და ეს ნაბიჯი მერე მთელი მათი ცხოვრების განმსაზღვრელი ხდება. მეც ასე დამემართა. რატომღაც მონპასიეს სპორტული ასოციაციის ფეხბურთელ-

თა გუნდი ყველაზე ხშირად მანევრის მიმდევრებში თამაშობდა ფეხბურთს. ეს მინდორი კი ბორცვებით ისე იყო საესე, ორანში, აღანდას სტადიონზე მოთამაშე ცენტრალური თავდმსხმელის დამტყრეულ-დაღწეული წვივებიც ვერ შეედრებოდა. სწორედ მაშინვე მივხვდი, რომ ბურთი არასოდეს მოგივა იმ მხრიდან, საიდანაც ელოდები. ეს გაკვეთილი მთელი ჩემი არსებობის მანძილზე გამყვა, განსაკუთრებით დედაქალაქში, სადაც გაბედულება და სიამაყე უცხო ხლია. მონპასიეს სპორტული ასოციაციის გუნდში ერთი წელი ვითამაშე და ერთიანად დაღურჯებული ვიყავი. ლიცეუმში შემარცხვინეს, მითხრეს, "უნივერსიტეტელი" აუცილებლად "ალჟირის რასინგ უნივერსიტეტში" უნდა თამაშობდესო. ზუსტად ამ დროს ჩემს ბანჯგელიან ძმაკაცსაც დავეშორდი. კი არ დავმდურვებულვართ, უბრალოდ, ბანჯგელიანმა გადაწყვიტა პადოვანში ეცურა, სადაც წყალი უწმინდურია. სიმაართლე რომ ვთქვა, არც მისი განზრახვა იყო მთლად წმინდა. მისი წასვლის ნამდვილი მიზეზი ქალი იყო, თუმცა ჩემმა მეგობარმა ეს ამბავი დამიმალა. ჩემი აზრით, მშვენიერი ქალი იყო, მაგრამ ცუდად ცეკვაოდა, მე კი ეს ქალისთვის დაუშვებლად მიმაჩნდა. ცეკვის დროს მამაკაცი უნდა აბიჯებდეს ქალს ფეხს და არა პირიქით, ასე არაა? მაშინ მე და ჩემმა ძმაკაცმა ერთმანეთს უბრალოდ პირობა მივეცი, რომ დრო და დრო შევხვდებოდით ხოლმე. მაგრამ წლები ისე

გამოქვეყნებულია გაზეთში "რუა" ("RUA"). ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1953

გავიდა, ერთმანეთი აღარ გვიჩნახავს. კარგა ხნის შემდეგ, მე რესტორან პადოვანის ხშირი სტუმარი გავხდი (ავი განზრახვა არ მედო გულში), მაგრამ ჩემს ძმაცაც აღარ შევხვედრივარ. მან თავის მიძინებინა ქალბატონზე იქორწინა და როგორც იქაურნი ადათ-წესები მოითხოვდა, ცოლმა ცურვა აუკრძალა.

რას ვამბობდი? ჰო, რუსზე ვლადარაკობდი. ალჟირის რასინგ უნივერსიტეტში ძალიან მინდოდა მოხვედრა, ჩემთვის მთავარი ფეხბურთის თამაში იყო. ხუთშაბათი ვარჯიშის დღე გვქონდა, კვირაობით კი თამაშები იმართებოდა ჯერ კვირიდან ხუთშაბათამდე ხომ მოუთმენლობისგან ვცქმუტავდი, მერე ხუთშაბათიდან კვირამდე, თამაშამდე, ვეღარ ვითმენდი. ჰოდა, ამიყვანეს ამ გუნდში. ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის ახალგაზრდულ შენადგენელობის მეკარე გავხდი. ჰოდა, მაშინ ყველაფერი მარტივი მეჩვენებოდა. რა ვიციოდ, რომ ამ გუნდთან ისეთი რამ დამაკავშირებდა, რაც ძალიან დიდხანს, წლებიც მანძილზე, სადაც არ უნდა ყფიოილიყავი და რომელ მხარეშიც არ უნდა მეუთამაშა, ყველგან გამყვებოდა. ეს უშილაგი ძაფები არასოდეს განწყდებოდა. რა ვიციოდი მაშინ, რომ ოცი წლის შემდეგაც კი, პარიზისა თუ ბუენოს-აირესის ქუჩებში, შემთხვევით შეხვედრილი მეგობრის მიერ ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის ხსენებაც კი ისე ძალუმად ამიჩქროლებდა გულს, მეტი რომ აღარ შეიძლება (ასეც მომხვლია). და რაკი გული გადავიშალეთ, გამოვიტყვებოდა, რომ მაგალითად, პარიზის რასინგის კლუბი ჩემი ფავორიტი გუნდი იმიტომ გახდა და მაგათ თამაშებზე იმიტომ დავდივარ, რომ იგივე მაისურები აცვიათ, რაც ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის მოთამაშეებს გვეცვა, თერთი და ლურჯი ზოლებით. უნდა ითქვას, რომ რასინგის ფეხბურთელებს იგივე ამბავი ჭირთ, რაც უნივერსიტეტის მოთამაშეებს; ისინიც, რასაც ქვია, "აკადემიურ" ფეხბურთის თამაშობენ და "აკადემიურადვე" აგებენ იმ მატჩებს, რომლებიც, წესით, ნაღდად მოსაგებია. როგორც ლეფერი (პოლ ლეფერი, რასინგ უნივერსიტეტის ფეხბურთელი - მთარგმ. შენ.) ამბობს, ეს ყველაფერი მალე შეიცვლება, რასინგ უნივერსიტეტში მაინცო. მართლა საჭიროა, რომ ასეთი თამაში შეიცვალოს, თუმცა ძირფესვიანად არა. ბოლოს და ბოლოს, ჩემი გუნდი ასე ძალიან ამიტომაც მიყვარდა: იმ არაჩვეულებრივი მატჩებისთვის, რომლებიც ქანცგანყვეტისა და წარმოუდგენელი ძალისხმევის ფასად მოგვიცა; ასევე ტირილის იმ სულელური სურვილისთვისაც, ნაგებული თამაშების საღამოებში რომ გექალებოდა.

დაცავს "დიდი" რემონ კუარი ამაგრებდა. თუ მესხიერება არ მღალატობს, რემონს მაგარი ჯაფა ადგა. ძირითადად ძალისმიერ ფეხბურთს გვეთამაშებოდნენ. "სტუდენტები, მამიკოს ბიჭები", - ასე გვეძახებდნენ. შეგვერქვა და ვერსად გავექეცი. არადა, ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის ფეხბურთელები ყვალანი ღარიბ-ღატაკები ვიყავით, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. გუნდის წევრების ნახევარზე მეტი ისეთი ჯიბეგამოფხეკილი იყო, გროში არ უჭყოდა. სხვა გზა არ გვქონდა, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვდგამოდით და "კორექტულად"

გვეთამაშა, რადგან ეს ალჟირის რასინგ უნივერსიტეტის ოქროს წესი, დაუნერელი კანონი გახლდათ. თანაც "შემტევი" ფეხბურთი უნდა გვეჩვენებინა, ბოლოს და ბოლოს კაცები ვიყავით, ჩვენც ვაჟკაცობაზე ვდებდით თავს. რთული ამოცანა კი ვეძღვა. ყველაზე ძნელი თამაში ოლემპიკ ჰუსეინ დეის მოედანზე გვქონდა. სტადიონი სასაფლაოს გვერდით იყო. მოურადებლად გვექაძნებოდნენ, პირდაპირ მაგ საფლაგებში ჩაგანვენითო. რაც შემეხებოდა, საცოდავ მეკარეს, არაერთხელ მომხვედრია მწარედ. რემონის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა. მონინააღმდეგე გუნდში კი ბუფარაკი თამაშობდა (ჩვენ საზამთროს ვეძახდით), ცენტრალური თავდასხმელი, რომელიც ნამდუშვილ მთელი ძალით მეჯახებოდა ხოლმე. არც სხვები მაკლებდნენ: ბუცების ჭვინტებს ფეხებში მიბათქუნებდნენ, მაისურზე ხელით მექაჩებოდნენ, მუცელში და "შოგ იმაში" მუხლებს მირტყამდნენ, კარების ძელებს სენდვიჩებს ესროდნენ და მოკლედ, რა ვიცი, კიდევ რა. თანაც ყოველ ჯერზე, "საზამთრო" ფრანცისკანული ღიმილით მეუბნებოდა: "მაპატიე, შვილო".

მეყოფა, აქ გავჩრდელი. უკვე ლეფერის მიერ დაწესებულ საზღვრებს გადავცდი. თანაც მიმტევებელი ვხდებდი. თვით "საზამთროსაც" ჰქონდა რაღაც დადებითი. გულახდილები უნდა ვიყო, რადგან, სხვათა ძორის, სამაჟურო გადაუზადეთ. თუმცა თამაშის წესები არ დავვირღვევია. იმიტომ, რომ ალჟირის რასინგ უნივერსიტეტში სწორედ ამას გვასწავლიდნენ. ახლა კი მართლა არ ვხუმრობ. მას შემდეგ, რაც წლები გავიდა და ცხოვრებამ ბევრი რამ დამანახა, ჩემთვის ერთი რამ ცხადზე ცხადია: თუკი რამ ზნეობა გამაჩნია, სპორტს უნდა ვუმაძღლოდე, ყველაფერი ალჟირის რასინგ უნივერსიტეტში ვისწავლე. სწორედ ამიტომაც არ შეიძლება, ეს გუნდი დაიშალოს. შეგვიწარუნეთ რასინგი. შეგვიწარუნეთ ჩვენი სიყმანვილის ეს დიადი და კეთილშობილი ხატება. ის თქვენს ბავშვობასაც დაიცავს.



RACING UNIVERSITAIRE D'ALGER



“პაზოლინი, მარცხენა ფრთა, მაისური N11”



ბასახელში - პაზოლინი "იტალიის ხელოვანთა ნაპარბის" შიშვადგენლოგაში უკანასკნელი მატარის წინ. 1975. სან-ბენედეტო.

“ფეხბურთი ცხოვრების მეტაფორაა”, თქვა სარტრ-მა. “ცხოვრებაა ფეხბურთის მეტაფორა”, გაუსწორა იტალიელმა ფილოსოფოსმა, სერჯო ჯივონემ.

უფჯენიო მონტალე ოცნებობდა სტადიონზე კარების გარეშე: “ნარმოვიდგენ, როდის დადგება დრო, როცა გოლს აღარაეინ გაიტანს”.

ტომას სტერნს ელიოტმა ფეხბურთს “თანამედროვე კულტურის არსებითი ელემენტი” უწოდა.

უდიდესი ბრაზილიელი პოეტი, კარლოს დრუმონდი ანდრადე გარინჩაზე წერდა, მთელი ერის დარდისა და ნალღელის გაქარვებას ახერხებდაო. საშინელება ისაა, რომ დარდით კვლავაც სავსე ვართ, გარინჩა კი აღარ გვყავსო. “ახალი გარინჩა გვჭირდება, რომ ჩვენი ოცნებები ასაზრდოოს”.

ფეხბურთზე მსოფლიოს უდიდესი მწერლები, მოაზროვნეები, მეცნიერები წერდნენ. იტალიელებიდან - ჯაკომო ლეოპარდი, უმბერტო საბა, უფჯენიო მონტალე, იტალი კალვინო და სხვა მრავალი.

პიერ პაოლო პაზოლინი ქართველებისთვის კინორეჟისორია. თითქმის გამორიცხვულია, კითხვაზე, “ვინაა პაზოლინი?” სხვა პასუხი მიიღოთ. ასეა, იტალიის გარეთ პაზოლინი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ კინოსთან ასოცირდება. თანრთან, რომელსაც პაზოლინიმ ცხოვრების ბოლო 12-13 წელი მიუძღვნა. იტალიაში სხვაგვარადაა. პაზოლინი პოეტია, შემდეგ - მწერალი და ინტელექტუალი. მხოლოდ შემდეგ - კინორეჟისორი. 7 წლის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე წერდა ლექსებს. 20 წლისამ საკუთარი ხარჯით დაბეჭდა პირველი პოეტური კრებული, რომელსაც უდიდესი ლიტერატორი, ჯანფრანკო კონტინი, აღფთოვანებული რეცენზიით გამოეხმაურა. ათიოდ წლის შემდეგ კი პაზოლინის პოეტურ კრებულს “გრამმის ფერფლი” იტალურ კალენომ თანამედროვე იტალიური პოეზიის უდიდესი და ზოგადად იტალიური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა. “უდიდესი პოეტი დავ-

კარგეთ", სასონარკვეთელი ყვირის ალბერტო მორავია პაზოლინის დაკრძალვაზე გადაღებულ კადრებში. "უდიდესი პოეტი" - ასე უწოდებდნენ პაზოლინის არა მხოლოდ ლიტერატორები, არამედ კინოს დიდოსტატებიც. "დიდი პოეტი" - ასე გააცნო 13 წლის ბერნარდო ბერტოლუჩის მამამ, არაჩვეულებრივმა იტალიელმა პოეტმა, ატილიო ბერტოლუჩიმ, ახალგაზრდა პაზოლინი. "პოეტი" - ასე იხსენიებს პაზოლინის ტოტოც.

პოეზია, პროზა, სესიესტიკა, ლიტერატურული კრიტიკა, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა, პოლიტიკური ნარკვევი, დრამატურგია, კინო: არ დარჩენილა თვითგამოხატვის ფორმა და საშუალება, პაზოლინის რომ არ გამოეყენებინა. ის სამართლიანად ითვლება მეოცე საუკუნის იტალიის ყველაზე მასშტაბურ ინტელექტუალურ ფიგურად. პაზოლინი ნებისმიერ თემზე განსაკუთრებულად, ყველასაგან გამოჩნეულად თერდა და არც ფეხბურთის გამოხატულის. იტალიელ ლიტერატორთაგან არავის დაუტოვებია ქალაქზე ისეთი შიამბეჭდავი ნაზარევი ფეხბურთზე, როგორც პაზოლინიმ დავეციტოვა. თუმცა, ალბათ, იტალიელ ინტელექტუალთაგან მასავით არავის ყვარებია ფეხბურთი.

ბავშვობიდან ოცნებობდა ფეხბურთელობაზე. "...ფეხბურთელობა არ გამოვიდა, მაგრამ ფეხბურთის მუდამ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მის წარმოსახვაში. ნივნებში, სამყაროს, რეალობის მისეულ აღქმაში. ბურთი განსახიერებდა მისთვის იმას, რასაც ცდილობდა და ეგრე მოაზროს, რაც ვერ განახორციელა. თითქმის მასში ეძებდა თვითგამოხატვის საშუალებასაც, ადამიანის ისეთ ტიპსაც, რომელიც უყვარდა..." - წერს სპორტული ჟურნალისტი ვალერიო პიჩინი ნივნი "როცა თამაშობდა პაზოლინი".

ბავშვობიდან თამაშობდა ფეხბურთს, ფრილიმიც და ბოლინიმიც. თამაშობდა სკოლის, შეშედე კი - უხივერსიტეტის გუნდში. ფრანკო ჩიტი, პაზოლინის უახლოესი მეგობარი და მისი თითქმის ყველა ფილმის გმირი, იგონებს: "...ბოლონის" ფულმეტიკვირებდა და თავდაც გიჟდებოდა თამაშზე. იქამდე არ უშვებდა ბურთს, სანამ სიჭა არ გასცერებოდა. ენაგადმოგდებელი გამოიღოდა მინდობიდან. რომის ვაკეუბნებში ვთამაშობდით ხოლმე. გოლი იშვიათად გაჰქონდა. ძალიან უნდოდა, მაგრამ იშვიათად გამოსდიოდა. პაოლო და გოლი ისე იყვნენ ერთმანეთთან, როგორც მე და სალიტერატურო იტალიური ენა".

მოვიგინებთ პაზოლინი იტალიის მომღერლების და მსახიობების ნაკრების ფეხბურთელი ვახვა. ისე ფრანკო ჩიტი წერს: "ისეთი ბედნიერი იყო ამ გუნდში მოხვედრით, რომ ასე ვენეციის ფესტივალზე გამარჯვებაც არ გაახარებდა. პაზოლინი. მარცხენა ფრთა. მისიური N11. ცას სწვდებოდა სიხარული, ვერ იფერებდა, რომ ნაკრებში მოხვდა. პატარა ბიჭივით დარბოდა მოედანზე, ყვიროდა, პასი მომეციეთო, კარში დარტყმა უნდოდა, მაგრამ გოლი ვერ გაჰქონდა. ვუხივებოდო, პაოლო, არ იდარდო, ჩემ გატანილ გოლზეც შენ ვითელი-მეთქი... ერთხელ ასკოლი პიჩინომი ვთამაშობდით. თავდაუზოგავად დარბოდა, გოლის გატანის სიხარული უნდოდა გაცივდა. დარტყვა კიდევ კარში, მაგრამ ქარიანი დღე იყო და ბურთმა მიმართულბა იცვალა. მერე მე ვავიტანე, "პა, ვა გინდა, მაინც მოახერხე-მეთქი" ნათქვამი მქონდა, რომ ჩემი გოლი მას ჩაეთრებოდა. ის კი დაპირებული იყო, თუ გოლს ვავიტანე, ყველას ვახშმად გეპატივებოთო. მოკლედ, სხვა გზა არ მქონდა, მთელი გუნდი ვახშმავდა დაპატივებო.

...თამაშის დროს პატარა ბიჭივით იცინოდა, ერთობოდა. მოვრჩებოდი თუ არა, აღტაცება უცებ გაუვლი-

და, დასერიოზულდებოდა, თავის სამალაქში შეიკეტებოდა, დუმის უბრუნდებოდა. მხოლოდ მაშინ ცხარობდა, თუ თამაშის განხილვისას ვინმეს მოსარებას არ ეთანხმებოდა. ვახვითქულები შედეგიოდით საშხაპებში და პაოლო ისევ მარტო რჩებოდა, ფიქრებში ჩაფულული, რომდებზეც არასოდეს არავის უყვებოდა.

"...ერთადერთხელ ენახე ვაცოფებული. "ოლიმიკოხე" "ბოლონია" 4-1 ნააკო "რომასთან"... ფეხბურთის ციხე-ხელებდა პაოლოს სულ პატარაობაში შეეყარა და სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაიკმაყოფილა ეს ენება.

"...უცხოედით ვგივრეკავდა, რომ ვაგაკო, როდის ენიშნავდით შემდეგ თამაშს. თუ ზუსტ პასუს ვერ ვაძლევდი, არ მემეგებოდა, ფულზე არ იდარდო, შენ მოედანი იმოვე და ხომ იცი, ქრას მე გადავიხიდი!"

"...ავნოსტიკოსი ვარ, მაგრამ სამყაროს ჩემუფლი აღქმა არსებითად რელიგიურია, - ამბობდა პაზოლინი. - რელიგიურში იმას ვგულისხმობ, რომ ყველაფერში, რაც ჩემ გარშემო არსებობს ან ხდება, საგანია თუ მოვლენია, სასწაულს ვხედავ..."

"ფეხბურთი ჩემი დროის უკანასკნელი საკრალური სახანაობაა. რიტუალია. მაშინ, როცა ყველა საკრალური სახანაობა, ნირვაც კი, დეკადანისი ნახა ადგას, მხოლოდ ფეხბურთი რჩება. ფეხბურთი არის სახანაობა, რომელმაც თეატრი ჩაანაცვლა. ფეხბურთი თანამედროვეობის ერთადერთი ცოცხალი რიტუალია".

სიცოცხლემდე პაზოლინი იშვიათად ჩნდებოდა საჯაროდ. მაშინდელი იტალიური კანონმდებლობა კრძალავდა იმ ადამიანების გამოჩენას ტელე-რადიო სივრცეში, ვისზეც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. პაზოლინის კი მუდამივად სასამართლოში უჩიოდნენ - პირველი რომანის გამოსვლიდან სიცოცხლის ბოლომდე. მაშინ, როცა მის ფილმებს ბერლინსა და კანის ფესტივალზეზე ავანტიდებდნენ, სამშობლოში პაზოლინის უხამსობისთვის უჩიოდნენ, მის ფილმებს კი კრძალავდნენ. საბედნიეროდ, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცდილობდნენ, ჩანერტან პაზოლინი და მათი წყალობით საკმაოდ მდიდარი დოკუმენტური ვიდეოსამსალა შემორჩენილი. შესანიშნავია ენკო ბიავის ჩანერი ინიტრეფო, რომელიც, ცხადია, მწერლის სიცოცხლემდე თერში არ გასულა: პაზოლინიზე მაშინაც მორიგი საქმე იყო აღძრული.

"...ყველაზე მეტად მიყვარს ადამიანები, რომლებსაც ოთხი კლასიც არ აქვთ დამთავრებული: უბრალოზე უბრალო ადამიანები. ამას ყოველგვარი რიტორიკის გარეშე ვამბობ. ბურჟუაზიულ კულტურას ვარადუფლებად თან სდევს ადამიანის გაფუჭება. ხოლო ადამიანი, რომელსაც არავფერი უნსაღია, რომელმაც წერა-კითხვაც არ იცის, ვაუსუფრავდა და ისეთი მოხდენილობა, ისეთი ხიბლი აქვს, რომელიც კულტურის შექმნასთან ერთად ქრება, იკარგება. ეს ხიბლი და სისადავე მხოლოდ ძალიან მაღალ კულტურასთან ერთად ბრუნდება ადამიანში. საშუალო კულტურა კი ყოველთვის ვასერლია, ყოველთვის კორუმპირებული". პაზოლინისთვის ამ უბრალოების, ამ სისუფრავის ნაწილი ფეხბურთიც. იმ ნამდვილობის, სიმარტყივის, ვანტენტურის ნაწილი, რომელსაც მთელი ცხოვრება ეტრფოდა და დაექებდა ყველაფერში.

"...ამიტომ შეძლო ფეხბურთმა თეატრის ჩანაცვლება: ის, რაც კინობა კი ვერ მოახერხა. თეატრი უშუალოდ, პირდაპირი ურთიერთობაა მაყურებელსა და მსახიობებს შორის: ორივე ცოცხალია, ნამდვილი, ხორციელი. კინოში მაყურებელი ცოცხალია, მაგრამ მეორე მხარეს მხოლოდ ეკრანი, ფიქცია, ჩრდლები. ფეხბურთი



კი თეატრითაა: ხორციელი, უშუალო კავშირი სპორტსმენებსა და მაყურებელს შორის. ამიტომაც ფეხბურთი ჩვენი დროის ერთადერთ რიტუალი, რომელსაც გადარჩენა უნდა.

1963 წელს პაზოლინი იტალიაში მოგზაურობს: ადგილებს უნდა შეარჩიოს "მათეს სახარების" გადაღებებისთვის. დიდი ხანი იყო, არ ასვენებდა აზრი, გადაეღო დოკუმენტური ფილმი, სადაც იტალიელებს სიყვარულზე, სექსზე დაუსვამდა კითხვებს. უნდოდა, მოესმინა, რას ფიქრობენ იტალიელები სხეულზე, საკუთარ სექსუალობაზე, სიყვარულზე, როგორ აღიქვამენ ქალისა და კაცის სექსუალობას. ასე შეიქმნა მისი დოკუმენტური ფილმი "საუნრები სიყვარულზე". პაზოლინის აქაც უბრალო ადამიანები აინტერესებდა ყველაზე მეტად. ბუნებრივია, რომ ფეხბურთელებს ვერ გამოტოვებდა. ფილმში არის სურათები მონაკვეთი, სადაც პაზოლინი თავისი გუნდის, "ბოლონიას" ცნობილ ფეხბურთელებს ესაუბრება:

- პავინატო, სექსუალურ ცხოვრებაზე ფიქრისას სამოწინავეს გრძნობა გეუფლებათ თუ შფოთვის, ფორმის?
- საიზონების.
- დარწმუნებული ხართ?
- სრულიად.
- არე, სრულიად თავისუფლად გრძნობთ თავს?
- დიას.
- თუ არ ცვდები, ვენციელი ხართ.
- დიას, ვიჩენცადან ვარ.
- ვენციის რეგიონი ღრმად კათოლიკურია. როგორ ფიქრობთ, კათოლიკური აღზრდა არ ახდენს თქვენზე ზეგავლენას? იმაზე, თუ როგორ აღიქვამთ სექსუალობას?
- არა გონია.
- თქვენ, ბულგარელი?
- ჩვენ ყველა ასე გავიზარდეთ, ნირვაზე დადვილით, კატეხიზმოს ვსწავლობდით... ალბათ სიღრმეში ყველა ვინმეობთ რაღაცას.
- პასკუტის ვკითხავ, თავდამსხმელს. თქვენც ისევე თავისუფლად მიგაჩნიათ თავი სასიყვარულო ამბებში, როგორც პავინატოს?
- დიას, რა თქმა უნდა.
- იმას არ გგულისხმობ, რომ შეგიძლიათ, იმასთან გქონდეთ სექსი, ვისთანაც მოგიწევიათ. მაინტერესებს, გონებით რამდენად თავისუფალი ხართ, განიკითხავთ თუ არა სხვებს.
- ასოლოტურად თავისუფლად მიმანჩია თავი.
- არავითარი შეზღუდვა, დაბრკოლება არ გაგაჩნია?
- არანაირი.
- თქვენ, ნეგრი?
- არაფერი.
- არაფერი? რას გულისხმობთ?
- ვერაფერი გეტყვით. არც კი ვფიქრობ ამაზე.
- არც კი ფიქრობთ?..
- თქვენ, ფურლანი, როგორ ფიქრობთ, ეს თავშეკლება, რომელსაც სპორტსმენებისგან მოითხოვენ, მხოლოდ ფიზიოლოგიური მოსაზრებებითაა ნაკარნახევი თუ მორალურითაც?
- არ ვიცი, მაგონი, ფიზიოლოგიური.
- არ გგონია, რომ რომ ამ რეპრესიის მიზანი ისაა, რომ უფრო აგრესიულები იყოთ მინდორზე?...
- დაბნეული, აღენილი ფეხბურთელი ბიჭები მზერას არიდებენ პაზოლინის, უხერხულად ილიმბიან, ცმუკავენ. გაოცებულს აშკარად არ ესმით, რა უნდა მათგან

ამ ადამიანს, მიკროფონით რომ დასდგომია თავზე ვარჯიშის შემდეგ. ზოგი თითქოს გალიზიანებულიც ჩანს, მაგრამ კამერის რიდი აქვს...

"...ლიტერატურისა და ეროსის შემდეგ ფეხბურთი ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს", ამბობდა პაზოლინი. ამიტომაც, რომ სექსუალობაზე, სხეულზე, სიყვარულზე - ყველაზე ბუნებრივ რამეზე სურდა იმ ადამიანების შეხვედრის მოსმენა, ვინც, მისი აზრით, იტალიური საზოგადოების ნამდვილ, გაუფუჭებელ, კონფორმიზმის დაღდაუსმელ ნაწილ შეადგენდა. მაშინდელი ფეხბურთელები კი უბრალო ბიჭები იყვნენ, რომლებსაც ისევე უყვარდათ ფეხბურთი, როგორც პაზოლინის. აღებრტო მორავია ამბობს ერთ ინტერვიუში, პაოლოს ადამიანები, ხალხი უყვარდა, სანამ ეს ხალხი მასად იქცეოდა. ფეხბურთიც ასეთი უყვარდა: ნამდვილი. ფეხბურთის და ზოგადად, სპორტის, პოლიტიკურ ინსტიტუტებზეც ქვეყნის სასტიკი წინააღმდეგ იყო. როცა იტალიური კრივის ლეგენდა, ნინო ბენვენუტი შავკანიან ამერიკელ სპორტსმენს, ემილ გრიფიტს ერკინებოდა, პაზოლინიმ ღიად განაცხადა, რომ გრიფიტს გულშემატიკრობდა, რის გამოც სასტიკად გააკრიტიკეს. პაზოლინი გიჟდებოდა კრივზე, მაგრამ ბენვენუტის პოლიტიკურული ფიგურა, მემარჯვენე, ფაშისტური ძალეების "სახე", პაზოლინისთვის სრულიად მიუღებელი იყო. სხვაგვარად შეუძლებელიც იქნებოდა. "ერთხელ, სკოლაში, ჩვენი მასწავლებელი არ იყო და შეშველილი შემოვიდა კლასში. ახალგაზრდა ბიჭი იყო, ჩანდა, არ იცოდა, რა ეკეთებოდა გაკვეთილზე, ადგა და რემბოს ლექსი წავიკითხა. იმ დღიდან მძულს ფაშიზმი".

ფაშიზმის მდღერად რომ ვერ უგულვებმატიკრებოდა, ეს - თავისთავად, მაგრამ პაზოლინის სპორტის ყველანაირი პოლიტიკაზე გულს ურევდა, იმის მიუხედავად, მემარჯვენე ძალეები ეცდებოდნენ ამას თუ მემარჯვენე.

"სტუკას" (ფაშისტური გერმანიის ავიაციამანადგურებელი მეორე მსოფლიო ომის დროს) ვეძახდით, ისე თავდაუზოგავად დასდებოდა ბურთს - იგონებს ნინტენდოცო. - ფიზიკურად ყველაზე კარგ ფორმაში იყო, იდეალური სხეული ჰქონდა, ძლიერი, დაკუნთული, გრამი არ ჰქონდა ზედმეტი. პატარა ბიჭვით იყო ბურთთან. ფეხბურთის შემდეგ ყველაზე მოჭიკო კრივი უყვარდა, თუმცა რინგზე იშვიათად დადიოდა..."

კაპარას მინდვრებზე ფეხბურთის თამაშში გატარებული საღამოები ჩემი ყველაზე ტკბილი მოგონებაა. ახლაც ბურთი მეჩხირება ყელში, ამას რომ ვიგონებ. ეს იყო ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები. მაშინ მარჯვენა ფრთაზე ვთამაშობდი, მეგობრებმა "სტუკა" შემარქვეს. "ბოლონიას" საუკეთესო გუნდი ჰყავდა იმ წლებში... არასოდეს არაფერი მინახავს უფრო ლამაზი, ვიდრე ბავიატისა და სანსონეს გათამაშება მინდორზე..."

"არც როლან ბარტი ვარ და არც გრემიასი, მაგრამ მგონია, რომ მოყვარულის კვლობაზე საკმაოდ დამაჯერებელ ესეს დავენდრი "ფეხბურთის ენის" შესახებ" - ამბობს პაზოლინი.

"...ფეხბურთი ნიშანთა სისტემა, იგივე ენაა. მას ყველას ძირითადი ნიშანი აქვს, რაც, ჩვენი გაგებით, სრულყოფილ ენას უნდა ახასიათებდეს, მეტყველების ენა იქნება თუ წერის.

ფეხბურთის ენის "სიტყვები" ზუსტად ისევე იბადება და ყალიბდება, როგორც სასაუბრო ან წერილობითი ენის სიტყვები. როგორ იქმნება სიტყვა ენაში? სიტყვა ეკრეთონოდებელი "ორმაგი არტიკლიზაციის", ანუ ფო-

წმინთა უსასრულო კომინიაციების შედეგია. იტალიურში ამ ფონემებს ანბანის 21 ასო-ნიშანი წარმოადგენს. ანუ ფონემა მეტყველებსა თუ წერის ენის "მინიმალური ერთეულია". მოდიოთ, ვინახლისო და ფეხბურთის ენის მინიმალური ერთეული განვმარტოთ, რატომაც არა? "ბურთზე დასარტყმელად მოქმედი რაბო" - აი ფეხბურთის ენის მინიმალური ერთეული. გნებავთ, "ფეხზემა" ვუნსარო? (ვინ გვიძლის გართობს?) ამ "ფეხზემებს" უსასრულო შესაძლო კომინიაციები აბსურტის ენის "სიტყვებს" ქმნიან, ამ სიტყვათა ერთობლიობა კი აყალიბებს დისკურსს, რომელიც ჩვეულებრივი, სინტაქსური ნებისმიერი ანართება.

"ფეხზემა" ოცდაორია (ანუ, თითქმის ემთხვევა იტალიურ ენაში ფონემათა რაოდენობას). ფეხბურთის "სიტყვებს" - რაოდენობა კი პოეტნიციურად უსასრულოა, რადგან უსასრულოა შესაძლო კომინიაციათა რაოდენობა (გადაცემები, ჩანაღებები). სინტაქსი კი მატრის - ნამდვილი, ქვემარტყმელად დრამატული - გამოიხატება. ამ გნ "შმიფრავები" მოთამაშები არიან, ჩვენ კი, ტრიბუნებზე, "გამოფრვლები" ვართ. მაშასადამე, რაღაც საერთო კოდი გაგვაჩნია. ის, ვინც ფეხბურთის კოდი არ იცის, ვერც მისი სიტყვების "მნიშვნელობას" (გადაცემებს) გაიგებს და ვერც დისკურსის (გადაცემათა ერთობლიობის) შინაარსს.

...ფიქრობ, რომ შესანიშნავი ესე დაიწერებოდა ფეხბურთზე პროზის თეორიის გამოყენებითაც, რადგან როგორც ყველა ენას, ფეხბურთსაც აქვს თავისი წმინდად "ინსტრუმენტულობა", მკაცრი კოდის თანახმად მართული მომენტიც და "ექსპრესიული" მომენტიც.

ყველა ენაში უამრავი ქვენა არსებობს და თითოეულს საკუთარი ქვეკოდი მართავს. იგივე შეგვიძლია ეთქვათ ფეხბურთის ენაზეც: იმ მომენტიდან, როცა ფეხბურთის ენა აღარაა მხოლოდ ინსტრუმენტული და ექსპრესიულია იქცევა, მასშიც უამრავი ქვეკოდი ჩნდება.

არსებობს პროზაული და პოეტური ფეხბურთის ენა. ვეცდები, უფრო მკაფიოდ გამოვხატო აზრი. მაგალითებს მოვიყვან:

ბულგარული პროზაში თამაშობს. ის "რეალისტი პროზაოსია". რვა პოეტური ფეხბურთის ოსტატია, "რეალისტი პოეტი". კორსის თამაშც პოეტურია, მაგრამ რიგაზგან განსხვავებით ის "რეალისტი" კი არაა, რაღაცნაირი, ანტი პოეტი, ექსტრავაგანტური.

რივერას თამაში პროზაა, მაგრამ პოეტური, ხატოვანი პროზა. მაცოლაც ასეთია, პროზაული და ხატოვანი, მაგრამ რივერაზე ბევრად უფრო პოეტური: განდახან არღვევს პროზის საზღვრებს და მოულოდნელად სრულად განაოგნებულა, თავგრუდამხვევი პოეზის რამდენიმე სტრიფს გვჩუქნის.

მინდა, ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას: "პოეზიას" და "პროზაზე" ლაპარაკისას არ გვულოდნებო, რომ ერთი უფრო ღირებულია, ვიდრე მეორე. წმინდად ტექნიკურ განსხვავებებს ვამახვილებ ყურადღებას.

აქ პაზოლინის მოსაზრება გვაგონდება: "პოეზიაზე: "პოეზია რითმას არ ნიშნავს. ძველი რომაელებისთვის რითმა უცხო იყო, დღეს კი ცნებას - "პოეზია" ავტომატურად უკავშირებთ რითმას, ლექსი რითმის გარეშე ვეღარც წარმოგვიდგენია. ჩემთვის პოეზია რითმაში არაა".

და ისე, ფეხბურთის პოეტიკაზე: "იტალიური ლიტერატურა, განსაკუთრებით კი თანამედროვე, ხატოვანი ავტორების, "ელზევიერების" ლიტერატურაა. ელვანტური, უკიდურესად ესთეტი მწერლების ლიტერატურა, რომლის არსიც ხშირად კონსერვატიული და ოდნავ პროვინციულია... ანუ ქრისტიანდემოკრატიული. რომელიმე კონკრეტულ ქვეანბანში არ

სებულ ყველა სასაბურთო ენას, ყველაზე მდაბიური ჯარგონის ჩათვლით, საერთო ნიადგა აქვს: იმ კონკრეტული ქვეყნის კულტურა, მისი ისტორიული რეალობა. სწორედ კულტურული და ისტორიული ნიადგის გამოა, რომ ზოგიერთი ერი არსებითად პროზაულ ფეხბურთის თამაშებს: ეს შეიძლება რეალისტიკური ან ესთეტიზებული პროზა (ეს უკანასკნელი იტალიური ფეხბურთია) იყოს. მაგრამ არიან ერები, რომელთა ფეხბურთი აბსოლუტურად პოეტურია.

ფეხბურთში არის იდეალურად პოეტური მომენტიც. ასეთია გოლი: ყველაზე პოეტური მომენტი ფეხბურთში. ნებისმიერი გოლი გამოგონება, სიახლე, კოდექსის დარღვევა, გარდუვალობა, გაუგებება, აფეთქება, სტუპორი, მუშუტყვევადობა, ისევე, როგორც პოეტური სიტყვა. ჩემპიონატის ყველაზე მეტი გოლის ავტორი ჩემთვის წლის საუკეთესო პოეტია.

თუმცა თავად დრბლინიცი პოეზიაა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის გოლით არ გვირგვინდება. ნებისმიერი ფეხბურთის ოცნებაა, დრბლინიცი გაიაროს მთელი მოედანი, უკან მოიტოვოს ყველა მეტოქე და გოლი გაიტანოს. თუ შეიძლება, უზენაესი ნეტარება წარმოადგინო ფეხბურთში, სწორედ ესაა. მაგრამ ასე თითქმის არახდროს ხდება. ეს ოცნებაა.

ვინ არიან დრბლინიცი დიდოსტატები ან საუკეთესო გოლების ავტორები მსოფლიოში? - ბრახლინიცი. ასე რომ, მათი ფეხბურთი, მთლიანად დრბლინიცა და გოლზე აგებული, პოეზიაა. "კატენარო" და ე.წ. "სამ-კუთხედი" კი, რასაც ბრერა გეომეტრიას უწოდებენ, პროზაული ფეხბურთია: ის სინტაქსი, ანუ გუნდურ, ორგანიზებულ თამაშს, გვეგის გააზრებულ შესრულებას ემყარება. ერთადერთი პოეტური მომენტი მასში კონტრპეტებაა, მით უფრო, თუ გოლით გვირგვინდება (რომელიც, როგორც ვთქვი, ყოველთვის პოეზიაა). მოკლედ, ფეხბურთში პოეზია მუდამ ინდივიდუალისტური მომენტია: დრბლინიცი, გოლი ან განსაკუთრებულად ღამაზი ჩანაღდება.

პროზაული ფეხბურთი ეგრეთ წოდებული სისტემური ფეხბურთია (ევიროპული ფეხბურთი). გოლი მისი სქემის დასკვნითი ნაწილია და ის რიგანაირმა "რეალისტმა პოეტმა" უნდა შესარულოს. მაგრამ ეს გოლი გუნდური, კოლექტიური თამაშის შედეგი უნდა იყოს, ნყოზისა, რომელიც კოდის თანახმად შესრულებულ გარკვეულ გეომეტრიულ გადაცემებზეა აგებული. რივერას იდეალურად გამოსდის ეს, მაგრამ ბრერას არ მოსწონს, რადგან ეს მინიც უფრო ესთეტიზებული სრულყოფილებაა და არა ბოლომდე რეალისტური, როგორც, მაგალითად, ინგლისელი და გერმანელი ნახევარმცველების თამაში.

პოეტური ფეხბურთი სამხრეთამერიკული ფეხბურთია. მისი სქემა დრბლინიცის უნად უნარს გულსხმობს (რასაც ევიროპაში "გუნდური პროზა" მედრომები ქედნალურად უყურებენ) და გოლი შეიძლება ნებისმიერმა მოთამაშემ, ნებისმიერი პოზიციიდან შექმნას.

თუ დრბლინიცი და გოლი ფეხბურთის ინდივიდუალისტური და პოეტური მომენტებია, მაშასადამე, ბრახლიური ფეხბურთი ნამდვილი პოეზიაა. არ განვიხილავ, რომელი სჯობდა ან მე რომელი მერჩენა, წმინდად ტექნიკური თვალსაზრისით ვიტყვი: 1968 წლის ოლიმპიურად მექსიკაში ბრახლიური პოეზია იტალიური ესთეტიზებული პროზა დაამარცხა..."

ნიგნში "ფეხბურთი და ლიტერატურა" ჯოვანი სანტუსი ყვება: "პაზოლინის ერთ-ერთ საუკეთესო ფოტო



პირი პაპოლი პაზოლინი თამაშობს როლის ბარაუხანის (ჩანტორაელ, ამაჰინდელი პარადივის მოქალაქე) გიტატაშა პრთაღ. 1960.

ქუჩაშია გადაღებული, მინგრეულ-მინგრეული ტროტური, ათხრილი მინა, ხმელი ბალახი: მაჰინდელი, მა-სიური მშენებლობების, ნაჩქარევი, ზერეულ მოდერნიზაციის იტალია... პაზოლინის მუქი პიჯაკი, ტყავის ფეხსაცმელი, პულოვერი, თეთრი პერანგი აცვია. პალსტუხიუ უკეთია... ასე ჩაცმულიც, საოცარი ოსტატობით აკონტროლებს ბურთს, კონცენტრირებული, დაძაბული მზერით. ყველგან ასეთი გამომეტყველება აქვს, სადაც თამაშის დროსაა გადაღებული".

პაზოლინის ფილმების მარადიული სახე ნინეტო და-ვოლიც არაერთგან იგონებს პაზოლინის ფეხბურთის-სადმი სიყვარულს: "სადაც, და ვისთან ერთადაც არ უნდა ვყოფილიყავით, საკმარისი იყო, ბურთი დაენახა, მანქანას გაჩერებდა და ბურთს დაედევნებოდა... არც ტან-საცმლის მოსპობა ადარდებდა და არც შეხვედრას დაგვიანებდა. ბავშვივით გაეკიდებოდა ხოლმე გზაზე და-მოგრობებულ ბურთს..."

ვალერიო პიჩინი ერთ საინტერესო ეპიზოდს იხსენებს ნიგში "როცა თამაშობდა პაზოლინი":

"...1975 წლის გაზაფხული იყო. პაზოლინი თავისი გადაღებები ჯგუფით ქალაქ მანტოვაში, სასტუმრო "სან-ლორენცოში" იყო დაბინავებული. სწორედ იქ, რონკო-ფერატოში, პონტემერლანოს სასახლეშია გადაღებული პაზოლინის უკანასკნელი ფილმი "სალო ანუ სო-ლომის ასოლი დღე". იქვე, პარმაში, თავის მშობლიურ ქალაქში, ბერნარდო ბერტოლუჩი "მეოცე საუკუნეს" იღებდა. ერთდროულად აჩერებდნენ გადაღებებს, რომ ფეხბურთი ეთამაშათ. ერთხელ ნამდვილი მატჩი მო-ახყევს: "მეოცე" "ასოცის" წინააღმდეგ. ზოგიერთი იმა-საც ამბობდა, თამაში საგანგებოდ იყო ორგანიზებულ-ლი პაზოლინისა და ბერტოლუჩის შესარგებლადო: პა-ზოლინიმ ერთხელ ყოფილი ასისტენტის ნამუშევარი

გააკრიტიკა, რასაც გაუნანყებია ბერტოლუჩი. ბერ-ტოლუჩი იმ დღეს არ თამაშობდა, ტრიუმფიდან ამხნე-ვებდა თავის გუნდს. პაზოლინი კი თამაშის პანსს ხე-ლიდან არ გაუშვებდა. კაპიტნის სამკლავური ეკეტა და მის გუნდსაც ლურჯ-წითელი ფორმა ეცვია: "ბოლონი-ას" ფერები. იმ თამაშზე ბერტოლუჩის კოსტიუმების ავტორს, ჯიტე მაგრინის უცნაური ტრიუკისთვის მიუ-მართავს: ბერტოლუჩის გუნდის წევრებს იისფერ, ზო-ლიან ფორმაზე ყვითლად ენერათ 900 (იტალიურად "ცხრაასი" მეოცე საუკუნესაც ნიშნავს) და ჭრელი წინ-დები ეცვიათ, რომლებიც სირბილისას ერთგვარ კალე-იდოსკოპის ეფექტს ქმნიდა. საშინლად ჭირდა თურმე ბურთის დანახვა. მეორე დღის "პარმის მაცნე" იტყო-ბინებოდა, პაზოლინის გუნდმა 2-5 ნაგო და ბერტო-ლუჩი მოგებას იმ ფსიქოდელიურ წინდებს უნდა უმა-ლოდესო.

მოგვიანებით ბერტოლუჩიმ გაიხსენა ეს თამაში, 19-13 მოვიგეთ და პაზოლინიმ გაცოფებულმა დატოვა მო-ედანიო. თუმცა, ალბათ, უფრო სანდო უგო კესარის მო-გონებაა, რომელიც "სალოში" ერთ-ერთი მსხვერპლის როლს ასრულებდა და იმ დღეს პაზოლინის გუნდში თა-მამობდა. კესარი მხოლოდ იმ კონკრეტულ მატჩს არ იგონებს, ის ბევრად მეტს მოგვითხრობს "სალოს" გა-დაღებების დროს ფეხბურთის თამაშზე. "...ყველა შეს-ვენებაზე ვთამაშობდით, ბურთი ერთგვარი ეგზორციზ-ში იყო ჩვენივის იმ აუტანლად სასტიკი სცენების შემ-დეგ... მართალია, გაბრაზებული გავიდა მაშინ მოედნი-დან... ეს ნაკლი ჰქონდა, ზედმეტად სერიოზულად უღ-გებოდა თამაშს, მაშინ, როცა ნინეტო სიცილით იგუდე-ბოდა... დაუვინყარი იყო "სალოს" გადაღებები... სულ ფეხბურთს ვთამაშობდით, ხშირად არც ყოცსადილო-ბით, ოღონდ თამაში მოგვესწრო".



პაზოლინი ფეხბურთზე შეყვარებული ერთადერთი იტალიელი ინტელექტუალი არ ყოფილა. ცნობილი მწერალი და მისი მეგობარი, პაოლო ვოლპონიცი "ბოლონიას" გულშემატკივრობდა. 1960-ში ვოლპონის რომანი ვიარეჯოს პრემიაზე წარადგინეს. პაზოლინი სწერდა მეგობარს: "ხომ იცი, ისევე გავლშემატკივრობ, როგორც კოპის (ლევანდარული იტალიელი ვოლპონი-ლოლი) და "ბოლონიას". როცა ვოლპონის პრემია მიანიჭეს, პაზოლინიმ მაშინვე აფრინა უსტარი: ხომ იცი, ეგ ფული ფეხბურთის ბოლეთებში უნდა დახარჯო, წელს "ბოლონიას" ტრიუმფის და "რომას" გაცამტყვერების წელიაო!

მწერალ ვიტორიო სერენის, "ინტერის" გულშემატკივარს, მილანში "ინტერი"- "ბოლონიას" თამაშის წინ სწერდა, 1954-ში: "იცოდე, რომ კვირას ჩემი და ვოლპონის გულეები მანდ იქნებიან, მილანში, გახეთქვამდე გარეებენ და ნუ გეწყინება, მაგრამ შენს მწუხარებას ეი-ზეიმებთ..." თამაში ფრედ დამთავრდა, 2-2, "ბოლონიას" ბოლო ნუთზე მოუხერხებია ანგარიშის გათანაბრება და პაზოლინიც არ ეშვება სერენის, ორმაზათს დილითვე უფრენია წერილი მილანში: "გუშინ, 90-ე ნუთზე ისე მკაფიოდ გამომესახა სან-სიროს ცაზე შენი სიმწრით დაკრეჭილი კბილები და ვოლპონის ნეტარი ღიმილი, როგორც სასიკვდილი სარეცელზე მყოფ თოდოროს - ბოეციუსის სახე".

სერენიმ ორი წლის შემდეგ, 1956-ში იძია შური პაზოლინიზე, როცა "ბოლონია" მეთხუთმეტე ადგილზე გავიდა იტალიის ჩემპიონატში: "უამრავი რამ მაქვს დაწყებული და მიტოვებული, უნდა მიეუბრუნდე სამუშაოს, მაგრამ ვიცი, ძალიან გამიჭირდება. ვფიქრობ, დიდი დრო გავა, სანამ კიდევ რამის გამოქვეყნებას გაუბედავ. ალბათ იმდენი მაინც, რამდენიც "ბოლონიას" დასჭირდება ამ უსჯარულიდან ამოსაფორთხებლად (სხვისი დროც დგება, როგორც ხედავ...)".

"...ფეხბურთთან დაკავშირებით სკოლის ბიჭის იდეალიზმიდან ვერ გამოვედი. ისევე იქა ვარ, როცა თამაში ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის ქვეყანაზე", -



პაზოლინი "ბოლონიას" მისურბით, 70-იანი წლები.

წერს 40-ს გადაცილებული პაზოლინი.

პაზოლინი სპორტზე საუბრობს უკანასკნელ ინტერვიუმში, რომელიც მის მკვლევარებს რამდენიმე დღით ადრეა ჩანერილი: "რა აზრი აქვს იმის უსასრულოდ გამეორებას, რომ "სპორტი ხალხის ოპიუმია", თუ სხვა ალტერნატივა არ არსებობს? თანაც, ეს ოპიუმში სამკურნალოა. არა მგონია, არსებობდეს ფსიქიატრი, რომელიც ამ აზრს შეენიანაღმდეგება. სტადიონზე ორსაათიანი გულშემატკივრობა განმათავისუფლებელი, განმწმენდი ეფექტი აქვს..."

"...ასეთი იყო. ფეხბურთის და მეგობრების გულისთვის უკან არაფერზე დაიხვედა. ერთხელ ანციოში დაეინწინეთ თამაში. პაოლო სტოკპოლში იყო. ვიფიქრე გავარდა აეროპორტში და პირველივე რესისთ გამოფრინდა რომში. იმ მატჩის შემდეგ ვუთხარი, პაოლო, ხომ ხედავ, ვეღარ ვთამაშობთ, თავი უნდა დაგანებოთ-მეთქი. გაგონებაც არ ისურვა. შემდეგ თამაშებს გეგმადავ. - იგონებს ფრანკო ჩიტი. "გასახდელიდან ყველაზე ბოლოს გამოდიოდა: ნეიმამი გარეთ დარჩენილ, განუწულ ნიწილს ჰგავდა, სანყალს, დაუცველს..."

პაზოლინი იმ მატჩიდან ორი დღის შემდეგ მოკლეს. სწორედ იმ გარეუბნის მოედნიდან ერთ-ერთზე, სადაც ასე უყვარდა თამაში რომაელ ბიჭებთან ერთად. კართან ნაიქცაო, ყვებოდა მისი მკვლელები..."

იტალიური თეატრის ლეგენდა, ედოარდო დე ფილიპო, ხმააკანკალეული ლაპარაკობს კამერის წინ: "დავკარგეთ პაზოლინი... ასე სასტიკად ნაგვართვის უსაყვარლესი ადამიანი, უსაშველოდ სუფთა და სრულიად დაუცველი. პაზოლინის ველარასოდეს ვნახავთ, მაგრამ მისი პაზოლინი ყოველთვის, ყველას დაგვჭირდება".

მასალა მოამზადა ხათუნა ცხადაძემ

მასალაში გამოყენებულია ინტერვიუები, ტელეგადაცემები, დოკუმენტური მასალა, პაზოლინის წერილები და ესეები, ასევე: კარლო საბატინი, "სპორტი - ჩვენი დროის რელიგია", ვალერიო პიჩინი, "როცა თამაშობდა პაზოლინი", ჯანი პაროკო, "ლიტერატურული სურათ-ხატები ფეხბურთში", ანდრეა პაპუცის, ლუკა ტასინარის რეცენზიები, ჯოვანი სანტუჩი, "ფეხბურთი და ლიტერატურა", უგო რიკარელი, "კოპის ანგელოზი", ანჯელა მოლტინი, "პაზოლინი და ფეხბურთი", "ენიკა: პაზოლინი" და სხვა მასალები.

* ოფიციალური ვერსიით პაზოლინი 17 წლის პინო პელოზომ მოკლა, მან მაშინვე მისცა პოლიციას აღიარებითი ჩვენება და სასჯელიც მოიხადა. თუმცა პაზოლინის მეგობრებს, მკვლევარებს და საზოგადოების უდიდეს ნაწილს არასოდეს დაუფერებია პელოზოს ვერსია. საქმეში არაერთი აშკარა ნიშანდამტკიცება იყო. 2005 წელს პელოზომ სატელევიზიო გადაცემაში ოფიციალურად უარყო თავისი ძველი ჩვენება, თავი უდანაშაულოდ გამოაცხადა და თქვა, რომ პაზოლინი სამამ უცნობმა მოკლა, რომლებიც მას დაემუქრნენ და დუმოლი აიძულეს. ეს საქმე დღემდე იდუმალეობითაა მოსილი, თუმცა მწერლის მკვლელობის მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი და საზოგადოების მიერ აღიარებული ვერსია მაინც არსებობს.



ჩარლზ სიმპკი

რატომ ვმარცხდებით?

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ



ახლა, როდესაც დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი, როდესაც ესპანელებიც და მათი ელეგანტური თამაშით აღფრთოვანებული ადამიანებიც ბედნიერები არიან*, როდესაც ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნდა რამდენიმე ქვეყანა, რომელთა გუნდებმა მოსალოდნელზე უკეთ, ან საშუალო დონეზე ითამაშეს ერთიანი ტურნირის განმავლობაში, წარუმატებელ ფეხბურთელთა თანამემამულენი ჯერ კიდევ ბობოქრობენ. ბევრ მათგანს სიცოცხლის ბოლომდე შეაცბუნებს მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ შეირცხვინა თავი მათმა გუნდმა ან როგორ იქცა ის აღმამაშფოთებელი უსამართლობის მსხვერპლად. ამგვარი ეროვნული გუნდების გულშემატკივრები, ალბათ უფრო მეტად ენამნენ, ვიდრე ნებისმიერი მარტივი ეკლესიის ისტორიაში, და მაინც, საეჭვოა, რომ თუნდაც ერთი მათგანი მოხვდეს სამოთხეში - ისინი ხომ გალურჯებამდე იგინებოდნენ და იწყებდნენ ყოველთვის, როდესაც მათი გუნდი მარცხს განიცდიდა.

ამას საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ვამბობ. პირველი მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც ყურადღებით ვადევნებდი თვალს, 1950 წელს ბრაზილიაში ჩატარდა. იუგოსლავიის გუნდი, რომლის გულშემატკივარიც ვიყავი, ტურნირის მასპინძლებმა რიო-დე-ჟანეიროში 142 000 მაყურებლის თვალწინ დაამარცხეს ანგარიშით 2:0. მახსოვს, როგორ გაიტანეს გოლები ბრაზილიელებმა - ადემირმა და ზიზინიომ და როგორ მიიღო ჩვენმა მთავარმა მოთამაშემ, რაიკო მიტიჩმა, თავის ტრავმა თამაშის წინ, როდესაც გვირაბიდან ფეხბურთის მინდორზე გამოდიოდა - სწორედ ამიტომ დავმარცხდით. თამაშის ტრანსლაციას რადიოთი ვუსმენდი, ან, უფრო ზუსტად, ვცდილობდი, მოემსმინა, რადგან პირდაპირ ეთერში კომენტატორის ხმა კარგად არ ისმოდა. ამის შემდეგ ღამე თეთრად გავათენე. ვოცნებობდი, მომდევნო დილას გავეთებში ამომეკითხა, რომ მატჩი სხვა ანგარიშით დასრულდა და რომ ჩვენ გავიმარჯვეთ.

მხოლოდ თორმეტი წლისა გახლდით, მაგრამ საკუთარი შეხედულება მქონდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვეთამაშა ბრაზილიელებთან და რომელი მოთამაშეები უნდა ყოფილიყვნენ ჩვენს გუნდში. დეტალები არ მახსოვს, მაგრამ ვნატრობდი, განუწყვეტლივ გაგვეტანა გოლები. ჩვენ, ბიჭები, ქუჩაში ვთამაშობდით ხოლმე ფეხბურთის ნაჭრის ბურთით, რომელზეც ფეხი მაგრად უნდა დაგერ-

* სტატია დაწერილია 2010 წელს, გამოქვეყნდა The New York Review of Books-ში.

ტყა. ამდენად, ვიცოდით მხოლოდ ის, რომ ბურთი მცველებს ირგვლივ უნდა გვეტარებინა და კარში შეგვევლო (უფოსლაგისა ჰყავდა ბრწყინვალე მოთამაშე, დრავოსლავ შეკულარაჩი, რომელიც იმხანად რადდენჯერმე მეთამაშა ქუჩაში. ლიონელ მესის მსგავსი შესანიშნავი დრობერი იყო და, როგორც ამბობდნენ, ასე იმიტომ დაოსტავდა, რომ თავდაპირველად, ნაჭრის ბურთით თამაშობდა). ჩემმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა, რომელსაც ყვეყმად მივაჩნდი, ერთხელ კლასში (მნიშვნელოვანი თამაშის წინ) მითხრა, ასე ამბობენ, უამრავი რამ გცოდნია ფეხბურთის შესახებო. ჩემი აზრი აინტერესებდა.

მეც ავდექი და ძალზე მჭყერმეტყველური ლექცია ნაწუკითხვით იმის შესახებ, თუ როგორი შანსები გვქონდა რუსეთის ფუნდში თამაშის დროს. მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც გაფაციცებით მისმენდნენ.

ასეთი ბავშვები და მოზრდილები მოიძებნებიან ყველა ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი პოპულარულია. მსოფლიო ჩემპიონატამდე რამდენიმე თვით ადრე ისინი კამათობენ მეგობრებთან თავიანთი ნაკრების შანსების შესახებ. ხან იმედები აღდგროვანებთ, ხან კი - სრული მარცხის შესაძლებლობა ამინებთ, რაც, უმეტეს შემთხვევებში, ხდება კიდევ (მეც მინდოდა, რომ სერბეთს გაემარჯვა, მაგრამ ვიცოდი, რომ ჩვენი თავდამსხმელების სიზიხტე ხელს უშლიდა გუნდის წარმატებას. ამასთან, მრავალი წლის განმავლობაში "არსენალის" გულშემატკივარი ვარ და, ამიტომ, ხანგრძლივი ინგლისური სეზონის შემდეგ ენერგია აღარ მრჩება, რომ ვუგულშემატკივრო ნებისმიერ ეროვნულ გუნდს. უბრალოდ, ვტყობი ხოლმე კარგი თამაშის ყურებით). ჩემი აზრით, ამქვეყნად, ერთ-ერთი უდიდესი, ამოუხსნელი საიდუმლო შემდეგში მდგომარეობს: რატომ ხდება, რომ კლუბის თერთმეტი საკმარისად განაფული მოთამაშე თამაშის დაწყების წინ საზეიმო გამომეტყველებით დგას მოედანზე და ცრემლებსაც კი ღვრის, როდესაც ეროვნულ ჰიმნს უკრავენ, მომდევნო ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში კი მიიღობრზე სრულიად უაზროდ მოქმედებს? რამ მიიყვანა საფრანგეთის ფეხბურთი თვითგანადგურებამდე? რატომ თამაშობენ ინგლისელები ესოდენ უნიათოდ? რატომბა იტალიაში ფეხბურთი ამდენად პროგნოზირებადი? რატომ დამარცხდა ბრაზილია საკმაოდ ტლანქ პოლანდიელებთან თამაშის დროს? რატომ მოხდა, რომ თითქოს უძლეველი არგენტინელები უმწიოდ უყურებდნენ, როგორ გაიტანეს გერმანელებმა ოთხი გოლი?

იმის თქმა, რომ საუკეთესო გუნდი იმარჯვებს, არ აკმაყოფილებს ათეულობით მილიონ იმედგაცრუებულ გულშემატკივარს. მარცხის მიზეზებს გულშემატკივრები ამგვარად განმარტავენ ხოლმე:

1. ყველაფერში დამაშავა მსაჯი, რომელიც ან არაკომპეტენტურია, ან ზენოლას განიცხადის ფიფას ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელიც მნიშვნელოვანი თანხების გაღების მეშვეობით კარნა-

ხოზს მსაჯებს, ვინ უნდა გამოარჯვოს ფინალში.

2. ჩვენი მწვრთნელი ბრყიყა - საუკეთესო მოთამაშეები მოედანზე არ გამოიყვანა და თავის გუნდს უბრძანა შეეეტითა მოწინააღმდეგისთვის, როდესაც მათ თავი უნდა დაეცვათ, და ურჩია, ფრთხილად ეთამაშათ, როდესაც ისინი შეტევაზე უნდა გადასულიყვნენ.

3. ჩვენი მოთამაშეები გაქსუებული "პრიმადონები" არიან, რომელთაც ზედმეტ ფულს უხდიან და რომლებსაც არ ძალუძთ სრული კონცენტრირება თამაშზე, რადგან თავში მხოლოდ სატროფები, აგარაკები და საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხული მილიონები უტრიალებთ.

4. ნაციონალისტების აზრით, წარუმატებლობის უპირველესი მიზეზია ერის დაკნინება. ყველა ჯორის იმიგრანტმა მოთამაშეებმა განაზავეს და დედაკაცთა ხროვად აქციეს ეროვნული გუნდი. უკვე აღარ ვიცი, როგორ ვიძუმათი და ვიბრძოლოთ ერთად, როგორც ადრე ვიცეოდით.

ეს მიზეზები (მეოთხის გარდა, რომელიც სრულიად უსაფუძვლოა) სიმართლის მარცვალს შეიცავს. თანამედროვე ტექნოლოგიისა და ტელევიზიის სამაყუნებლო კომპანიების წყალობით შევიძლია დავაკვირდეთ ყველა თამაშს სხვადასხვა რაკურსიდან. მსაჯთა უსამართლო გადაწყვეტილებები - რაც ფეხბურთში იშვიათი მოვლენა როდია - ამ მსოფლიო ჩემპიონატზე კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და ძვირადღირებული იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. თვით საუკეთესო მწვრთნელებმაც - მაგალითად, ინგლისში ფაბიო კაპელომ და ბრაზილიაში დუნგამ - ვერ შეძლეს თამაშის გადამწყვეტი მომენტების სწორად შეფასება და ვერ განხიროცილეს სწორი ტაქტიკური ცვლილებები. რაც შეეხება მრავალი გუნდისა და შესანიშნავ ფეხბურთელთა დუნე თამაშს, რა უნდა გაეწყნოთ მათ მოედნის პერიფერიზე?

არგენტინელი მწვრთნელი მარადონა ძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობრებითი კონცნდა თითოეულ მოთამაშეს, მაგრამ სიყვარულის ამ საჯარო გამოვლინებამ ვერაფერი უშველა მის გუნდს გერმანელებთან (რომლებიც ყოველთვის არჩეულეებრივად მიზანმიმართულად თამაშობდნენ, თუშეცა მათ მწვრთნელს, ოთაში ლიოეს უმეტესწილად გულგრილი გამომეტყველება ეფინა სახეზე). საფრანგეთში, გუნდის მარცხის გამო, საკანონმდებლო ორგანომ გამოიძევა მოითხოვა და პრეზიდენტმა სარკოზიმ გუნდის ერთ-ერთი ძველი მოთამაშე პირისპირ საბურისთვის გამოიძახა თავის სასახლეში, ელისეს მინდერებზე. ეს სრულიად ზედმეტი გახლდათ - პარიზშიც და მარსელშიც ყველა ოფიცინტმა და ტაქსისტმა იცოდა, რომ ეროვნული ნაკრებში მწვრთნელი, რომელიც, თავისი არჩევანისა და ტაქტიკის შერჩევისას, როგორც ჩანს, ასტროლოგის რჩევებს ყვრდნობდა, გაბღენძილი ყეყეჩი იყო.




ნიკ ჰორნბი

„ამბობენ, რომ ჩემმა ნიგნმა საშუალო ფენა ფეხბურთით დააინტერესა. ამ მოსაზრებას არ ვიზიარებ.“

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

„საფეხბურთო ციებ-ცხელების“ ავტორი ნიკ ჰორნბი აღწერს, როგორ შეიცვალა ის, ფეხბურთი და საზოგადოება ბოლო ოცი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მისი პოპულარული ავტობიოგრაფიული წიგნი პირველად გამოიცა.



2011 წლის თებერვალში, უფრო ზუსტად კი, 27 თებერვალს, დაახლოებით 17:50-ზე, ჩემმა ვუნდმა, „არსენალმა“ „უემბლიზე“ თასის ფინალში „ბირმინგემ სიტისგან“ ბოლო ნუთზე გაუშვა გოლი და შედეგად, თამაში დათმო. ჩემს თვალწინ სტადიონის საპირისპირო მხარეს ბირმინგემის გულშემატკივრებმა სიხარულის ყიფინა დასცეს, ვერ იჯერებდნენ, რაც მოხდა და ეს მათ სიხარულს უფრო აძლიერებდა: „ბირმინგემი“ პრემიერ-ლიგიდან გავარდნის ზღვარზე იმყოფებოდა და ყველა „არსენალის“ იოლ გამარჯვებას ელოდა.

მე და „არსენალის“ გარკვეული ასაკის სხვა გულშემატკივრებს მსგავსი რამ უკვე განგვეცადა: მინახავს ჩემი ვუნდის მარცხი მესამედივიზიონელ „სუინდონ თაუნთან“ და პატარა „ლუთონთან“, და მეორედივიზიონელ „უესტ ჰემთან“ - ეს მატჩები ჩემს

ნიგნში, „საფეხბურთო ციებ-ცხელებაში“ აღწერე. ამგვარად, იმ დღეს სტადიონზე ჩემს ახალგაზრდა „მეს“ არც მოვლენათა ტრაგიკული განვითარება გააკვირვებდა და არც ჩემი სასონარკვეთილება. იმედეცრუებული კი დარჩებოდა ალბათ, რომ 21-ე საუკუნეში მსგავსი რამის აღსაკვეთად ჯერაც არაფერი გამოუგონებიათ ან რაიმე კანონი არ დაუნესებიათ.

თუმცა თერთმეტი წლის ბიჭს, რომელიც „არსენალის“ „სუინდონთან“ მარცხს შეესწრო, „ბირმინგემის“ თამაშის მრავალი ასპექტი დააბნევდა; ხოლო 34 წლის ნიკ ჰორნბის, რომელმაც „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ დაწერა, მცირეოდენი ახსნა-განმარტება დასჭირდებოდა. მაგალითად: მატჩში ანგარიში თავური დარტყმით „ბირმინგემ სიტის“ მოთამაშემ, ბუმბერაზმა სერბმა გახსნა, ხოლო „არსენალმა“ ჰოლანდიელი მოთამაშის გოლით გაათანაბრა. გამარჯვე-

ბის გოლი კი რუსული კლუბიდან ნათხოვარმა ნიგერელმა ვაიტანამ, მან ფრანგი და პოლონელი მცველების შეუთანხმებელი მოქმედებით და მათი სულელური შეცდომით ისარგებლა. ვინ იყო ეს ხალხი? „უემბლის“ სტადიონზე, ინგლისის საშინაო ტურნირზე რატომ თამაშობდნენ? თითქმის 90 გირგატი სწორ-ლინგე მათ საყურებლად რატომ გადავიხადებ?

„საფეხბურთო ციებ-ცხელება“ 1992 წელს გამოიცა და მას შემდეგ ინგლისური ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. სიმარტო ითქვას, ბოლო 20 წელიწადში უფრო მეტი რამ მოხდა, ვიდრე წინა 70 ან 80 წელიწადში. თამაში აჩქარდა და გაუმჯობესდა, ფეხბურთელები ცეცხლად მომზადებული და დაოსტატებული არიან. ჩვენი სტადიონების უმეტესობა უსაფრთხოა, მაგრამ ბილეთები კატასტროფულად გაძვირდა და იოლად ვერ იშოვნი, მაყურებლები უფრო ჩუმი გახდნენ, რადგან მათი საშუალო ასაკი მატულობს. თითქმის ყოველი მოთამაშე, ვისაც იმ ბოლო ათწლეულში ინგლისის პრემიერ-ლიგაში უთამაშია, მულტიმილიონერია, არადა, გასული საუკუნის 90-იან წლებს დასაწყისში ყველაზე ნიჭიერი ინგლისელი მოთამაშე პოლ გასკოინი იტალიის უფრო მდიდარ და მომზობვლულ საფეხბურთო ლიგაში თამაშობდა. დღეს არც ლინა არსებობს და აღარც მისი სიმბოლი. თუ საკაბელო არხებს ჩაირთავთ, დღემდე ორინახში მატჩის ყურებას შეძლებთ; საფეხბურთო ტრანსლაციებს ევროპის ნებისმიერი წერტილიდან გადმოსცემენ; ტელევიზიით ნიუ-იორკში ან კანარის კუნძულებზე უფრო ადვილად ნახათ პრემიერ-ლიგის მატჩებს, ვიდრე უნივერსიტეტის; მსოფლიოს ნებისმიერ ბარში იპოვით თანამოსაუბრეს, სატრანსფერო ბაზარზე არსენ ვენგერის სიჯიუტის გასაკრიტიკებლად. უნდა პირქუმი და არც ისე მიმზიდველი უნდა, ჩემი „არსენალი“, უცვრად ესთეტიკური სრულყოფილების სიმბოლოდ იქცა და არსებობის მანძილზე ყველაზე წარმატებული ხანა დაუდგა; 1997-2006 წლებში ყოველ შაბათს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ცქერით ვტკბობდი.

ამ ცვლილებათა უმეტესობას სათავე „ჰილსბოროს ტრაგედიაში“ და რუპერტ მერდოკმა დაუდო. „ჰილსბოროს“ შემდეგ ყველა შეთანხმდა, რომ აუცილებლად რაღაც უნდა გაკეთებულიყო, რომ ვეებერთელა, დაზარალი ბეტონის იარუსები საშობი იყო და ნაშუადღევს სტადიონზე გასართობად და მატჩის საყურებლად მისულ გულშემატკივარს დაშვების ან სიკვდილის შიში არ უნდა ექონებოდა. ხოლო ვაჭრისა ახმა მერდოკმა წინასწარ განჭვრიტა, რომ მისი ტელევიზია მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის შეუცვლელი გახდებოდა, თუ მსოფლიოში უპოპულარესი სპორტის სახეობის ტრანსლაციების უფლებას შეიძენდა. მან ფეხბურთი ფულში ჩაძირა, ინგლისის ჩემპიონატი ვეტერანი უცხოელი ვარსკვლავები გამოიწვინდა, ხოლო კლუბებმა სეზონური აბონემენტების ფასები გაზარდეს, რათა მოთამაშეებისთვის ძალიან გაზრდილი, მანამდე გაუგონარი ხელფასები გადაეხადათ.

წამიკითხავს, თანაც არაერთხელ, იმდროინდელი მოსაზრებები, რომ ფეხბურთის გარდაქმნაში „საფეხბურთო ციებ-ცხელებასაც“ მიუძღვის წვლილი. ამ თეორიის მიხედვით, ჩემმა წიგნმა მოსახლეობის

საშუალო ფენა ფეხბურთით დაინტერესა და თანდათან საშუალო ფენა იქცა იმ ერთადერთ მაყურებლად, ვისაც ბილეთის ყიდვის საშუალება გააჩნია. სიამოვნებით დავიბრალებდი, რომ მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული ცვლილებების შემოქმედე ვარ, მაგრამ რადღაც სამწუხაროც უნდა იყოს, არ შემიძლია. ზედმეტი თავმდაბლობაში ნუ ჩამოხართ-მეეთ, მაგრამ საერთაშორისო მედიაშიპერის მფლობელმა უფრო დიდი გავლენა მოახდინა ბრიტანულ სპორტზე, ვიდრე ჩემმა პირველმა წიგნმა. არსებობს ერთგვარი ეჭვი, ვარაუდი, თითქოს „საფეხბურთო ციებ-ცხელების“ წარმატება მხოლოდ და მხოლოდ საშუალო ფენის მკითხველთა დამსახურებაა, რადგან მუშათა კლასის წარმომადგენლები წიგნებს არ კითხულობენ. თუმცა მე პირიქით მგონია. ჩემი აზრით, „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ წაიკითხა ხალხმა, რომელიც რეგულარულად ყიდულობს წიგნებს და იმთავით ეჭვი, ვარაუდი; ჩემი წიგნი წაიკითხეს ოქსბრიჯის კურსამთავრებულმა და უმაღლესი განათლების არმიქონებმაც. მკითხველთან ჩემი საუბრებიდან გამომდინარე ვასკენი, რომ ჩემი განათლება (საშუალო მოსწრების მოსწავლე და გულდენტი ვიყავი საჯარო სკოლასა და კემბრიჯის უნივერსიტეტში) სრულიად უმნიშვნელოა იმ ფსიქოლოგიურ ტრავმასთან შედარებით, 1969 წლის ინგლისის ლიგის თასის ფინალში დონ როჯერსის გატანილმა გოლმა რომ მომაგინა.

„საფეხბურთო ციებ-ცხელება“ დრამატული ნაწარმოები არ არის - დანერა არ გამძაღვლებია და გამოცემილაც შედარებით ადვილად ვიპოვებ. თავიდან რამდენიმე გამომცემელმა უარი მითხრა, აქაოდა, საფეხბურთო წიგნები ცუდად იყიდებაო. მომეჩვენა, რომ მათი ეს შეხედულება ზემოთ აღნიშნულის მსგავს არადემოკრატიულ, მცდარ წარმოდგენებს ეფუძნებოდა. გამომცემლები აშკარად შემდეგს გულისხმობდნენ: „ფეხბურთის გულშემატკივრები იდიოტები არიან, მაგრამ ეს იდიოტები იმ უზარისხო, გოუსთრიატურების“ მიერ დაწერილი ავტობიოგრაფიებსაც არ კითხულობენ, დიდ-დიდი კტორაით რომ გამოვცემთ. შენს პოსტმოდერნისტული ელემენტებითა და ჯეინ ოსტინის ციტატებით სავსე წიგნს სწორიოდ არა აქვს მანსი!“ რატომღაც იმას არ ფიქრობდნენ, რომ უზარისხო და გოუსთრიატურის მიერ დაწერილი წიგნები იმიტომაც არ იყიდებოდა, რომ უზარისხო და გოუსთრიატურის მიერ იყო დაწერილი. შეიძლება „საფეხბურთო ციებ-ცხელებას“ ფეხბურთის გულშემატკივართა სოციალური შემადგენლობა არ შეუცვლია, მაგრამ იმედი მაქვს, გამომცემლები განსხვავებული სახის სპორტული ლიტერატურის კომერციულ პოტენციალში მინც დააინტერესდნენ. გადაჭარბებული პრეტენზიების წამოყენებას არ ვაპირებ და ჩემს წიგნს ლიტერატურულ მიდევნებად ვერ ჩავთვლი, მაგრამ როცა მასზე ვმუშაობ, ზუსტად ვიცი, რომ წიგნს ფეხბურთის გულშემატკივრები გონების ზედმეტი დაძაბვის გარეშე წაიკითხავდნენ. ჩემი შთაგონების წყარო ორი ამერიკული წიგნი იყო:

* ghostwriter - ვინც, სხვას უწერს მემუარებს, მოხსენებას და ა. შ. ფაქტობრივი ავტორი. სიტყვასიტყვით: „მწერალი-აჩრდილი“.



ტობიას ვულფის „ამ ბიჭის ცხოვრება“ და ფრედრიკ ექსლის გამოსვლისას ნაკლებად დაფასებული, მაგრამ დღეს უკვე უკეთესად ქცეული „ფანის ჩანანერები“ (მისგანვე ვისესხე „საფეხბურთო ციებ-ცხელების“ ქვესათაური: „ფანის ცხოვრება“). სავარაუდოდ, მიზეზი ისაა, რომ პოპულტურა ამერიკის მშენებელს, ამერიკაში არაიის აკვირებს ის ფაქტი, რომ ავტორები ბენისობის ანგარიშებშიც ისევე კარგად ერკვევიან, როგორც თანამედროვე პოეზიაში. აი, დიდ ბრიტანეთში კი მსგავსი ტიპის კულტურულ განათლებას ჯერ ისევე ეჭვის თვალთი უყურებენ. თუ ფეხბურთის გულშემატკივარს კითხვას უყვარს, ის უთუოდ პრეტენზიული და არისტოკრატიული უნდა იყოს, ხოლო პოეტი, რომელსაც სეზონური აბონემენტი აქვს, სიღარიბეში უნდა ცხოვრობდეს.

მე ისიც ვიცოდი, რომ ფეხბურთის გავლენა მოსახლეობაზე „საფეხბურთო ციებ-ცხელების“ გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაიზარდა. ძალიან ბევრი იმათგან, ვინც საფეხბურთო მოედანზე თამაშობდა, ან ვისაც მე ვეთამაშებოდი, ჩემსავით პირველი თაობის საშუალო ფენის წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენ ომის შემდგომი სოციალური მობოლობით ვისარგებლეთ. მშობლებისგან განსხვავებით, ჩვენ უნივერსიტეტებში ვისწავლეთ და უმეტეს შემთხვევაში, ფეხბურთივც მამებისა და პაპების ხათრით შევიყვარეთ. თანაც, როცა 1966 წელს ინგლისს მსოფლიოს თასი მოიპოვა და ჯორჯ ბესტი „ბოთლზის“ მესხეთ წევრად იქცა, ფეხბურთმა ძველმოდური ნიუანსები მოიშორა და მისი შეყვარება პოპულსკის შეყვარებასავით იოლი გახდა. 1980-იან წლებში, როცა ფეხბურთი დაეკარგა, უამრავმა ბავშვმა შეწყვიტა სტადიონზე სიარული, მაგრამ 1990-იან წლებში, როცა ფეხბურთი გამოკეთდა, უამრავმა მათგანმა კვლავ გააზიზილა მატჩებზე დასწრება (ალბათ მეც უნდა მიმეტოვებინა ფეხბურთი, მაგრამ ვერ შევეცდი და, უმინარეს ყოვლისა, სწორედ ჩემმა შეუპოვობამ დაამანერის ეს ნივთი). როცა ახალგაზრდები ერთმანეთისთვის მუშტების ბრავუნს გადაეჩვივნენ - ან, უფრო ზუსტად, პოლიციამ მათი გამოშვინება ისწავლა - მრავალი გულშემატკივარი დაუბრუნდა ფეხბურთს. განსაკუთრებული სოციოლოგიური სირთულე არ წარმოქმნილა. როცა „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ იწერებოდა, ჩვენს სტადიონებზე სიტუაცია ვანსაღდებოდა, გულშემატკივრების რაოდენობა მატულობდა, ოჯახების და ქალების მიმართ მეგობრული დამოკიდებულება ყალიბდებოდა და ნივთაც დაუმსახურებელი წარმატება მოიპოვა; თუმცა ხანდახან უსაფუძვლოდაც აკრიტიკებდნენ. მოგვიანებით შევიტყვე, ჩემს წიგნს სხვა ქვეყნებშიც მსგავსი გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით შპ-ში, სადაც, ცნობილ მიზეზთა გამო „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ დიდწილად უყურადღებოდ დარჩა. როგორც ჩანს, პროფესიული სპორტი ყველაგან საშუალო ფენის მოხმარების სახნად იქცა. კომპანიების მენეჯერებს თანაოთი კლიენტები გასართობად თვატვრში და ოპერაში აღარ მიჰყავთ. დღეს საშუალო ფენის ხალხი ყველაგან განსხვავებულია, აქვს როცა განსხვავებული წარსული და გემოვნება აქვს. როცა „ბირნიანგე სიტომ“ 89-ე წელზე გამარჯვების გოლი გაიტანა და „არსენალი“ დამარცხდა, ისევე ჩვეული წყენა ვიგრძე-

ნი, ისევე ვუთხარი საკუთარ თავს, რომ ასეთი საშინელების ხელახლა განცდა აღარ მინდა; თუმცა ეს ყოველივე იმას როდი ნიშნავს, რომ ბოლო ოცწლეულში ფეხბურთი არ შეცვლილა. მეც ჰგონი რამ შემეშინებოდა და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ მოგონებებია, იმ დღეს სტადიონზე, მე ამ წიგნის გარდაქმნილი პერსონაჟი ვიყავი. მოედანზე მორბენალ იდუმალ ფეხბურთლებს რომ თავი დაეანებოთ, ვინ იდგა იმ დღეს ჩემს გვერდით ტრიბუნაზე? როცა ეს წიგნი დავეწერე, უცლოშვილო ვიყავი; 2011 წელს „უემბლიზე“ ჩემი მეორე ცოლი და ორი უმცროსი ვაჟი მახლდა. ერთი ბიჭი რვა წლისა იყო, მეორე - შვიდისა, ორივენი „ჰაიბერისა“ და „ემირატისი“ სახალოვეს გაიზარდნენ. „უემბლიზე“ ინგლისის ლიგის თასის ფინალში მოთამაშე თავიან ვუნდს პირველად უყურებდნენ. უმცროს ბიჭს ცრემლები ნასკდა, უფროსმა დედას ხელი მოჰკიდა და გასაცვლელისკენ წაიყვანა. „არსენალის“ კარში გასულმა გოლმა გული კი დამწყვიტა (ახლა წუნუნს რალა აზრი აქვს, მაგრამ კომბილდის ის ბურთი ტრიბუნებისკენ უნდა მოეგერიებინა), მაგრამ ჩემი შვილები უფრო შემეცოდნენ და თავი დამნაშავედ ვიგრძენი, რადგან უჩემოდ, „არსენალთან“ ჩემი კავშირი (რომელსაც ამ წიგნში აღვწერ) რომ არა, იმ დღეს სტადიონზე არ იქნებოდნენ.


ერთი შეხედვით, ეს კავშირი არასდროს გამაყდარა, ბოლო ოცწლეულიში მხოლოდ 20 საშინაო მატჩი თუ მექნება გაცდენილი და „არსენალის“ მიერ ცუდად ჩატარებული შეხვედრების შემდეგ ჩემს სახლში ყოველთვის სევდა ისადგურებს ხოლმე. ახლა, როცა ჩემი ვადა შინ ფეხბურთის სხვა ფანებიც ცხოვრობენ, მონყენილობა უფრო თვალმისაცემია. თუმცა თამაში შეიცვალა, სტადიონიც შეიცვალა და ბავშვობის და ახალგაზრდობის სირთულეებც გადავლახე - დანყებოდი მძიმე საქმე ბოლომდე მივიყვანე (რამაც „საფეხბურთო ციებ-ცხელება“ დამეხმარა) და მიუხედავად სიძნელებისა, მრავალფეროვანი ოჯახური ცხოვრებით ვცხოვრობ.

იმავე წიგნს აღარ და ვეღარ დავწერდი, ოღონდ ამით „საფეხბურთო ციებ-ცხელების“ ღირსებებს როდი ვაკინებ, რადგან ეს ჩემი უწინარობა ერთი მხრივ, რალაცხად დაკარგვისა და მეორე მხრივ, ზრდის შედეგია. მენატრება ის ადამიანი, ვისაც სიმძაფრისა და მოუხვეწრობისთვის საკმარისი დრო და ენერჯია ჰქონდა; დღეს რომ მინედეგს მასზე წერა, ალბათ თავზე ხელს გადავფრვამდი და ვეტყვიდი, რომ დროთა განვლილობაში ასაკი მოემატება და დატყვიანდება, რომ მთელი წიგნი აზრს დაკარავს. მე ეს ვიგრძენია და ჩემთან ერთად მილიონობით ადამიანზეც იგრძნო. ამ მილიონობით ადამიანმა შესაძლოა ვეღარ იცნოს წიგნში აღწერილი თამაში და სტადიონები, რომელზეც ის იმართებოდა, მაგრამ ჩემი ვაჟები და მილიონობით გოგონებიც მთელ მსოფლიოში სწორედ ახლა იწყებს მოგზაურობას, რომელიც მათ უდიდეს ტკივნის და ხანდახან - უსაზღვრო სიხარულს მოჰპოვებს. არა მგონია, ეს მოგზაურობა ოდესმე დასრულდეს.

სტატია აღებულია ნიკ ჰორნბის „საფეხბურთო ციებ-ცხელების“ საუბილო გამოცემის ბოლოსიტყვაობიდან. 2012 წ.

ჯულიან ბარნსი

„რა ცუდი თამაშია ფეხბურთი“



რამდენიმე წლის წინ ჩემი გერმანელი მთარგმნელი ბერლინში მანქანით მასეირნებდა. გროსერ-შტერნს რომ შემოვუარეთ, მოედნის შუაგულში მდგარი გრანდიოზული მონუმენტის შესახებ ვკითხე. მონუმენტი შედგება ბაზისისგან, რომელზეც დგას კოლონადა, კოლონადაზე დგას კანელურებიანი სვეტი, ხოლო სვეტის წვერზე - რვა მეტრის სიგრძის ფრთოსანი ოქროს ქალღმერთი.

- ეს გამარჯვების სვეტია, - მიპასუხა ქალმა. - ერთადერთ ომში მოვიპოვეთ გამარჯვება და ამის აღსანიშნავად აღმართეს.

ჩემმა მთარგმნელმა, ალბათ, ერთადერთი დიდი გამარჯვება იგულისხმა. 1860-იან წლებში დანიისა და ავსტრიის წინააღმდეგ მოპოვებული გამარჯვებები ევროპის თასის მოგებას ჰგავდა, ხოლო 1870 წელს ომში საფრანგეთის დამარცხება მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების ტოლფასი იყო. როგორც ინგლისელებმა 1966 წელს „უემბლიზე“ ტრიუმფი, გერმანელებმაც ეს ერთადერთი დიდი გამარჯვება გააფუტიეს. ამჟამინდელ ადგილას სვეტი 1938 წელს ნაცისტებმა ადგეს და მუქარის ნიშნად, განგებ დასაეღეთით, საფრანგეთისკენ მიუქციეს პირი.

- ორი მსოფლიო ომი, ერთი მსოფლიო თასი, -

გამომწვევად უმღერიან ჩვენი ყველაზე დეკლასირებული გულშემატკივრები მოპირდაპირე იარაღებზე მსხდარ გერმანელ ფანებს.

- სამი მსოფლიო თასი, ერთი საფრანგეთ-პრუსიის ომი, - ისმის პასუხად.

არა, ამის თარგმანში გადმოცემა რთულია.

ფეხბურთი, როგორც ჰელმუთ ფონ მოლტკემ* შეგვახსენა, ერთგვარი ომია და აი, კვლავ დავგიდგა სულელური პატრიოტიზმის დრო. ამჯერად საბრძოლველად თეთრი სამწყობრო ცხენით კი არა, თეთრი ავტოფურგონით მივემართებოთ. წმ. გიორგის დროშა ნეონაცისტებისგან დავიბრუნეთ, ხოლო ჯანდაცვის სამსახური ორივე შედეგისთვის - გამარჯვებისთვისაც და დამარცხებისთვისაც (განსაკუთრებით პენალტებით ნაგებისთვის) ემზადება, რადგან ამას მოჰყვება ინფარქტები, ოჯახური ძალადობები, საკუთარი თავისთვის მიყენებული ჭრილობები (არ იფიქროთ, თითქოს დევიდჯეიმსზე მიგანიშნებდეთ) და ავტოავარიებში მიღებული ტრავმები. ამასობაში, ოქსფორდის უნივერსიტე-

* პრუსიის გენერალური შტაბის უფროსი და ფელდმარშალი ზემოსხენებულ ომებში.

ტის გამომცემლობამ 1863 წელს შექმნილი „ფეხბურთის წესები“ ხელახლა გამოცდა, რათა ეროვნული გუნდის საგულშემატკივროდ მიმავალმა ქომაგმა პრეზერვატივებთან და ოპტიმიზთან ერთად თან წაიღოს.

სპორტული თამაშების მოძულეები ამ ციებ-ცხელებამი, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება (ან, ყოველ ორ წელიწადში, თუ ევროპის ჩემპიონატსა და ვაშალტობა) მხოლოდ დროშების აგრესიულ ქნევას ხედავენ. სინამდვილეში ამ ყოველივეს საფუძვლად იმდენად გულუბრყვილო მოლოდინი უდევს, რომ გული აგირწყდება კაცს. ილუზიები სავარაუდოდ წარმავალზე ერწყმის სამართლიანობისთვის ბრძოლის გულწრფელ რწმენას და იმედს იმისას, რომ სამართლიანობისთვის აუცილებლად დაჯილდოვდება. 1870 წელს ფრანგი რეზერვისტი პარიზის რკინიგზის სადგურებიდან დაიძრნენ შეძახილებით „à Berlin!“. მათ ეგონათ, ბერლინამდე რამდენიმე კვირამი მიაღწევდნენ. Plus ça change: დღესაც ინგლისელი გულშემატკივრები წინასწარ ემზადებიან (და ფრანგებიც, რომ აღარ ვთვრი ვეთვაძა, ტრინიდადი და ტობაგოელებზე) 9 ივლისს ამ ქალაქში შესაკრებად.

შტეფან ცვაიგი (ბოლოს და ბოლოს, ეს ზოგადი მიმოხილვის რუბრიკაა და არა - სპორტული განყოფილება) ორი მსოფლიო ომის წამოწყებას მოეხსნა, ორივეჯერ სხვადასხვა მხარეს იდგა. იგი წერს, რომ 1914 წელს პატრიოტიზმის შესახებ ერთობ გულმოდრინად, ბავშვურად მსჯელობდნენ, ეროვნულ დიდებებს ბრმად ენდობოდნენ და ომის იდეალიზებული ხედვა არსებობდა. მეორედ, როცა პირველი ომის იარები ჯერაც არ იყო მოშუშებული, ბევრად ჯანსაღი გარემო იყო: მსოფლიო ხედვებოდა რომ ეს ზნეობრივი მნიშვნელობის ომი იქნებოდა. „აი, 1914 წლის ომს კი რეალობასთან არანაირი საერთო არ ჰქონდა - წერს ცვაიგი, - არსებობდა მხოლოდ ილუზია, ოცნება უკეთესი, სამართლიანი და მშვიდობიანი მსოფლიოზე. ბედნიერებას კი სწორედ ილუზია განიჭებს და არა - ცოდნა.“ გულის სიღრმეში ეს ფეხბურთის ყველა გულშემატკივრამაც იცის.

ამგვარად, ფეხბურთისა და ომს შორის მითიურ კავშირს სწორედ პირველი მსოფლიო ომი წარმოქმნის და არა - მეორე მსოფლიო ომი. ამის დასტურს ნეიტრალურ ტერიტორიაზე საშობაო ზავისას გამართული საფეხბურთო მატჩებიც - „ტომები“ და „ფრიცები“** მოპირდაპირე სანგრიდან ამომავალი, ხრინინანი ხმით წამღერი „Stille Nacht“-ის აკომპანემენტით თამაშობდნენ. მეგობრ ბრეგი „ფეხბურთის წესების“ შესავალში გვსახელებს, რომ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში სახელმწიფო საფეხბურთო მატჩებს მოხალისეთა რეკრუტირებისთვის იყენებდა. Time-ის მიხედვით, 1914 წლის ნოემბრისთვის საფეხბურთო ასოციაციების დახმარებით 100 000 მოხალისე შეგროვდა, ხოლო „5000“ პროფესიონალი ფეხბურთელიდან 2000 არბაში ჩაენერა. ორი საფეხბურთო ბატალიონის ფორმირება

მართლაც მოხერხდა, მაგრამ მეომარ ფეხბურთელთა რიცხვი, სავარაუდოდ, გაზვიადებულია. ამ ამბავს ბრწყინვალე მამაცობის მაგალითად ვერ მოიყვანათ. 1914-15 წლების საფეხბურთო სეზონი არ ჩამოიღო, რაც საყოველთაო კრიტიკის საგანად იქცა და ფეხბურთელებს მოლატისის იარული მიაკერეს, მაშინ როცა რაგბისტებმა პატრიოტიზმი გამოიჩინეს და ბუციები ლურსმანზე ჩამოვიდეს. რედლიანდ კიპლინგმა, აქტიურმა გამწვევად და მხდალებიან და სამხედრო სამსახურზე ამა თუ იმ მიზეზით უარის მიქმელთა მდევნელმა, ომის დასაწყისში „1800“ პროფესიონალი ფეხბურთელისგან ბატალიონის ფორმირების გეგმა შეიმუშავა (ზუსტად რამდენი ჯარისკაცი ფეხბურთელი ირიცხებოდა ზემოთ ხსენებულ ბატალიონებში, უცნობია, რადგან მეორე მსოფლიო ომში სამხედრო არქივების უდიდესი ნაწილი განადგურდა). როგორც ჩანს, მხოლოდ „რამდენიმე ათეული“ მოხალისე გამოჩნდა და გეგმა ვერ განხორციელდა. კიპლინგმა ზიზღით განაცხადა: „რა ცუდი თამაშია ეს ფეხბურთი!“

1863 წელს ოქსბრიჯის კურსდამთავრებულთა ჯგუფის მიერ პაბ „ლინკოლნს ინში“ საფეხბურთო წესების შედგენა ბევრს ფეხბურთის დაბადების მომეტად მიაჩნია. ბრეგმა „ფეხბურთის წესები“ იმ თორმეტი წინის შესახებ შეიტანა, რომელმაც მსოფლიო შეცვალა. თუმცა მასში აღწერილი თამაში, ანუ „დაარტყა-დაიჭირეთ“ უხარისხო კარამდე მიღწევა და გოლის გატანა, რაგბისთან - ან, ავსტრალიურ ფეხბურთთან - უფრო ახლოს უდგას, ვიდრე იმასადა, რასაც უახლოესი კვირების განმავლობაში გერმანიის სტადიონებზე ვნახავთ. სერ ჰობი ჩარლტონი შესავალში აღნიშნავს, რომ ეს ელემენტარული წესები განასახიერებს „არსსა და სულს“ და საშობაო და მონაწილეებს „პატიოსნებისა“ და „სიმამაცის“ გრძობას აღუძრავს. სანტერესოა, ამის თქმის საფუძველს რო აძლევს. ალბათ მე-9 წესი: „იკრძალებს და ფეხის დადება და ჩრტიყმა, არცერთმა მოთამაშემ მეტოქეს ხელი არ უნდა ჰკრას და არც დაიჭიროს იგი“. ან მე-13 წესი: „არცერთი მოთამაშის ფეხსაცმლის ლანჩზე არ ქუსლზე არ უნდა იყოს გადაკრული გუტაპერჩი ან რკინის ფურცელი და ფეხსაცმლიდან არც ლურსმანი არ უნდა იყოს გამოშვებული“. სხვათა შორის, არც ფრჩხილები უნდა გქონდეს ნევეტიანი!

ჩემი გერმანელი მთარგმნელი მეუბნება, რომ „გამარჯვების სვეტის“ უკან მდებარე ქუჩა ტურნირის განმავლობაში დაიკეტება და „ფანების ქუჩა“ გადაკედება.

იქ დიდ ეკრანებზე ფეხბურთის ყურებას, ჭამას-სმას, სიმღერების მღერას, ერთმანეთისთვის თავპირის დამტვრევას და თავის მოზებურებას შეძლებთ, - მხიარულად ამბავს იგი.

ვარდა ამისა, იგი ინგლისელ ქომაგებს გაუგებრობის თავიდან აცილებას ურჩევს: ბოლო წლებში „გამარჯვების სვეტი“ ბერლინის გვი მოსახლეობისთვის ტრეკებად აუარჩევს. ამ სახელწოდებითვე გამოიკვეთა გერმანიაში ყველაზე დიდტორაფიანი ჟურნალი გეებისა და ლესბოსელებისთვის. სიმბოლოს დაბრუნებაც ამას ჰქვია!

მეტსახელები, რომლითაც ინგლისელი და გერმანელი ჯარისკაცები ერთმანეთს მოისხნიებდნენ განსაკუთრებით პირველ მსოფლიო ომში.

დევიდ რანსიმენი

Fergie Time*

ინგლისურიდან თარგმნა ნიკა სამუშიამ

დევიდ რანსიმენის ეს წერილი ვრცელი რეცენზიაა ალექს ფერგიუსონის წიგნზე ჩემი ავტობიოგრაფია". წიგნი სულ ახლახან ქართულადაც გამოსცა გამომცემლობა არტანუჯმა" (მთარგმნელი ივანე ჩხიკვაძე). წერილი გამოქვეყნდა The London Review of Books-ში, 2014 წლის იანვარში.



ალექს ფერგიუსონს შეთქმულების თეორიების სჯერა, თუმცა მთლად კონსპიროლოგს ვერ ვუნოდებთ. შეთქმულების თეორიების მომხრეები ყოველდღიური მოვლენების უკან ფარულ გარიგებებსა და ტყუილს ხედავენ. მათი ურყევი პოზიციაა, რომ სადღაც ვიღაც ყოველთვის რაღაცას გეგმავს. აი, კონსპიროლოგები კი უფრო შორს მიდიან: ისინი წერტილებს აერთებენ და ერთი შეხედვით დაუკავშირებელ შემთხვევებს ერთმანეთთან აკავშირებენ; ყოველი მოვლენის ასახსნელად ერთადერთ განმარტებას ეძებენ. შეთქმულების თეორიის მომხრისთვის არაფერია სრულიად უცნებელი. კონსპი-

* სიტყვასიტყვით: "ფერგიუსონის დრო"; ფრაზა, რომელსაც ინგლისურ ფეხბურთში იყენებენ. მეტისმეტად გახანგრძლივებული დამატებული დრო, როცა ჩამორჩენილი ტოპგუნდი ანგარიშს ათანაბრებს ან მატჩს იგებს. ხშირად დამატებული დროის განელვა მონინალმდე გუნდის უკმაყოფილებას იწვევს. დამატებულ დროში "მანჩესტერ იუნაიტედს" არაერთხელ მოუგია მნიშვნელოვანი მატჩები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1993 წელს "შევილდ იუნაიტედთან" პრემიერ ლიგაში და 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გამარჯვებები. ორივე შემთხვევაში "მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონობა მოიპოვა.



როლოგისთვის არაფერია სრულიად შემთხვევითი. შეთქმულების თეორიის მომხრეები ცბიერები, ექვიანები და ანტაგონისტურები არიან, მათთან ურთიერთობა ყველას უჭირს. სამხაგიროდ, ცხოვრებაში გზის გაკაფვა შეუძლიათ და თავიანთ პარანოიას ჭეშმარიტ ძალაუფლებად გარდაქმნიან. აი, კონსპიროლოგები კი, მარტივად რომ ვთქვათ, ხშირად შემოღობი არიან.

შესაძლოა, ფერგიუსონი კონსპიროლოგი იყოს, მაგრამ თუ ასეა, აშკარად არ იმჩნევს. ამ წიგნში, მის მეოთხე ავტობიოგრაფიაში, მთელი თავი ეძღვნება ფერგიუსონის არასაფეხბურთო გატაცებებს. ფერგიუსონი ძლიერ დაინტერესებულია პრეზიდენტ კენედის მკვლელობის კვლევით და ამისთვის ბევრს დრო და ფული მიუძღვნია, აგრეთვეს დოკუმენტებს, ვიდროჩანაწერებს და არტფაქტებს. აუქციონზე ჯერად ფორდის მიერ ხელმოწერილი "უორენის კომისიის" მოხსენება იყიდა. განსაკუთრებით უფრთხილდება პრეზიდენტის გვამის გაკვეთის დასვენას. ტრაგიკული მოვლენის ამსახველი ფოტოები "მანჩესტერ იუნაიტედის" სანვრთელ ბაზაზე მის კაბინეტში მაგიდაზე ეწყო (წარმომადგენია, ადელ-ბუილი თანამშემგები მასთან საყვედურების მისაღებად როგორ შედიან და უცებ დილი-პლახისა და ბალახიანი გორაკის ფოტოებს ხედავენ; ეს სცენა ნებისმიერს გამოაცოცხლებდა). თუმცა ფერგიუსონი არ ამხელს, თავად რას ეძიებს პრეზიდენტის მკვლელობაზე ან რას ფიქრობს დოკუმენტებში. ჯონ ფ. კენედით დაინტერესება, ასევე წიგნების კოლექციონერობითა და ყოველივე ამერიკულით - კლკლით, ამერიკის სამოქალაქო ომით, ამერიკული ფეხბურთით - მისი გატაცების ნაწილია. ფერგიუსონი ლენინის კოლექციონერიცაა; როგორც თავად ამბობს, "დამოკლები საფეხბურთო საქმიანობისგან განსატყვართად" დოლასაც ესწრება ხოლმე.

როცა სიტყვა საფეხბურთო საქმიანობაზე ჩამოვარდება, ფერგიუსონი უფრო მეტად გულახდილი ხდება და თავის ეჭვების სრულ სექტორს გვიჩვენებს. ამ წიგნის ერთ-ერთ საუკეთესო და დიმილის მომგვრელ სცენაში აღწერილია შემთხვევა, როცა ფერგიუსონი 2004 წელს "ევერტონიდან" უეინ რუნიის შესახებდა მოლაპარაკებას აწარმოებდა. ფერგიუსონი კაბინეტში იჯდა. "ევერტონის" დირექტორთან საბჭოს თავმჯდომარე ბილ კენრაიტი ცრემლებს აღვარდვარებდა. ატირებული კენრაიტი სადღაც რუკას და ყურმილს ფერგიუსონს აწვდის. ფერგიუსონს ხანდაზმული ქალის ხმა ტყუასავს:

- ნურც ვაიფიქრებთ, რომ იმ ბიჭს უფასოდ ჩაიგდებთ ხელში. ის ბიჭი ორმოცდაათი მილიონი გირვანჯა ღირს.

ეს ქალი კენრაიტის დედა იყო. ფერგიუსონი იხსენებს, როგორ დააბნია ამ სატელეფონო ზარმა: "დევიდო მოიესი დაჟინებით მომჩერებოდა. ვიფიქრე, სცენა ხომ არ დამიდგეს, ხომ არ მეთამამებინან-მეთქი. ბოლოს და ბოლოს, ბილის თეატრალური წარსული ჰქონდა. უცებ გონებაში აზრმა გამიელვა: აუცილებლად უეინის სამედიცინო ისტორია უნდა შევამოწმო! იქნებ ფიზიკური ნაკლი აქვს და გამოგვრჩა? იქნებ ფასის ასაწევად ოინს მიწყობენ? შემეშინდა, ვითურ გავუმხარაი თაღლითობის

მსგერპლი გამმმდარიყავი!"

ფერგიუსონს ეჭვიც არ ეპარება, რომ ფეხბურთი სასტიკი ბიზნესია. მონინალმდევეს ერთი გოჯიც რომ დაეთუთო, ყველაფერს წაგვრებოდა. ეს მხოლოდ მეტოქე გუნდებს კი არა, შენივე კლუბის დირექტორთა საბჭოს წევრებსა თუ მოთამაშებებსაც ეხება. ამიტომაც ფერგიუსონი დიდად აფასებს ერთგულეებს; რადან ხალხი, ვისაც ვერ დაეყრდნობი, ადრე თუ გვიან, ცარიელზე დაგტოვებს. ოქროს შუალედი არ არსებობს. როგორც კი ფერგიუსონი იეჭვებს, რომ მოთამაშე ოჯახის წევრებზე, მეგობრებზე, საკუთარ იმიჯსა და კარიერას ვერ დაეყრდნობი უფრო მეტ დროს უთმობს, ვიდრე ფერგიუსონის მანჩესტერ იუნაიტედს", მაშინვე მისი კლუბიდან გააშვებს სტუმრის ძიებას იწყებს. ეს თვისებები მან თავის მასწავლებლისგან, დიდი შოტლანდიელი მწვრთნელისგან, შედარებით მშვიდი, მაგრამ შეგირდზე არანაკლებ სასტიკი ჯოჯ სტინისგან შეიმოძინა. სწორედ სტინმა ასწავლა ფერგიუსონს, შენს მოთამაშებებს ნუ შეიყვარებ, რადან ისინი აუცილებლად გილაღატებენო. მანვე დაარიაგა, ნუ გგონია, რომ კლუბის მფლობელები მწვრთნელებს თანუფრძნობენო.

- ვახსოვრავ, ალექს, - გააფრთხილა სტინმა იგი, - ჩვენ მათგან განვსხვავდებით. ისინი კლუბს განაგებენ. ჩვენ მათი მუშები ვართ.

- ჩვენ და ისინი ცალ-ცალკე ვდავართ, - ამატებს ფერგიუსონი, - ჩვენ მოჯამაგირები ვართ, ისინი - მინათმფლობელები.

ფერგიუსონი არ მალავს, რომ მანჩესტერ იუნაიტედში" ხელფასით უმჯაყოფილო იყო და თავს დაუფასებლად გრძნობდა. კლუბში, რომელიც კომერციულ სანარმოდ აქცია, არასდროს ჰქონია მნიშვნელოვანი წილი. კლუბის თანამესაკუთრ არასდროს ყოფილა. ალბათ ამით აისხნება, რატომ მოსწონდა მას ძმები გლეიზერები, რომლებიც 2005 წელს კლუბს დაეპატრონნენ და ვალებით დაამბიშეს; ამაწ მრავალი გულშემატკივარი განარისხა, გლეიზერებმა ჩვენი კლუბი თავიანთ მენველ ძროხად გადააქციესო. მათმა ნაწილმა ფერგიუსონს მოუნდა, ჩვეულმტრევი გულმმმატკივრებისადმი სოლიდარობის ნიშნად გადაეგვარყო. ფერგიუსონს გადადგომა ნამითაც არ უფიქრია. ძმები გლეიზერები, მრავალმხრივ, სწორედ მისთვის მისაღები მეთატრონები იყვნენ. ჯერ ერთი, ძმებს დირექტორთან საბჭოს მუდმივი წევრები გარემუ პირებდა მიიწინედნენ, მერე მეორე, არასაიმედო ბიზნეს-მოდელმა ძმები ფერგიუსონზე, პრიტანული სპორტის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელზე, მეტამეტად დამოკლებული გახადა. გლეიზერებს ფერგიუსონი დანყებული საქმის გასაგრძელებლად და ჯილდოების კარადის გასავსებად სჭირდებოდათ. ფერგიუსონის მხარდაჭერა მათთვის იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ღალატს გულში ვერც კი გაიკლებდნენ.

სალხის დაპირისპირებულ მხარეებად დაყოფის სწორედ ამგვარ თვისებას უნდა მივაწეროთ სადღეს ცხენთან, გიბრალტარის კლდესთან" დაკავშირებულ გაუტეხრობა, რომელშიც ფერგიუსონი

გაეხევა. ისევე, როგორც სხვა მრავალ ინციდენტზე, ფერგიუსონი ამ შემთხვევაზეც დუმისლ ამჯობინებს და მას წიგნში მხოლოდ გაკერით ახსენებს. ფერგიუსონი და ძალიან მდიდარი ირლანდიელი ბიზნესმენი ჯონ მანიე ცხენს საზიაროდ ფლობდნენ. მანიე ბიზნეს-პარტნიორ ჯ. პ. მაკმანუსთან ერთად ათასგვარი ბიზნეს-საქმიანობის გარდა, ცხენების მოშენებითა და ვალუტით ვაჭრობითაც იყო დაკავებული. თავიდან ყველაფერი უბრალოდ გართობისთვის დაიწყო, მაგრამ თანდათან, მას შემდეგ, რაც გიბრალტარის კლდე მოგებას დაეწვია და მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო საფლად ცხენად იქცა, ვითარება ერთობ დასერიოზულდა. როცა გიბრალტარის კლდის საჯიშედ გამოყენებისთვის დიდძალი თანხის გადახდა დაიწყეს, ფერგიუსონმა წილი მოითხოვა, მაგრამ მანიემ უარი უთხრა და, მხოლოდ დროში მოგებულ თანხის გაყოფის შეგპირდო. არადა, საქმე ასობით ათასს კი არა, უკვე ათობით მილიონ გირვანქა სტერლინგს ეხებოდა. ფერგიუსონმა სამოწყოლოდ გადადგებულ თანხის აღება იუარა-ედა, ბოლოს და ბოლოს, მეპაატრონეთა რიგებში გადანაცვლება მოინდომა. მისთვის ეს იყო დაპირისპირება ხელფასსა და სამართლიანობას, ყმასა და ბატონს, ჩვენსა და მათ შორის. ფერგიუსონს ეგონა, ირლანდიელი ჩემპიონები არიანი და ძლიერ განრისხდა, როცა გაიარა, რომ კვლავ ღობის იქითა მხარეს აღმოჩნდა. მან თავისი უფლებების დაცვა გადაწყვიტა, მაგრამ მანიემ და მაკმანუსმა, რომელთა საეჭო, ერთმანეთში გადახლართული ფინანსური და პოლიტიკური და აზარტული თამაშებისადმი ინტერესების შემხედვარე, ნებისმიერი ჩვენგანი კონსპიროლოგად იქცეოდა, ფერგიუსონს კუთვნილი ადგილი მიუჩინა. ცბიერმა ბიზნესმენებმა აქციონერთა დასაფრთხობად, მანჩესტერ იუნაიტედის აქციების შესყიდვა დაიწყეს. ფერგიუსონი მიხვდა, რომ ძლიერ მეტოქეებს შეხვდა და უკან დაიხია. კლუბზე ფერგიუსონის გაკრიტიკება ერთადერთმა ადამიანმა, გუნდის კაპიტანმა როი კინმა გაბედა. მან სხვა მოთამაშების თვალწინ დაადანაშაულა მწვრთნელი, მანჩესტერ იუნაიტედის სადოლე ცხენის გამო უღალატეო. ფერგიუსონმა მყისვე დაასკვნა, როი კინის კლუბიდან გაშვების დრო მოსულა.

ფერგიუსონის ძალაუფლების და კონტროლის ერთმანეთსაგან განსხვავების უნარი ჰქონდა და ეს მანჩესტერ იუნაიტედში პოზიციის გამყარებაში ეხმარებოდა. ძალაუფლება მაშინ არის სასარგებლო, თუ მის გამოყენებას აპირებ, - წერს იგი, - მე კი კონტროლირება ვისახავდი იმდენად... ყველას ვგონია, რომ ჩვენს სფეროში დიდ გადაწყვეტილებებს ძალაუფლების გასამყარებლად იღებენ, სინამდვილეში კი მთავარი კონტროლია. ძალაუფლება შენი ავტორიტეტის სხვაზე შემოქმედებაა, ხოლო კონტროლი ისაა, როცა მოუხედავად ყველაფრისა, მანაც შენი ვაგაქვს. ფერგიუსონს ერთი სანტიმეტრი მეტოდ ჰქონდა, არასდროს საყვედურობად დამსაუფრთხებლად სხვაზე შემოქმედება, ბევრ მწვრთნელს სჩვევია აღშფოთება და განრისხება, თუკი მოთამაშე ზღვარს გადადის. ფერგი უბრალოდ თავს არიდებდა ამ ფეხბურთელს და ბოლოს

მწვრთნელის დემოლით აღელვებული მოთამაშე თავად მიდიოდა მასთან, არ ანალვებდა, თუნდაც რისხვა დასტყდომოდა თავს. როცა News of the World-მა 2010 წელს შეარუნი პირის ცხოვრების დეტალები გამოაშქარა, ფერგიუსონმა მოსალოდნელი გართულებები იყონსა: ფეხბურთელები, რომლებიც ცოლებს ღალატობენ, ხშირად მწვრთნელსაც ღალატობენ. თუცა ფერგიმ არაფერი შეიმჩნია. იმავე დღით არ დაფურეკე. ვიცოდი, რომ ეს ენდომებოდა. თავგაუკვეთლობა გამოვიჩინე. ის ალბათ ჩემს სატელეფონო ზარს უცდიდა, მე კონა, მეგობრულად მხარში ამოვუდებოდი. ეკი პირობებმასთან ასე გამკლავება არ მჩვევია. ზოგჯერ ურრ მოთამაშეებს იმდენად ანუხებდათ ფერგიუსონის უყურადღებობა, რომ მთავარ მწვრთნელს მათი დედები ურეკავდნენ და სთხოვდნენ, საბრლო ბიჭს ნულარ ანამებოთ.

რასაკვირველია, ფერგიუსონს ნყობიდან გამოსვლაც შეეძლო. ძალიან ფიცხი იყო და ხშირად უნანია თავისი სიფიჭი, თუმცა ეჭვები სწრაფად ეფანტებოდა. თამაშების შემდეგ ვაფუხებობა შემოიშტევა და გავცეცხლებდები ხოლმე. ამით არასდროს მიამაყია. ისეთი ღამეებიც ყოფილა, შინ მოსალოდნელი ცუდი შედეგების შიშით რომ წავსულედი. ვფიქრობდი, ზგალ საწვრთნელ ბაზაზე რომ მივალ, მოთამაშეები აღარ დამელაპარაკებინან-მეთქი. მეგონა, გაბრაზებულები ჩემს წინააღმდეგ პირს შეკრავდნენ. თუმცა ორშაბათობით ისინი ჩემზე უფრო შეძრწუნებულები მგნებობდნენ. ფერგის ერთჩინა, თავად ნაექებუნია ფეხბურთელები შეთქმულებისკენ, რომელსაც ყურადღებას არ მიაქცევდა - ბოლოს და ბოლოს, შეთქმულებები სამყაროს მისეული ხედვის ნაწილია - ვიდრე მოულოდნელი გადატრიალება მოეწყობა მისთვის. ფერგიუსონის თურამის ემინია, ეს ნამიერი ჩავარდნაა, რაც სრულ უკონტროლობას უღებს კარს.

ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა, ისიც ოჯახში 2001 წელს, ათი წარმატებული საფეხბურთი სეზონის შემდეგ, ფერგიუსონმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა, მით უმეტეს, ჯანმრთელობის მდგომარეობამ ცხადად აგრძობინა ხნოვანება (2001 წელს ფერგი 60 წლისა შესრულდა). მის ცოლს, კეტისა და სამზრდასრულ ვაჟს ეს აზრი არ მოეწონათ, რადგან მშვენივრად მოესვენებოდათ, რომ უსაქმოდ დარჩენილი ფერგი ხელადი გაშვებულ შესაძლებლობებზე ნუხილს დაიწყებდა და სინანული შეიპყრობდა. ქრისტეშობის დამეს, როცა ფერგიუსონს ტელევიზორის ყურებისა ჩაეძინა, მისმა ცოლმა და შვილებმა სადღეობოდ ითაბირეს და მასთან შეკამათება გადაწყვიტეს.

სამზარეულოში ამბოხება მზადდებოდა, - წერს ფერგიუსონი. შეთქმულები მას ღიად დაუპირისპირდნენ. ამბოხების მოთვედ სამზარეულოდან გამოვიდა და ფეხზე ფეხი წამკრა გასალეძებოდა. კარის ზღურბლზე სამი ფიგურა დავინახე, ჩემი სამივე ვაჟი სოლიდარობის ნიშნად მხარდამხარე იდგა. ფერგიუსონს აუნყეს, მსჯელობის შედეგად დავაკენიტი, რომ პენსიაზე გასვლა უნდა გადაიფიქრო და სამუშაოს დაუბრუნდევო. მათი აზრით, ფერგიუსონს უფრო მეტი წარმატების მიღწევა შე-



ექლო. ცოლ-შვილი სიმართლეს ეუბნებოდა და ამას ფერეჯოსონიც ხედებოდა. და მაინც, მას ქაული აჯობებს. მაშინ მიხვდით, რომ ხუთი წუთით თვალის მოხუჭვაც არ შეიძლება”, - ნახევრად ხუმრობით წერს იგი. თუმცა მხოლოდ ნახევრად ხუმრობით.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ფერეჯოსონი კონტროლზე გადარეული ნამდვილად არ არის. მან იცის, რომ ზოგიერთ რამეზე დარდი არ ღირს. მოედანზე ბევრი ისეთი რამ ხდება, რასაც ვერც თვითონ და ვერც ვერავინ ვერ გააკონტროლებს. თავიანთ წიგნში რიცხვების თამაში: თუ გგონიათ, ფეხბურთზე რამე დივით, მწარედ შემცდარხართ”, კრის ანდერსონი და დივიდ სელი აღნიშნავენ, რომ თითქმის ორმოცდაათი პროცენტში იმისა, რაც საფეხბურთო მოედანზე ხდება, სრულ შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ბურთი მრავალია! ამით აიხსნება რატომ უგებს ხანდახან ცუდი გუნდი კარგ გუნდს, ან რატომ ქმნის ერთი გუნდი ბევრ მომენტს, მეორეს კი გადამწყვეტი გოლი გააქვს. მწვრთნელები, მოთამაშეები და საფეხბურთო საქმიანობაში ჩართული სხვა ხალხი დარჩენილი ორმოცდაათი პროცენტისთვის იბრძვიან. ფერეჯოსონი ამას ინსტინქტურად ხედება. ჯანდაბა, ეს ფეხბურთია!” - ასეთი კომენტარი გააკეთა მან 1999 წლის საღამოს, როცა მისმა კლუბმა მიუნხენის ბაიერნს* ევროის ჩემპიონთა თასი წაგოვა; გერმანელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ დამატებულ დროში გატანილი ორი გოლის წყალობით ტიტული მანჩესტერ იუნაიტედმა* მოიპოვა. იგი იტლბა ენდოდა, მაგრამ თუ ზედ უმიზნობებს, არ წუნუნებს. როცა ბოლო წუთებზე გატანილი ორი გოლით მანჩესტერ სიტში* მანჩესტერ იუნაიტედს* 2011-2012 წლების სეზონის პრემიერ ლიგის ჩემპიონის ტიტული წაართვა, ფერეჯოსონს ეწყინა, მაგრამ დიდად არ დაამწუხრებულა. მსგავსი რამ ხდება. ის ყოველთვის თამაშის იმ ასპექტზეა კონცენტრირებული, რომელზე ზემოქმედება ხელეწიფება. მისი სამწვრთნელო ნიჭი ნებისმიერის ძალის საჭირო მომენტში, სათანადო ადგილას გამოყენებაში მდგომარეობს. ის თავის ფეხბურთელებს წინსვლისკენ მოუწოდებს, მეტოქებს აღიზანებს და მსაჯებს საყვედურებს - ხელთ არსებულ ყველა უპირატესობას იყენებს. მისი მთავარი სამიზნე ადამიანები და მათი სისუსტეებია და არა - ბურთი და მისი სიმრავალე.

ამგვარად, ფერეჯოსონს სპორტული მეცნიერებისთვის დრო არ რჩება, ყოველ შემთხვევაში, ყოველი პრობლემის მოსაგვარებლად მეცნიერულ კვლევა-ძიებას არ მიმართავს. ფერეჯოსონი იმ მწვრთნელებს არ ჰგავს, ყველაფრის გასაღებად რიცხვები რომ მიანჩნიათ და სტატისტიკას ჩაჰკირკიტებენ. ერთხელ ეიდი ბუთროიდს ჩამოვართვი ინტერვიუ, მაშინ ჯერაც უოტფორდის* მწვრთნელი იყო, იმ სეზონში მისი ხელმძღვანელობით გუნდს პრემიერ ლიგაში გადმოვიდა. მითხრა, 2003 წელს გამოცემულ მაიკლ ლუისის წიგნს, “მანიბოლს”*

ვკითხულობდი. წიგნმა გადატრიალება მოახდინა ბენიბოლში. მასში აღწერილია, როგორ შეიძლება გრაფიკებისა და ცხრილებისა და სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით გამარჯვების ფორმულის შექმნა. ბუთროიდის თქმით, ანალიტიკოსთა ჯგუფი ახლა თვითდაუზოგავად შემაბოდა ამ ვადიკოების ფეხბურთში დასაწერებად. კოდის გასაძივრად ექვსი თვე დაგვეჭირდებაო, მითხრა მან. ექვსი თვის შემდეგ უოტფორდი პრემიერ ლიგიდან გავარდა. ამ ბოლო დრომდე ბუთროიდი ნორთჰემპტონ სიტის* წვრთნდა, მაგრამ როცა გუნდმა მეორე ლიგის ბოლოსწინა ადგილიდან ბოლო ადგილზე გადაინაცვლა, დაითხოვეს. ფერეჯოსონი ასეთ იფიქრასთან სატყუარას არასდროს ანაბოჰვება. წიგნში ფერეჯოსონი მადლობას უხდის მანჩესტერ იუნაიტედის* მომსახურე პერსონალს და ამ ჩამონათვალიში ტონი სტრადლიუკი და მისი დაულალავი ნაბოლტული მეცნიერები* მრეცხავი გოგონების* გვერდით წერია.

ეს წიგნი მრავალმხრივ ანტი- მანიბოლია“. ლუისი მწვრთნელებს მოუწოდებდა, მიკუთარი თვალის ნაცვლად უტყუარ რიცხვებს საეუბოზდნენ. ფერეჯოსონი თავისი ალღოს და განსაკუთრებით, თვალების ერთგული რჩება. მხოლოდ იმას ეყრდნობა, რასაც ხედავს. მისი გამჭოლ მზერა სხვათა სულის სიღრმეებს სწვდება და ხედება, ვისთან აქვს საქმე. როცა რიო ფერდინანდი დოზინგ-ტესტზე არ გამოცხადდა და თამაში აუკრძალეს, ფერეჯოსონი არც კი დაეჭვებულა, რომ ეს მხოლოდ უბრალო გაუშვებლობა იყო: მან შევნივრდა იცის, როდის აქვთ მის ფეხბურთელებს პრობლემა ნარკოტიკებთან ან სტეროიდებთან, რადგან ამას მათ თვალბში ხედავს. როცა ქვასათი მტკიცე სერბმა მცველმა ნემანია ვიდიჩმა აუნჯა, სამხედრო სამსახურში მინჯვენ, კოსოვოს დასაცავად უნდა წავიდეთ, მყისვე დაუჯერა - ეს სერბის მზერაში იკითხებოდა. ხოლო თუ საფრთხე ძალიან სერიოზული ხდება, ფერეჯოსონი მისი შემწევის სხვა გზებს პოულობს. როგორც კი აბუ-დაბიდან მანჩესტერ სიტში* ფულის შედინება დაინჯო, ფერეჯოსონი დარწმუნდა, რომ მისი კლუბისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ თანაქალაქელი მეტოქეები იქცეოდნენ. სამიშროვად ლონდონიდან ან მერსისაიდან აღარ მოდიოდა. იმდენად ახლოს იყო, სულსაც კი ვგრძობოდი”.

თუმცა, ვარკვეულნიდა, ფერეჯოსონი მანიბოლის* ფილოსოფიის განსახივრება. ისევე, როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, სადაც მცირედი უპირატესობაც კი უაღრესად მნიშვნელოვანია, ფეხბურთშიც ყველაზე მეტად დროს აფუჭებენ. ფერეჯოსონი არასდროს ხარჯავდა დროს უფუჭებ. იგი ყოველთვის მოუწოდებდა თავის ფეხბურთელებს ბოლო წუთამდე ვერძოლათ, რადგან მეტოქეები სწორედ ამ დროს უსუსტდებოდნენ, განსაკუთრებით, ოლდ ტრაფორდზე*. ფერეჯოსონი თამაშს, ანუ ფერგის დროს - როცა ფერეჯოსონი მსაჯებს აიძულებდა საშინაო თამაშისთვის კიდევ ერთი წუთი დაეშვებინათ, რათა მის კლუბს ბოლო-იერიშის განხორციელება მოესწრო - შედეგი მოჰქონდა. ფერეჯოსონი ამტკიცებს, მსაჯებს სულაც არ ვემოქრებოდი, მხოლოდ მოწინააღმდეგეს ვასენენდი, რომ

* moneyball - თავისბოლო ტრენინი. გულისხმობს ბეისბოლის ანალიზს სტატისტიკური მონაცემების მეშვეობით. ამ თემაზე ცნობილი ფილმიცაა გადაღებული, ბრედ პიტის მონაწილეობით.

ფუნატიდი" ბოლოს მაინც თავისას აღწევს. ფერგი გუნდს ისე წვრთნდა, რომ ფეხბურთელები სეზონის მეორე ნახევარში ფიზიკურად ძლიერი ყოფილიყვნენ, რადგან იცოდა, მეტოქეები ზენოლას ვეღარ გაუძლებდნენ. მან ჭკუით აჯობა იმ მწვრთნელებს (და მათზე დიდხანს გაძლო თანამედრობაზე), რომლებიც ვერ ითმებდნენ და პრობლემის მოგვარების სწრაფ ხერხს ეძებდნენ - ჯადოსნურ ჯოხს, რათა უწინდელი დიდება ჯოხის ერთი აქნევით დაებრუნებინათ. რაფაელ ბენიტესი, ლივერპულის მწვრთნელი, რომელიც, როგორც ჩანს, ფერგიუსონს სხეებზე მეტად არ მოსდის თვალში, შეცდა და ფერგიუსონის გალიზიანება მოინდომა. ფერგიუსონმა დამცინავე პასუხი გასცა: ის შეცდა, რომ სპორტული კონკურენცია პირად დაპირისპირებად აქცია. ასეთ შემთხვევაში ჩემთან არანაირი მანსი არ გაქვთ, რადგან მოთმინების უნარი გამაჩნია. მე ზურგს წარმატებული კარიერა მიმაგრებდა. ბენიტესს ჯილდოების მოპოვება სწყუროდა, თან, მე მეზრძოდა. უგუნურად იქცეოდა".

ფერგიუსონს გამოცდილება ემატებოდა და ყოველ წელს უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ხოლო სხვა მწვრთნელები სუსტდებოდნენ და სამსახურს კარგავდნენ. მან მანჩესტერ სიტის 14 მწვრთნელი გაისტუმრა, მათ შორის, რობერტო მანჩინიცი, ერთადერთი მწვრთნელი თანაქალაქელი კლუბისა, რომელსაც ჩემპიონის ნოდები დაუთმო. მანჩესტერ იუნაიტედის* სათავეში ფერგიუსონის ყოფნისას, ლივერპულმა ცხრა მწვრთნელი გამოიკვალა, ჩელსიმ - ჩვიდმეტი და მათგან მხოლოდ ყოზე მოურიჩიუმ სძლია ფერგის, ოღონდ დიდხანს ვერც მან გაძლო თანამედრობაზე. ფერგიუსონის აზრით, ყველა ერთსა და იმავე შეცდომას უშვებდა, მანჩესტერ იუნაიტედის** დამარცხების ფორმულას ეძებდა; არადა, ამის გაკეთების ერთადერთი გზა გრძელვადიანი გეგმების დასახვა და გუნდის გაძლიერება იყო. ფეხბურთელებს ისე ყიდულობდნენ, თითქოს ფაზლის ნაკლები დეტალები ყოფილიყვნენ, - წერს ფერგიუსონი, - სასწრაფო კეთილშინაობა და იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ფერგიუსონმა იცოდა, რომ ფეხბურთი ფაზლი ვერ იქნება, რადგან ძალიან უნესარიო და დამლელი რამ არის. თუ მწვრთნელთაგან ვინმე ოდნავ მაინც უკავდა ფერგიუსონს, არსენ ვენგერია, რომელიც ჰკავებდა მეჩვიდმეტე სეზონს ატარებს არსენალიმ*. თუმცა ფერგიუსონის ვენგერის კი სულ სწრაფი ეჩვენებოდა. მისი თქმით, ვენგერი მეტისმეტად გაიტაცა იდეალური ფეხბურთელის ძიებამ, რომელიც არსენალის** სისტემაში ზუსტად ჩაჯდებოდა. ვენგერი მოუწელებს და მასთან გახდა.

ვენგერზე მცდარი შეხედულება არსებობს, რაზან ფრანგია და პროფესიონალის იერი აქვს, ყველას ჰვლია, რომ ფართო თვალსაწიერის მქონე, განათლებული ადამიანია. ვენგერის ახლო ნაცნობები აღიარებენ, რომ მას მხოლოდ ფეხბურთი აინტერესებს. მის წიგნის თაროებზე, სადაც წესით, ნიგბები უნდა ეწყო, საფეხბურთო დი-ვი-დი სკეჩებს იპოვით. ვენგერი ახირებული ადამიანია, მონომანი. ეს ფერგიუსონსაა, ტრადიციული ფეხბურთის ადამიანს, ნიგბები, ღვინო და ცხენები რომ უყ-

ვარს. როგორც კი ვენგერი თავისი ახირებების ტყეობაში მოექცა და ჯილდოების რაოდენობამ იკლო, ფერგიუსონმა მისი მიძიმე მდგომარეობის სათავესოდ გამოყენება გადაწყვიტა. როცა მანჩესტერ სიტიმ** არსენალის** ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელის, რობინ ვან პერსის ხელში ჩაგდება მოინდომა, ფერგიუსონმა მისვე უმსაჯავ ვენგერს ჰოლანდიელს ჩვენ ვიყიდითო. მან იცოდა, რომ ვენგერს ვან პერსის სიტში** გადასვლა არ სურდა, რადგან ეშინოდა, არსენალი** სიტისთვის** ფეხბურთელის აღმზრდელი კლუბს დაემსახურებოდა. ვენგერი მანჩესტერ იუნაიტედის** ანექსს ნამოეგო და მთავარი ჯოჯოღო დაუძინებელ მტერს იმაზე იავად დაუთმო, ვიდრე სხვები სთავაზობდნენ. ვენგერი სისუსტის დაამტკიცა ცდილობდა, ფერგიუსონს კი სწორედ ასეთი სისუსტეებით სარგებლობა უყვარს.

ჩემი ავტობიოგრაფია* ადვილად ნასაკითხი წიგნი არ არის, წერილმანებით გაჯერებული, მონოტონური ტექსტია. ფერგიუსონი გამუდმებით უბრუნდება მისთვის მტკიცებულ თემებს: ფეხბურთელებს, რომლებმაც იმედი გაუტყვევეს; ჩაშლილ გარიგებებს; ხალხს, რომლებსაც მტერი მოეხოვებოდა და არ უნდა შემცდარიყვნენ. ფერგიუსონი რაიმე თემის განხილვას იწყებს, უცნრად წყვეტს და რამდენიმე გვერდის შემდეგ აგრძელებს; არა იმიტომ, რომ რამე აქვს დასამატებელი, არამედ იმიტომ, რომ ეს საკითხი ჯერაც აწუხებს. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მასთან მარტო რჩება თითხში, ხოლო ფერგიუსონი თავის დარდას და გასაჭირზე გაუთავებლად ნუნუნდება და სიტყვის თქმის საშუალებას არ გაძლევს. შესაძლოა, ასეც იყო ჩაფიქრებული. ფერგიუსონის გოუსტორიები* პოლ ჰეიუორდი, დღევანდელ სპორტულ ჟურნალისტიტაგან ერთ-ერთი საუკეთესო. თუმცა, ამ შემთხვევაში, ჰეიუორდი საკუთარ აზრს სრულად ახშობს და ფერგიუსონის ქუმარტხ ხმას გვასმენინებს. თითქოს წიგნს კი არ ვკითხულობთ, ფერგიუსონის დაუმონტაჟებელ ინტერვიუს ეუსემენტ, რომელიც მუფერხებლად, რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს. მისი ტონი აგრესიული და მუქართი სავსეა, მაგრამ, სამაგიეროდ, ამ ადამიანის ნამდვილ გემოს შევიგრძნობთ. ახლახან გამოუსული კიდევ ერთი ავტობიოგრაფია, რომელიც მსგავსად იკითხება, ტონი ბლერს ეკუთვნის და ისეთი დაუნყოფელი, ცვალებადი და თვითორიენტირებულია, რომ მწილია მის უტყუარობაში ექვი შეგეპაროს. ბლერი ერთი თემიდან მეორეზე ისე უცნაურად გადახტება ხოლმე, ზედმეტი, მისი ტონი აშკარად ასე ფუნქციონირებს. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ორი ადამიანის მიმართ საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი უარყოფითად არის განწყობილი, ორივე ავტობიოგრაფია მოსალოდნელზე მეგრად უკეთ ვაყიდა; კვირში ფერგიუსონის ავტობიოგრაფიის ასობით ათას ეგზემლარს უკეთავდა და, როგორც ჩანს, უამრავი ადამიანი საშობაოდ არასასურველ

* ghostwriter - ავტორი, ვინც, სხვას უწერს მემუარებს, მოხსენებს და ა.შ. ფაქტობრივი ავტორი. სიტყვასიტყვით: "მწერალი-აჩრდილი".



საწყაროს მიიღებს. რასაკვირველია, წარმატებული გაყიდვები ფერგიუსონის და ბლერის ცნობადობის დამსახურებაა, მაგრამ წურც ტექსტის ავთენტურობას დაუყოვნებამდე წვლილს.

ეს ორი ნიგმი ერთგან იკვეთება. ფერგიუსონი აღნიშნავს, რომ ბლერი მას თავის ავტობიოგრაფიაში ახსენებს.

მაშინ ჯერაც პრემიერ-მინისტრმა ბლერმა გორდონ ბრაუნის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ აზრი მკითხა. გორდონი ჩემს მეზობლად, ნომერ 11 სახლში ცხოვრობდა. მასსოვს, ტონის სახელი არ დაუკონკრეტებია. მხოლოდ ის აინტერესებდა, სუპერვარსკვლავებს როგორ ვუმკლავდებოდი. ასე ვუპასუხე:

- ჩემს საქმეში უმთავრესი კონტროლია. როცა ვარსკვლავები კონტროლს აღარ ექვემდებარებიან, თავიდან უნდა მოიშორო.

მიუხედავად, გორდონთან პრობლემები მაქვს, მაგრამ ჩემთვის არ უკითხავს, როგორ უნდა მოქცეულიყო. მეც ზოგადი პასუხი ვაძლევ, რადგან სხვის პირად საქმეებში ჩარევა არ ვისურვე.

ფერგიუსონს ბრაუნთან უფრო მეტი საერთო აქვს, ვიდრე ბლერთან. ორივე კენედის მკვლევარის გამოძიებითაა გატაცებული (ფერგიუსონის კოლეგია ბრაუნის მიერ გამოგზავნილი კენედიზე შექმნილი წიგნებითა და დი-ვი-დი დისკებით არის გამდიდრებული). ორივენი კარგად ერგებიან შეთქმულების თეორიების მომხრეთა ყალიბს, ეჭვიანუბი, უღმობღები და ფიქრიალები არიან, გამუდმებით თან სდევთ განცდა იმისა, რომ საბოლოოდ,

ერთმანეთის პირისპირ ჩვენ" და ისინი" დავრჩებით. ბრაუნი, მიუხედავად რეპუტაციისა, კონტროლზე გადარეული არ ყოფილა. ფერგიუსონის მსგავსად, მასაც ესმოდა, რომ ყველაფრის მართვა შეუძლებელია (ეკონომიკაც ისეთივე არასტაბილური რამაა, როგორც ფეხბურთი). ბრაუნს მხოლოდ გავლენიანი ხალხის მართვა უნდოდა, რომ მისთვის არაფერი დაეშავებინათ. თუმცა, ფერგიუსონისგან განსხვავებით, ბრაუნს დრო არ ეყო. მანჩესტერ იუნაიტედში" მუშაობის სანყის პერიოდში კინლამ ფერგიუსონსაც ამოენურა დრო და სამი უშედეგო და უტიტულო სეზონის შემდეგ დათხოვნას ძლივს გადაურჩა. თუმცა ფერგიუსონს ბედმა გაუღიმა, მანჩესტერ იუნაიტედმა" ასოციაციის თასის მოგება შეძლო და მას შემდეგ ფერგის უკან აღარ მოუხედავს. ბრაუნს ბედმა არ გაუღიმა. სამაგიეროდ, ტონი ბლერს სწყალობდა ბედი. მან პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა და მიიღო საკმარისი დრო იმისათვის, რომ რასაც მოისურვებდა, ის ეკეთებინა. ბლერმა დრო ფუჭად დახარჯა. ბლერის ადგილზე ფერგიუსონი ბრაუნს მოხსნიდა (ვერასდროს ვხვდებოდი, რატომ უნდა დავნოლილიყავი ყოველ ღამე აღულებული, თუკი პრობლემის გადაჭრა შემეძლო". ბრაუნსაც რომ ბლერივით საკმარისი დრო ჰქონოდა, უფრო მეტს მიაღწევდა. სამწუხაროდ, მან მხოლოდ სამ წელს გაძლო თანამდებობაზე, ეს დრო კი, როგორც ფერგიუსონი აღიარებს, მტრების დასამარცხებლად არ კმარა.



რიმარდ კაპუშინსკი

საფეხბურთო ომი

პოლონურიდან თარგმნა ამბროსი გრიშაკაშვილი



ლუის სუარესმა თქვა, ომი დაიწყო და დაი-
ჯერე. მე ხომ ყველაფერ იმას ვიფიქრებდი, რასაც ლუ-
ისი ამბობდა. მექსიკაში ერთად ვცხოვრობდით. ლუ-
ისი ხშირად მიყვებოდა ლათინური ამერიკის შესახებ
- რას წარმოადგენს, სადა ძევს მისი გაგების გასაღე-
ბი და ა.შ. აქამდეც მისი მრავალი წინასწარმეტყვე-
ლება ახდა. მაგალითად, დროულად განჭვრიტა ბრა-
ზილიაში გოლარტას დაცემა, ასევე ბოსნიის გადა-
ყენება დომინიკის რესპუბლიკაში, ხოლო იემენისის
- ვენესუელაში. მას დიდი ხნით ადრე, პერონის დაბ-
რუნებამდე, სჯეროდა, რომ მოხუცი კაუდილიო კვლავ
იქნებოდა არგენტინის პრეზიდენტი, მანვე განჭვრი-
ტა პაიტის დიქტატორის - ფრანკ დუვალეირის სიკვ-
დილი, რომელსაც ყველანი დიდი ხნის სიცოცხლეს
უწინასწარმეტყველებდნენ. ლუისს შეეძლო აქაური
პოლიტიკის ლაბირინთებში ტრიალი, რომელშიც მრავ-
ალი მასზე უფრო გამოცდილი პოლიტიკოსი ფეხს
იტეხდა.

ამჯერად მან თავისი მოსაზრება გახეთის გვერ-
დზე გადადების შემდეგ გამოთქვა. გაზეთში ეწერა,
რომ სალვადორისა და პონდურასის ფეხბურთის გუნ-
დებს შორის მატჩი უნდა გამართულიყო. ორივე გუნ-
დი იბრძოდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის
მისაღებად, რომელიც 1970 წელს მექსიკაში ტარდე-
ბოდა.

პირველი მატჩი 1969 წლის 8 ივნისს პონდურასის
დედაქალაქში, ტეგუსიგალაში ჩატარდა. ამ მოვლე-
ვისთვის ყურადღება დიდად არავის მიუქცევია.

სალვადორის ნაკრები ტეგუსიგალაში შაბათს
ჩაეიდა და სასტუმროში უძილო ღამე გაატარა. ფეხ-
ბურთელებმა თვალის ვერ მოხუჭეს, რადგან მთელი
ღამე პონდურასელი გულშემოტყვიერების ფსიქოლო-
გიური წნეხის ქვეშ იყვნენ. სასტუმრო უამრავი ხალ-
ხის ალყაში იყო მოქცეული. ბრბო მთელი ღამის გან-
მავლობაში ფანჯრებს ქვებს, ცარიელ ყუთებსა და
კასრებს ესროდა, ხელკეტებს ურტყამდა. გულის ნას-
ვლამდე აპიპინებდნენ სასტუმროს მიმდებარე ტერი-
ტორიაზე გაჩერებულ მანქანებს. გულშემოტყვიერები
უსტვენდნენ, ივინებოდნენ, ყვიროდნენ და იმუქრე-
ბოდნენ. ამ ყველაფერს ერთი მიზეზი ჰქონდა, - ნამ-
გზავრ სტუმრებს ძილი გასტეხოდათ, ნერვები მომ-
ლოდათ და როგორმე მატჩი წაეგოთ. ასეთი "დახ-
ვედრები" ლათინურ ამერიკაში ჩვეულებრივი საქმეა
და არც არავის აკვირვებს.

მართლაც, მეორე დღეს პონდურასმა სალვადო-
რის გამოუძინებელსა და ნერვებდანყვეტილ გუნდს
1:0 მოუგო.

ერთი კვირის შემდეგ სალვადორის დედაქალა-
ქის - სან-სალვადორის სტადიონზე, რომელსაც ლა-
მაზი სახელი - „თეთრი ყვავილი“ ჰქვია, რევანში შედ-
გა. ამჯერად პონდურასის გუნდის წევრებმა გაათე-
ნეს თერთად ღამე: გულშემოტყვიერებმა მათი სასტუმროს ფანჯრები ჩამასხვედნენ, ნომ-
რებში ლაყე კვერცხებს, გახრწილ ვირთხებს და რას
არ ისროდნენ. ფეხბურთელები სტადიონამდე ჯავშ-
ნოსანი მანქანებით გადაიყვანეს, რამაც ისინი იმ



აუარება შურისმაძიებლებისგან იხსნა, მთელი გზის გაყოლებაზე რომ იდგნენ უკვე ეროვნულ გმირად ქცეული ამელი ბოლანიუსის პორტრეტებით.

მთელი სტადიონი ჯარით იყო გარშემორტყმული. თავად მოედანზეც ეროვნული გვარდიის უამრავ ჯარისკაცს მოუყარეს თაობა, რომლებსაც გადატყინილი ავტომობილი ეკავათ ხელში. ჰონდურასის ჰონის შესრულებისას სტადიონი გმინავდა და უსტვენდა. შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ჰონდურასის დროშა აღმართათ, მასპინძლებმა ბედნიერებისგან გიტად-ქცეული გულშემატკივრის თვალნი ანძანზე ჩუქყინი და დაჭმუჭნილი ძონძი ასწიეს. ცხადია, ასეთ ვითარებაში ჰონდურასელებს რა ფეხბურთის თამაშზე უნდა ეფიქრათ. იმასღა ცდილობდნენ, აქედან როგორმე ცოცხლებს გაეღწიათ. „რა ბედნიერებაა, რომ ნავაგეთ“ - შევებით თქვა ჰონდურასის ნაერების მწვრთნელმა მარიო გროფინიმ.

ეს მატჩი სალვადორმა 3:0 მოიგო. ფეხბურთელები სტადიონიდან ჯავშნოსანი მანქანებით აეროპორტში წაიყვანეს. კიდევ უფრო ცუდ დღეში ჩავარდნენ მათი გულშემატკივრები. ისინი ცემითა და გინებით გაყარეს საზღვრისკენ, ორი მათგანი შემოაკვდათ კიდევ, ათეულობით ადამიანი კი სავადმყოფოთი გადაიყვანეს. სტუმრების 150 მანქანა დაწვეს. რამდენიმე საათში ამ ორი ქვეყნის გამყოფი საზღვარი ჩაიკეტა.

ლათინურ ამერიკაში საზღვარი ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის ძალზე მყიფეა. გრძელვადიანი იმ თავადრობების სია, რომლებიც სამხედროებმა დააიხსეს ან გადააყენეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ეროვნულმა ნაკრებმა მატჩი წააგო, დამარცხებული ფეხბურთელები კი შემდგომში სამშობლოს მოღალატეებად მიიჩნიეს. როდესაც ბრაზილია მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ჩემი კოლეგა - ბრაზილიელი პოლიტიკური ემიგრანტი სასონარკვეთილებმა ჩააგრილა: „ემმარჯვენი იდეოლოგიური ორიენტაციის სამხედროებს - თქვა მან - სულ მცირე ხუთი წელიწადი გარანტირებული აქვთ ხელისუფლებაში მშვიდად ყოფნა“. ბრაზილიამ რომ ინგლისს მოუგო, რიო-დე-ჟანეიროში გამომავალი ერთმა გაზეთმა წერილში „ქრისტე იცავს ბრაზილიას“ მატჩში გამარჯვების მიზეზი ასე ახსნა: „რამდენჯერღაც ბურთი ჩვენს კარის იცვლ ნაშთიდა და გლიო თითქოს ვარდუვლი იყო, იმდენჯერ ქრისტემ ფეხი გამოყო და ბურთი აუტში გადავადგა“. წერილს თან ერთოდა სურათი, სადაც ეს ბუნებრივი მოვლენა იყო გამოსახული.

ვინც სტადიონზე მიდის, ვველა სკვდილს ვთამაშობა. აი, თუნდაც მექსიკისა და პერუს ნაკრებების პაექობა. თამაში მექსიკის გამარჯვებით დასრულდა. იმდებარეუბული გულშემატკივარი გამომწვევი ხმით ყვიროს: **Viva Mexico!** ცოტა ხნის შემდეგ კი მკვდარს, დასახიჩრებულს პოულობენ. ზოგჯერ ალგზნებულ ბრბო მოზღვავებულ ემოციებს სრულიად სხვა სახით იმორებს თავიდან: მატჩის შემდეგ, რომელშიც მექსიკამ ბელგია დაამარცხა, ბედნიერებისგან მიორბანდა ავეუსტო მარიაგამ - სამუდამო პატიმრობამისჯილთა ჩიჰლანცივის (მექსიკა) ციხის უფროსმა, საენებო გახსნა და 142 სექსი პატიმარი გარეთ გამოუშვა. სასამართლოს მარიაგა არ დაუსჯია, ხოლო მისი საქციელი იმით გაამართლა, რომ „ქმედება პატრიოტული მოტივით იყო განპირობებული“.

სალამოს თვითმფრინავმა ბომბები ჩამოყარა. ქალაქი განგაშმა მოიცვა. ხალხს სახლიდან გარეთ გამოსვლის უნებოდა, მოვარებებმა მაღალიზე დაკეტეს. ქალაქის ქუჩებში უამრავი მიტოვებული მანქანა იდგა. ერთი ქალი ტროტუარზე დარბობდა და გამყინავი ხმით გაჰყვიროდა: ჩემი შვილი! ჩემი შვილი! შემდეგ ქალი გაქრა და ქუჩაში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ქალაქი უკვე აღარ არსებობდა. მალე შუქიც ჩაქრა და მთელი ტეგუსიგალპალი სიბნელებში ჩაიძირა.

სასტუმროში წავედი, ოთახში შევედი, საბჭედ მანქანაში ქალალი ჩავდე და ვარშავაში გასაგზავნი ტელეფონის ნერსი შევუდექი.

დავინჯე ბეჭდავ: ტეგუსიგალპალი (ჰონდურასი) PAP, 14 ივლისი, დღეს, სალამოს ექვს საათზე, სალვადორსა და ჰონდურასს შორის ომი დაიწყო. სალვადორის ავიაციამ ჰონდურასის ოთხი ქალაქი დაბომბა. ამავდროულად, სალვადორის არმიამ გადააკვია საზღვარი და ქვეყნის სიღრმეში შეჭრას შეეცადა. აგრესორის შეტევის საპასუხოდ ჰონდურასის ავიაციამ დაბომბა სალვადორის მნიშვნელოვანი სამრეწველო და სტრატეგიული ობიექტები, ხოლო ჯარებმა თავდაცვითი მოქმედება დაიწყეს.

რადიოში გადმოსცემენ, რომ ფრონტის მთელ ხაზზე ბრძოლები გრძელდება და ჰონდურასის არმია სალვადორის ჯარებს მძიმე დარტყმებს აყენებს. ქვეყნის თავრობა ხალხს საფრთხეში აღმოჩენილი სამშობლოს დაცვისკენ მოუხმობს და გაეროს აგრესიის დაგმობისკენ მოუწოდებს.

დაბლა ჩავედი, სასტუმროს მეპატრონე მოვძებნე და ვთხოვე, ფოსტამდე ვინმე გამოეყოლებინა. ჩემი აქ ჩამოსვლის პირველი დღე იყო და ტეგუსიგალპალს ჯერ არ ვიცნობდი. მეპატრონეს დახმარება უნდოდა, მაგრამ ახლო-მახლო ვერხის ნახა, მე კი ვჩქარობდი. ანბიომ სახანძრო დახანძრების სამსახურში დარეკა. მალე სამი მეხანძრე გამოჩნდა - თხემით ტერფადა აღტურვლი. სიბნელებში ისე მივესალმეთ, რომ ერთმანეთის სახეებს ვერც ვხედავდით. ვთხოვე, ფოსტაში წავეყვირე. სასტუმროდან გამოვედი. ისეთი შავი ღამე იყო, რომ მხოლოდ ქუჩის კონტურებს ვხედავდი. ვცდილობდი გზა დამეხასხსურებინა და ნაბიჯებს ვითვლიდი. მალე მეხანძრეები შეჩერდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა შენობის კარზე დააკაკუნა. შიგნიდან ვივადც გამოგვეკასაშუა და იკითხა, ვინ ვიყავით. შემდეგ კარი გააღეს და სასწრაფოდ მივინთ შევედი. რომ სინათლეს გარეთ დიდხანს არ გამოვლენა. მითხრეს, მოითმინეთო და შენობის შუაში ვიციდი. მთელ ჰონდურასში ტელეფონის მხოლოდ ერთი აპარატი იყო, რომლითაც იმყამად ქვეყნის პრეზიდენტი სარგებლობდა. ის ტელეფონის სახელეობით ელაპარაკებოდა შეერთებულ შტატებში ჰონდურასის ელჩს, რომელსაც ამერიკისთვის სახმედრო დახმარება უნდა ეთხოვა. ამ მოლაპარაკებაში დიდხანს გასტანა, ვინაიდან ორივე დაძაბული საუბრობდა და თანაც კავშირი ხშირად წყდებოდა.

შუალამისას დადაკემირეს ვარშავასთან. მანქანამ ამბობდა თუ არა ნომერი TL 813480 PAP VARSOVIA, სიხარულისაგან ადგილზე შევხტი. ოპერატორი შემეცითხა: - VARSOVIA - ასეთი ქვეყანაა?

- ქვეყანა კი არა, ქალაქია. ქვეყანას პოლონეთი ჰქვია.

- პოლონეთი, პოლონეთი - გაიმეორა მან, მაგრამ შევატყვე, რომ ეს სიტყვა მასში მინცდამინც დიდ ვერაფერ ასოლიციას აღძრავდა.

მალე ოპერატორი ვარშავას შეეკითხა:

HOW RECEIVED MSG BIBI++?:

რაზედაც ვარშავა უსახვა:

RECEIVED OK OK GREE FOR RYSIEK TKS TKS

+++!

სასტუმროში დავბრუნდი.

ქუჩაში გამოვედი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი თუ არა, მივხვდი, რომ დავიკარგე. საშინელ, გაუვლ წყვილიანი აღმოვჩნდი.

მარტო ყივით უცხო ქალაქში, რომელსაც ველარ ვეხდავდი, თითქოს მიწის ქვეშ გამქრალიყო. არსიდან არანაირი ხმა არ ისმოდა. მივდიოდი ასე, სახლებით, მალაზიებით, ოფისების კედლებზე ხელის ცეცებით. როცა ვავაცნობიერ, რომ ჩემი ნაბიჯების ხმა მკვეთრად ისმოდა, ნაბიჯს შევეუნე. უცებ ვიგრძენი, რომ კედლები დასრულდა. რომელიმე მოედანზე ხომ არ გავიქე? ან იქნებ სადმე კლდის პირს მივაგდექი, რომლის იქითაც უფსკრული იწყება? ფეხით ნიადაგი მოვსინჯე. ასფალტი ეს ნიშნავს, რომ ქუჩაზე გადავსულვარ. არ ვიცოდი, საით იყო ფოსტა და საით - სასტუმრო, მაგრამ მიაცნო ნიშნები. ამ დროს გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა, ვიგრძენი, ნონასწრობას ვკარგავდი და ტროტუარზე გავიშხლართე.

ეტყობა დაცემისას ლითონის სანაგვე ყუთს დავეჯახე და გადავაციარე. ჩანს, ქუჩა დაქანებული იყო, რადგან ყუთი საშინელი ხმაურით დაგორდა. იმავე წამს ჩემ ზემოთ, ყველა მხარეს ფანჯრები გაიღო, საიდანაც ისტერიკული და გამყინავი ხმა შემომიღებდა: - Silencio! Silencio! - ქალაქი, რომელსაც სურდა, რომ ამ ღამეს სამყაროს ის დაევიწყებდა და ცდილობდა, შეძლებისდაგვარად ღრმად ჩაიძირულიყო სინყანრუსა და უკუნში, რათა თავისი არსებობის ნიშანწყალი არ გამოემჟღავნებინა, ამ ხმაურის გაგონებისას ყალყზე დადგა. რაც უფრო ქვევით და ქვევით მიგორავდა ცარიელი ყუთი, ჩემგანაც სულ უფრო და უფრო დაშორებით იღებოდა ფანჯრები, საიდანაც ხან ვედრებანარევი ხმა, ხანაც წყრომა და აღმფთვება ისმოდა: Silencio! Silencio! მაგრამ ვინ და რა შეაჩერებდა ლითონის ურჩხულს, რომელიც გაუკაცრიელებულ ქუჩაზე თანდათან უმატებდა სისწრაფეს, შესაბამისად - რახრახსაც, ეჯახებოდა სინათლის ბოძებს და საშინელ ხმებს გამოსცემდა. როგორც იქნა ტროტუარზე ავცოცდი და გამაშებული გავიშხლართე. ოფლი ნურნურით ჩამომდიოდა. შიშმა ამიტანა, ჩემ მხარეს არ დაენციოთ სროლა. ჩემი საქციელი ხომ ღალატის ტოლფასი იყო. მტერს შეეძლო ყუთის რახარუზი გაეგონა და ქალაქის ზუსტი ადგილმდებარეობა დაედგინა, რაც მანამდე, ასეთ სიჩუმესა და წყვილადმი ძალიან გაუჭირდებოდა. გავიფიქრე, ერთადერთი გამოსავალი დამრჩა - გაქცევა და აქაურობის რაც შეიძლება მალე დატოვება-მეთქი. ვცადე კოდეც: თავი საშინლად მჭკოლა, დაცემისას დავარტყი. მიგრბოდი როგორც შემქმელი, მაგრამ რაღაცას დავეტყე და სახით ძირს დავეცი. ტურებზე სისხლი ვიგრძენი. ნამოვდექი და კედელს მივეყრდენი. ამ დროს ფარნის

შუქი დავინახე და ვიფიქრე, რომ მე მომდევდნენ, რადგან სამხედროთა ბრძანება დავარდევი, რომელიც ღამე ქუჩაში გამოსვლას კრძალავდა. თუმცა შევეცი, არავი არ მომდევდა, ირგვლივ უჩვეულო სიჩუმე და საშინელი წყვილი გამეფიქრულიყო. ხელის ცეცებით ვავაგრძელებ გზა, მივხეებებოდი კედლების ლაბირინთებში, დასისხლიანებული, ამოგანგლულ-დაჭმუჭნილი პიჯაკით. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ამასობაში წლები გავიდა და სამყაროს კიდეს მივაგდექი. მოულოდნელად ტროპიკულმა წვიმამ დასცხო. ამავე დროს, იქაურობა ელვამ გაანათა. ჩემთვის უცნობ ქუჩაში ვიდექი, დავინახე ძველი ხის სახლი, ფარანი და კატის მოელვარე თვალები. წუთიც და ეს ყველაფერი ეკლავ წყვილადმა შთანთხა, მხოლოდ ვიძინის და ხანდახან სერის დაბერების ხმა ისმოდა. ვიდექი შეცივებული, ძველი, აკანკალებული კედლის გაყოლებაზე, ალყავანი შესასვლელი მოვინახე თავი შევაფარე. იქვე დავნეჭი და ძილიც დავაპირე, მაგრამ ამაოდ.

ღილით თავს სამხედრო პატრული დამადაგა.

- სულელი, რას დაეხეტები ღამე ამ ომიანობას? - მითხრა გამოუძინებელმა სერჟანტმა.

ექვთი მიუფრებდნენ და პოლიციის სამორიგეოში უნდოდით ჩემი ნაყვანა. საბედნიეროდ, საბუთები თან მქონდა და აუუსხენი რაშოც იყო საქმე. სასტუმრომდე მიმაცილებს. გზაში სერჟანტმა მითხრა, საბრძოლო მოქმედებით მთელი ღამე მიმდინარეობდა, მაგრამ ფრონტი აქედან შორსაა და ამიტომ ქალაქამდე სროლის ხმა ვერ აღწევდაო.

ღილით ხალხმა თხრილების გათხრა და ბარიკადების აგება დაიწყო. ალყისთვის ემზადებოდნენ. ქალები სურსათს იმარაგებდნენ და ფანჯრის მინებზე ქალადებს აკრავდნენ. ვერ ვაივხვდი, ქუჩაში ვინ საით ვარბოდა, და მგონი, თავადაც არ იცოდნენ. ირგვლივ განგებოდა ატმოსფერო ვაბატონებულიყო. სტუდენტთა ჯგუფები კედლებზე და მსერებზე პატრული მონოტონურად აკრავდნენ. პოეზიის ბუშტი გახეთქილიყო ტეგუსიკალპალის თავზე, რის გამოც ქალაქის კედლები რამდენიმე საათში ათასობით წარწერით დაიფარა:

**ვინც უჩმახებს დღეს ჰონდურასს
ხვალ დაიჭერს კაი ტურასს**

**გოლი, გოლი, კიდეც გოლი
ამოვიცვთ აგრესორი**

შური ვიძიოთ 3:0-ზე

ლათინური ამერიკის მკვიდრნი, რომლებიც აგენტებზე, დაზვერვის ხრიკებზე, კონსპირაციას თუ სახელმწიფო ვადატრიალების მცდელობაზე აცრილები არიან, ახლა, ომიანობისას, თითქმის ყოველ ადამიანში მეხუთე კოლონის წარმომადგენელს ხედავენ. არც ჩემი მდგომარეობა გამოიყურებოდა მინცდამინც საიმედოდ. ფრონტის ორივე მხარეს ოფიციალურმა პროპაგანდამ ელვური კამპანია გააჩაღა და ყველა უბედურებაში კომუნისტებს ადანაშაულებდნენ. მე კი სოციალისტური სახელმწიფოს კორესპონდენტი ვიყავი. შეეძლოთ ქვეყნიდანაც გავეჭვენი, არადა, ომის დასრულებამდე მინდოდა აქ დარ



ჩენა.

ფოსტაში ნავედი და ოპერატორი ლუღვე დავაპტივ. შემინებული ჩანდა, რადგან, მართალია, მამამისი წარმოშობით ჰონდურასელი იყო, მაგრამ დედა სალვადორის მოქალაქედ რჩებოდა. ამიტომ, როგორც შერეული წყვილის შვილი, ეჭვს იწვევდა არ იცოდა, რა ელვოდა. პოლიცია დილიდანვე ყველა საღვადორულ სახელდახლოდ მიწყოილ ბანაკებში ერეკებოდა, ძირითადად სტადიონებზე. ლათინურ ამერიკაში სტადიონები ორმაგ როლს თამაშობენ: მშვიდობიანობისა იქ სპორტული ღონისძიებები იმართება, კრიზისისას - საკონცერტო ბანაკები.

ხოსე ერცუ. ბარში დავსხლავდი. ერთ ბედქვეშ ვიყავით, გაურკვეველმა სიტუაციამ დაგვახლოვა. ხოსე ხშირად ურეკავდა სახლში გამოკეტილ დედას და ახსენებდა: "დედა, ყველაფერი წესრიგშია, არ აფუყვანივართ, ვეშვართ".

ნაშუადღევს მექსიკიდან თოთხმეტი ჩემი კოლეგა ჩამოვიდა. გვატემალამდე ჩამოფრინდნენ, სადაც ავტობუსი დაიქრავეს და ჩვენამდე ასე ჩამოაღწიეს, რადგან ტეკუსიგალალის აეროპორტი დახურული იყო. ფრონტზე წასვლა ყველას უნდოდა, ამიტომ პრეზიდენტის სასახლისკენ გავწვიეთ. ეს იყო ქალაქის ცენტრი მდგარი, ცისფრად თელებილი უაგემონო ნაგებობა. ახლა სასახლის გარშემო განელავებინათ ავტობუსები ტვიარადებული ჯარისკაცები, რომლებიც ქვიშის ტორების უკან იმალებოდნენ. მოედანზე კი პაერსანინალმდევი დანადგარი მოეთავსებინათ. ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამხედროებს წაწყდებოდა. სასახლის დეფრუფენებში ჯარისკაცებს ეძინათ. იარაღიც იქვე ეწყო. ირგვლივ ქაოსი გამეფებულ იყო.

ყველა ომი უწესრიგობაა, სიცოცხლისა და რესურსების საშიცარი ფლანგვა. ადამიანები თასოსონ წნელია ომობენ, მაგრამ ყოველ ჯერზე ომი ისე გამოიყურება, თითქოს პირველად ახლა ხდებოდეს. რომელიღაც კაპიტანი გამოგვეცხადა და როგორც არმიის პრესმდივანი, ისე გავგეცნო. როდესაც ფრონტზე არსებული სიტუაციის თაობაზე შევეკითხეთ, განაცხადა, რომ ისინი იმარჯვებენ და მტერს დიდი ზარალი მიაყენეს.

- ძალიან კარგი, მაგრამ ჩვენ საკუთარი თვლით გინდა ამ ყველაფრის ნახვა - უთხრა გრინმა, AP-ის კორესპონდენტმა.

კაპიტანმა განგვიცხადა, რომ ფრონტზე დილით ნაეიდლილი.

შარავზით მივალნით იმ ადგილს, სადაც ხის ქვეშ ორი ტყვიამფრქვევი იდგა და ტყვიან-ნამალიც გროვარგოვა ყვარი. შარავზა სალვადორამდე გრძელდებოდა. გზის ორივე მხარეს ჭაობი იყო, ჭაობების შემდეგ კი - დაბალი ბუჩქნარი. სალვადორამდე დაახლოებით რვა კილომეტრი რჩებოდა.

გაოფლილმა მათორმა, რომელიც გზის დაცვას ხელმძღვანელობდა, გვითხრა, ამის იქით წასვლა არ შეიძლება. იქით უკვე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, თანაც ისე, რომ ძნელდებოდა დადგენა, ვინ სად იდგა და ვის ემორჩილებოდა. ხშირი ბუჩქნარი საქმეს ართულედა. ამასთან, ორივე მხარის ჯარისკაცებს მსგავსი სამხედრო ფორმა ეცვოდა, ერსად იმავე იარაღს ხმარობდნენ და ლაპარაკობდნენ, ორივე მხარე ესპანურ ენაზე ლაპარაკობდა. ამიტომ მონივნავ რაზმი, მონივნალმდეგეს რომ გადააწყდე-

ბოდა, კარგა ხანს ვერ არკვევდა, თავისიანებს შეხვდა თუ მტრებს.

მაიორი ტეკუსიგალალაში დაბრუნებას გვირჩევდა, რადგან გზის გაგრძელების შემთხვევაში, შეიძლებოდა ისე დავხოცილიყავით, ისიც კი ვერ გავგეგვო, რომელი მხარისად გამოგვიყვანეს წირვა. ამის პასუხად ტელევიზორატორებმა განაცხადეს, რომ ისინი აუცილებლად უნდა გადასულიყვნენ წინა ხაზზე, რათა გადაეღოთ, როგორ ისვრიან და როგორ იღუპებიან ჯარისკაცები ბრძოლის ველზე. გრეგორი სტრაუსს NBC-დან, ენდა ჯარისკაცის სახე იყო ახლოდან გადაეღო, რომ გამომჩენილიყო, ოფლი როგორ ჩამოსვლიდა. როდოლფ კარილი, CBS-დან, განაცხადა, რომ სურდა სურათზე აღებჭჭა დამარცხებული რაზმის მეთაური, რომელიც ბუჩქის ძირში ზის და ტირის, რადგან მისი რაზმი სრულად განადგურდა. ფრანგ ოპერატორს უნდოდა, საერთო ხედი ჰქონდეს სალვადორელი და სალვადორელი მებრძოლები ერთ კადრში მოექცია. ვილაცის მიზანი იმ ჯარისკაცის გადაღება იყო, რომელსაც ფრონტის ხაზიდან დაჭრილი გამოპყვს. ტელევიზორატორებს მხარი დაუჭირეს რადიოს კორესპონდენტებმაც. ენრიგო ამადაოს, რადიო "მონდოდა", უნდოდა ჩაენერა დაჭრილი ჯარისკაცი, რომელიც შველას ითხოვდა და თანდათან ისე უსუსდებდა, რომ ლაპარაკი უჭერს. კანადის რადიოს რეპორტიორს სურდა ჩაენერა ჯარისკაცის ხმა, რომელიც გახურებული ომის დროს ომის წამოწყებას წყევლის. იაპონიის რადიოს ჟურნალისტს იმ ოცივრის ბრძანების ჩაენერა უნდოდა, რომელიც იაპონურად რადიოტელეფონის საშუალებით ბრძანებას იძლევა და ბრძოლის ხმაურის გადაფარვას ახერხებს.

მათ გარდა ბევრ სხვასაც გვქონდა გადაწყვეტილი, მაინც წინ წავსულიყავით ასეთ დროს კონკურენციის კანონი მთელ ძალით მოქმედებს. რადგან ნავიდნენ ამერიკის ტელევიზორატორები, ნასვლა უნდოდათ ამერიკის პრესის სააგენტოს თანამშრომლებსაც, რადგან ამერიკელები ნავიდნენ, როიტერისა და AFP-ის ჟურნალისტებსაც უნდოდათ რომ წასულიყვნენ, თუ წაწვდილია NBC-ის ჟურნალისტი, უნდა წასულიყო BBC-ის რეპორტიორიც. პატრიარქული ყინით აღტყინებულმა, რამეთუ ერთადერთი პოლონელი ჟურნალისტი ვიყავი მთელ ამ კამპანიაში, გადავწყვიტე იმ ფაქტს დავგზავნებოდა, რომელიც ასეთ გაბედულ მარშს აპირებდა. ხის ქვეშ ჩრდილში ის ჟურნალისტიც დარჩნენ, რომლებსაც ემინოდათ ფრონტზე წასვლა და მოიმიზუნეს, რომ ავად იყვნენ, გული აწუხებდათ ან არ აინტერესებდათ კონკრეტული დეტალები და თავიანთ სააგენტოს მხოლოდ ზოგად კომენტარებს მიაწვდიდნენ.

მოკლედ, ასე ოცამდე კაცმა გავაგრძელები ცარიელი ასფალტისანი გზა, რომელიც ცხარე მზისგან ლაპალაში გაუდიოდა. ამ მარშის რისკი, ან შეიძლება სიციფეც კი, იმაში მდგომარეობდა, რომ გზა შემალბებულ გორაკისპირებს მიუყვებოდა და ორივე დაპირისპირებული მხარისთვის ჩვენ ადვილად შესაძრნევი ვიყავით. ისინი ხომ ჩვენგან ასიოდ მეტრის დაშორებით ისდნენ და ავტომანქანის ტყვიას ადვილად მოგვწვდებოდა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

დასაწყისში ყველაფერი კარგად მიდიოდა. გვესმოდა ინტენსიური სროლის ხმა და საპრეტული ბომბების ბათქაბუთქი, თუმცა ეს ხმები ორიოდ კილომეტრის დაშორებით ისმოდა. სიმხნევის შესანარ-

ჩუნებლად განუწყვეტლივ ერთმანეთს ველაპარაკებოდით (ნერვიულად და ცოტა უახროდ). ვილაც ანეკდოტებს ჰყვებოდა. ისეთი მთაბეჭდილება შემდეგ ვეტიკოვებინა, რომ ყველაფერი ნორმალურად იყო. მაგრამ დაახლოებით ხუთასი მეტრის გავლის შემდეგ შიშმა მოგვიცვა. რადგან მართლაც ძალზე უსიამოვნია იმის შეგრძობა, რომ ყოველ წუთს შეიძლება ტყვიამ მოგსხიპოს. ასეთ დროს ფეხები უროსავით გამიძიმდება, ოფლი ნურნურით ჩამოვადის. თუმცა ხმაშილა არავის არ უღიარებია, რომ ეშინოდა. თავდაპირველად ერთმა შემოგვთავაზა, ცოტა შევისვენოთო. კარგით, დავთანხმდით, დავსხედით და დავივიწყეთ. ჩემს გაგრძელებას შემდეგ ორი კოლეგა ძალზე უკან ჩამოგვრჩა, ვითომ მეტად საინტერესო საუბარი ჰქონდათ ერთმანეთში. შემდეგ ერთმა ვითომ ძალიან ლამაზი ხე შეამჩნია და მისი ახლოდან დათვალიერება განიზრახა. მალე ორმა თქვა, რომ ფოტოაპარატის ლენტები დავგვრა და უკან უნდა გავბრუნდეთო. კვლავ დავისვენეთ, ოღონდ ამჯერად დასვენებამ გაცილებით მეტხანს გასტანა. ამასობაში თორმეტილა დავრჩით.

ჯერჯერობით ჩვენს ახლომახლო არაფერი არ ხდებოდა. მივიდიოდით ცარიელ გზაზე სალვადორის მიმართულებით, საუცხოო ამინდი იყო, მზე ჩანასვლელად იწვეებოდა. კაცმა რომ თქვას, მზე ნამოგვეშველა სიტუაციიდან გამოსვლაში. ტელეოპერატორებმა სინათლის საზომი ჩართეს და განაცხადეს, უკვე ხნელდება და მალე გადადება შეუძლებელი გახდებაო. ასეთ დროს ვერაფერს ვაკეთებ, ვერც საერთო ხედს გადავიღებ ახლოდან, ვერც მოძრაობას, ვერც უმოძრაობას. არადა, ფრონტის წინა ხაზამდე ჯერ კიდევ შორი იყო და ვიდრე იქამდე მივიდიოდით, დაღამდებოდა კიდევ. მთელი ჯგუფი შემოტრიალდა და უკვე გაბრუნდა. ხის ქვეშ, იქ, სადაც ორი ტყვიამფრეკევი იდგა, ის კოლეგები გაცივდიდნენ, რომელთაც სწული გული ჰქონდათ, ასევე ისინიც, რომელთაც ზოგადი კომენტარები უნდა დაენერათ. აქ ისინიც იყვნენ, რომლებმაც, მართალი იყო თუ ტყუილი, განაცხადეს, რომ ფოტოაპარატის ლენტები დაწრაზა.

გაოფლიანებულმა, წვერგაუპარსავმა მაიორმა (მისი სახელი და გვარი პოლიკარპო პასი იყო) სამხედრო სატვირთო ავტომობიანით ფრონტის ზურგში, პატარა ქალაქ ნასაოშიმ ნავიყვანა ღამის გასათევად. იქ ვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, რომ ამერიკის მთავრობისთვის გვეთხოვა, ზემოქმედება მოეხდინა აქაურ ხელისუფლებას, რათა ფრონტის ხაზზე გავეყვანეთ.

დღითი თვითმფრინავი გამოგვიგზავნეს ფრონტის მეორე მხარეს ვადასყვანად, სადაც ძლიერი ბრძოლები მიმდინარეობდა. ღამის წვიმას ჟანგისფრად შევლება ნაკომის აეროპორტის ასაფრენი ზოლი. ძველი DC-3, რომელიც გამოიწოდებოდა ერთიანად გამურულიყო, წყლიდან ჰიდროპლანით ამოიშრათა. თვითმფრინავისთვის სალვადორის ბომბდამფრეკი ერთი ფრთა დაეზიანებინა და გახვერტოლი ავეცილი ამოფიცრათ. ამის დანახვაზე, ყველა, ვინც გულის ავადმყოფობას უჩიოდა, შექრუნდა. მათ უარი თქვეს წამოსვლაზე და უკან, ტეგუსიგალპალში დაბრუნდნენ.

ჩვენ კი ფრონტის მეორე მხარეს სანტა როსა დე

კოპანაში გადავფრინდით. ასაფრენ ზოლზე თვითმფრინავმა იმდენი ცეცხლი და ბოლი გამოაფრეკა, კაცი იფიქრებდა, სტარტს მთავრებდნენ ასაფრენად იღებო. თვითმფრინავი ფრენისას ღრჭიალებდა, რახარახებდა და ჰაერის ტალღებზე ისე გადად-გადმოდიოდა, როგორც ლითონ ირწყვია ზოლზე შემოდგომის ქარიანობისას. ეს იყო სატვირთო თვითმფრინავი, რომელსაც შიგნით არც საკმები ედგა და არც სავარძლები. თავს ძლივ ვიჭერდით, კედლებს აქეთ-იქით ვეხებოდით. ღრჭიერებიდან შემოსულ ქარს ჩვენს თვებს ლამისაა თავები წაეძრო. ორი ახალგაზრდა პილოტი კი სარკიდან გვიყურებდა და უზრუნველად ილიმებოდა. ჩანს, კარგი გასართობი კმაყოფილი იყვნენ.

- მთავარია - ძრავის ღრილა და შემოსული ქარის ხმაურში მიყვიროდა ჟურნალისტის ანტონიო როდრიგესი - მოტორი არ ჩაუქრეთ! ღმერთო. გვიშველი! პატარა, წყნარი დასახლება სანტა როსა დე კოპანა ჯარისკაცებით იყო სავსე. სატვირთო ავტომობიანით სამხედრო ბანაკამდე მიგვიყვანეს. ეს უკანასკნელი ძველი ესპანური ციხესიმაგრის ადგილას მოეწყობა. მას გარს სინესტისგან დახავსებული გალავანი ერტყა. როდესაც მანქანიდან ჩამოვედით, ციხის ეზოში სამი დაჭერილი ჯაშუშის დაკითხვის მონაგვად გვხვდით.

- ილაპარაკეთ - უყვიროდა მათ სამხედრო გამოძიებელი - ყველაფერი ილაპარაკეთ!

სისხლდაკარგული ჯაშუშები დასუსტებული ჩანდნენ და ძლივს ულულებდნენ. ისინი წელს ზევით გაემიშვლებინათ. ერთი მათგანი მუცელში იყო დაჭრილი, მეორე - მკლავში, ხოლო მესამეს ხელის მტკვანი მთლად ნახევრული ჰქონდა. მუცელში დაჭრილმა წამებებს დიდხანს ვერ გაუძლო, რალაც ცეკვის ილიტის მსგავსად შექანდა და მინაზე დაეცა. ის ორი დარჩენილიც დაღუძდა და ამხანაგს სინანულით დააქექრდა.

რომელიღაც ოფიცერმა გარნიზონის კომენდატთან ნავიყვანა. ფერწასულმა, დალილმა კაპიტანმა არ იცოდა, ჩვენთვის რა მოეხერხებინა. ბოლოს ბრძანა, სამხედრო ხალათები დაერიგებინათ. მისი განკარგულებით ყავაც მოგვიტანეს. კომენდატის ემინობა, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო სალვადორის სამხედრო ნაწილების თავდასხმა. სანტა როსა მტრის შეტევის მთავარ მიმართულებას ელოდებოდა, ანუ იმ გზაზე მდებარეობდა, რომელიც ატლანტის ოკეანეს წყნარ ოკეანესთან აკავშირებდა. წყნარი ოკეანისპირა სალვადორის მიზანი ატლანტის ოკეანისპირა ჰონდურასის დაპყრობა იყო, რის შედეგადც პატარა სალვადორი ორ ოკეანეზე გადაჭიმულ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა. ატლანტის ოკეანისკენ გამავალი ყველაზე მოკლე გზა კი სწორედ იმ დასახლებულ პუნქტებზე გადიოდა, სადაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებოდით - ოტოტუქუქუზე, სანტა როსა დე კოპანაზე და სან პედრო სულაზე. სალვადორის სამხედრო ტექნიკა უკვე საკმაო მანძილზე იყო ჰონდურასში შეჭრილი. მათ ნაბრძანები ჰქონდათ ატლანტის ოკეანემდე, ევროპამდე, იმის იქითაც, მსოფლიოზე გასვლა!

მათი რადიო გამუდმებით იმეორებდა:

კიდევ ერთი გასროლა და თავის გამეტება -



ჰინდურასი საბოლოოდ გაქრება და დამინდება!

სუსტი და ღარიბი ჰინდურასი, როგორც შექმნილი, თავს იცავდა. ბანაკის ღია ფანჯრიდან მოჩანდა, თუ როგორ მიაცილებდნენ ფრონტზე ოფიცრები რიგებს. სულ წარჩევ-წარჩევი ყმანვილები მწყობრ რიგებდნენ მიდიოდნენ. ყველანი ინდიელები იყვნენ, დაძაბული სახეებით, მათ თვალეში შიშაც იკითხებოდა. ოფიცრები რაღაცა უხსნიდნენ და შორეულ პირიზონებზე ხელთ მითითებდნენ. შემდეგ მათთან მიდიოდა ღვთისმსახური და სასიკვდილოდ მიზეზს ყმანვილებს ლოცავდა.

შუადღისას ავტომანქანით ფრონტისკენ წავედით. ორმოც კილომეტრზე მეტი გავიარეთ. მანქანა მალე და მალე ადიოდა ბურქებით დაფარულ ქოხებზე. ფერდობებზე ალიზით ნაგები ცარიელი ქოხები მოჩანდა, რომელთაზე ზოგი გადაწვარია იყო. ერთი ადგილას გლეხების დიდ ჯგუფს გადავანწყდით - თეთრ ხალხებსა და სომხურებში, რომლებმაც მარტელების ქეჩა და სროლა დაგვიწყეს.

მოულოდნელად გზაზე ხალხის მოძრაობა შევნიშნეთ. როგორც ჩანს, მივახლოვებოდით იმ ადგილს, სადაც ტყეში სამკუთხად გამოჭრილი მინდორში დაჭრილები დევსებდნენ. ზოგი მათგანი საკაცზე იწვა, ზოგიც - პირდაპირ ბალახზე. გარს ხოლოდ რამდენიმე ჯარისკაცი და ორი სანიტარი უტრიალებდნენ. იქვე ახლოს ოთხი მათგანი ორმის თხრიდა. დაჭრილებს წყნარად იწვნენ და მოთმინებით ელოდნენ ექმს, რომელიც არსად ჩანდა. ამოუხსნელია ეს მოთმინება, ტკივილის ასე ზედადამიანური ატანა, რომელიც ინდიელებს შეუძლიათ. არავინ ყვიროდა, არავინ ითხოვდა დახმარებას.

ჯარისკაცებს მათთვის წყალი მიჰქონდათ, სანიტრები, რომელთა გამოუცდებლობაც თვალში საცემი იყო, როგორც შექმნილი, ისე ცდილობდნენ შვება ეგრძობინებინათ. ის, რაც მე იქ ვიხილე, ადამიანის ნარმოდგენას ნარმოდგენას აღემატებოდა. ერთი სანიტარი, ხელში ლანცეტით, ხან ერთ დაჭრილთან მივიდოდა, ხან მეორესთან და ჭრილობებიდან ავტომატის ტყვიას ისე უღებდა, გაჭრილი ვაშლიდან თესლს რომ ამოვიჩქინებოდალმე. მეორე სანიტარი ჭრილობაზე იოდა უსვამდა და უხვევდა.

ჩვენს ახლომახლო ბომბები სკდებოდა, ტყვიამფრქვევი კაკანებდა, უფრო შორიდან ყვიროდის ხმა მოდიოდა, ჰაერში დენთისა და ბოლის სუნი იდგა. რაში ბურჭებს შორის წინ იმ გარის ძირში მიიწვედა, სადაც ჩვენ საბრძოლო მოქმედებებს გადავანწყდით და სადაც ჩვენი მანქანა გაჩერდა. იმ ადგილიდან, ჩვენ რომ მივსულე გაკურნალებ ვინეკით, კარგად მოჩანდა უკან დახეული მებრძოლების უხეში ჩექმები. ერთმა ჯარისკაცმა შემანჯღრია:

-*Senior, mire cuantos zapatos!* (შეხედეთ რამდენი ფეხსაცმელია!). ის კვლავ უკან დახეულ რაზმს უყურებდა, თან თვალები მოეკურა, ფიქრში რაღაცს ანგარიშობდა, ცოტა ხნის შემდეგ კი უიმედოდ და სინანულით თქვა:

-*Toda mi familia anda descalzada* (მთელი ჩემი ოჯახი ფეხშიშვლა დადის).

ამის შემდეგ ჩვენც ტყისკენ დავერყეთ გახობება. ერთხანისა სროლა შეწყდა და შეჩერდით. დაღლილი ჯარისკაცი მომიბრუნდა და ქოხინით მითხრა, აქ დაშლოდით. თავად იმ ადგილას დაბრუნდებას

აპირებდა, სადაც მისი ნაწილი იყო გამავრებული. ცოცხლები ალბათ წინ წავიდოდნენ, მუხუნბოლია, რადგან ნაბრძანები ჰქონდათ მტერი საზღვრამდე მიერეკათ. ბრძოლის ველზე მხოლოდ დახოცვლები დარჩებოდნენ, რომელთა ფეხსაცმელებიც სხვებს გამოადგებოდნენ. ის წავიდოდა, გახდიდა რამდენიმე მათგანს, ფეხსაცმელებს იქვე სადმე შეინახავდა, ადგილის მონიშნავდა, ხოლო როდესაც ომი დასრულდებოდა და სახლში გაუშვებდნენ, დაბრუნდებოდა, იპოვიდა და ოჯახის წევრებს ნაუღებდა. უკვე ისიც ნანაგარიშები ჰქონდა, რომ ერთი წვეილი სამხედრო ფეხსაცმელი სამ წვეილ ბავშვისაზე გაცივლებოდა, შვილი კი ცხრა ჰყავდა.

შემდეგ დიქტორმა გამოაცხადა, რომ კენედის ყურადღან კოსმოსში გაუშვეს რაკეტა „აპოლო - 11“. რაკეტაში სამი ასტრონავტი - ამსტრონავტი, ალდრინი და კოლინზი ისხდნენ. ადამიანი ვარსკვლავებს უახლოვდებოდა, კარს ჭრიდა ახალ სამყაროში და უსაზღვრო გალატეკის საზღვრებს ეპოტინებოდა. შიუსტონიც დელამინის ყოველი ნერტილიდან მიდიოდა მილოცვები - აგრძელებდა დიქტორი - კაცობრიობას ალაფროთავანებდა ადამიანის რაციონალური და ზუსტი აზროვნება.

მიელო დღის დაღლილ ჩემს ჯარისკაცს ახლა ქოხის კუთხეში მობლუნძულს ეძინა. ალიონზე გავალვიქი და ვუხსარი, მიედვიარე-მეთქი. მყოთიაც თვალმოუხუჭავმა და გამუდმებით გზაში მყოფმა ბიკალიონის მძღოლმა ჯიბით ტეგუციგალუმდე მივკიყვანა. დრო რომ არ დაგვეკარგა, პირდაპირ ფოსტისკენ გავნიეთ. იქ ნათხოვარ საბჭოე მანქანა დევსაქდე ტელეგრაფის ტელსკოპ, რომელიც შემდეგ ჩვენმა გზაზეთმა გამოაქვეყნეს. ხოვე მალაგამ ეს ტელეგრაფა ურიცოდ და სამხედრო ცენზურის გარეშე გაუშვა (თუმცა ტექსტი პოლონურად იყო დაწერილი).

ფრონტიდან ჩემი კოლეგებიც დაბრუნდნენ. ვინ საიდან მოდიოდა და ვინ საიდან. ჩვენ იმ ადგილას დავმორდით, სადაც მანქანა გავეჩერეთ. თურმე პატროკ ადამი, რადიო "შენიღებან", სალვადორის პატროლს, რუოლ გვარდიის სამ წევრს ჩავარდინა ხელში და მისი დახვრეტა დაუპირებიათ. ეგ ის კერძო უანდარმენიაა, რომელსაც სალვადორის მდიდარი ლატოფუნდისტიტი აფინანსებდა. მასში ძირითადად მოხუციგნო, თავზე ხელაღებული ხალხი წევრიანდებდა. ენრიკო თურმე დიდხანს ლოცულობდა, მერე ის უთხოვდა, ფეხისალაგამი ნასვლის ნება მომეცითო. უანდარმებს სთამოვნებას ანიჭებდა დაფრთხალდამინებული ადამიანის ყურება. ბოლოს კიდევ ერთხელ რომ დაუყენებოდა დასახვრეტად, ამ დროს ბურქებიდან სროლა ამტყვადია, ერთი პატროლი მკვდარი დაცემულა, ორი კი ტყვედ აუყვანიათ.

საფეხბურთო ომი ას საათს გრძელდებოდა. მისი მსხვერპლი ექვსი ათასი დაღუპული და რამდენიმე ათასი დაჭრილი გახდა. თხოვნიტა ათასმა ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა, მრავალი სოფელი განადგურდა.

სხვა ქვეყნების ჩარევით მხარეებმა საბრძოლო მოქმედებები კი შეწყვიტეს, მაგრამ მათ საზღვარზე დღემდე ხდება შეტაკებები, იხოცება ხალხი, იბუჭება სოფლები.

ომის ნამდვილი მიზეზი: სალვადორი - ცენტრალური ამერიკის ყველაზე პატარა ქვეყანა, კონტინენტზე მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიჭიმდრო-

ვით ხასიათდება (160 ადამიანი ერთ კვ. კმ.-ზე). ამასთან, მიწების უდიდესი ნაწილი 14 დიდი კლანის ხელშია ჩაჯარდნილი. ამბობენ კიდევ, სალვადორი „ოთხმეტი ოჯახის საკუთრებაა“. ათას ლათიფუნდისტს უჭირავს ათჯერ მეტი მიწა, ვიდრე ასი ათას გლეხს ერთად. სოფლად მცხოვრები ადამიანების ორ-მესამედს მიწა საერთოდ არ გააჩნია. უმინაწყო ლარიზების ნაწილი დიდი ხანია ჰონდურასში გადასახლდა, სადაც ბევრი უპატრონო მიწა იყო. ჰონდურასს (112 000 კვ. კმ.) თითქმის ექვსჯერ მეტი ფართობი აქვს, ვიდრე სალვადორს, მაგრამ მისი მოსახლეობა 2-ჯერ ნაკლებია (2,5 მლნ). ეს იყო წყნარი, მალული ემიგრაცია, თუმცა ამ ფაქტზე წლების განმავლობაში თვალს ხუჭავდა ჰონდურასის ხელისუფლება.

სალვადორიდან აქ ჩამოსახლებული გლეხები (300-ათასი) აარსებდნენ სოფლებს და გაცილებით უკეთ ცხოვრობდნენ, ვიდრე სამშობლოში. 60-იან წლებში ჰონდურასელმა გლეხებმა მიწის მოთხოვნით საპროტესტო მოძრაობები დაიწყეს. ხელისუფლებამ მიწის რეფორმის დეკრეტი გამოსცა. და რადგან მთავრობა ოლიგარქიული იყო და ამასთან, დამოკიდებული იყო შეერთებულ შტატებზე, ეს დეკრეტი არც ლათიფუნდიების განაწილებას ითვალისწინებდა და არც იმ მიწების გლეხებისთვის გადაცემას, რომელიც შტატების კონცერნ United Fruit-ს ეკუთვნოდა. ეს უკანასკნელი ჰონდურასის ტერიტორიაზე უდიდეს ბანანის პლანტაციებს ფლობს. ხელისუფლებას უნდოდა ჰონდურასელი გლეხებისთვის ის მიწები დაერეგებინა, რომელსაც სალვადორელი გლეხები ფლობდნენ, რაც 300 000 ემიგრანტის თავის ქვეყანაში დაბრუნებას ნიშნავდა, სადაც მათ არაფერი გააჩნდათ. სალვადორის ოლიგარქიული ხელისუფლება წინააღმდეგი იყო ამ გლეხების უკან დაბრუნებისა, რადგან ეს გლეხურ რევოლუციას მოასწავებდა.

ამას ჰონდურასის ხელისუფლება მოითხოვდა, სალვადორი წინააღმდეგი იყო. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა, გაზეთები ორივე ქვეყანაში ზიზღისა და სიძულვილის პოლიტიკას აღვივებდნენ.

რას არ უწოდებდნენ ერთმანეთს - ჰიტლერელებს, სადისტებს, აგრესორებს, არამზადებს. არბევდნენ, ხოცავდნენ, მალაზიებს უწევავდნენ.

და აი, ასეთ ატმოსფეროში სალვადორისა და ჰონდურასის ფეხბურთის ნაკრებებს შორის გაიმართა მატჩი. გადაამწყვეტი შეხვედრა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, მექსიკაში ჩატარდა (სალვადორმა 3:2 გაიმარჯვა). ჰონდურასის გულშემოტიკერები სტადიონის ერთ მხარეს დასხეს, სალვადორისა - მეორე მხარეს. მათ შორის კი უფთი ათასი ხელკეტები შეიარაღებული მექსიკელი პოლიციელი დაჯდა.


ამ თამაშმა კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყნებს შორის დამოკიდებულება და ურპატრიოტული ისტერიკა ბოლომდე გააღვივა. ეს კარგი საბაბი იყო ომის გასაჩაღებლად და ორივე ქვეყანაში ოლიგარქიული ხელისუფლების გასაძლიერებლად.

პირველმა სალვადორმა შეუტია, რომელსაც გაცილებით ძლიერი არმია ჰყავდა და იოლი გამარჯვების იმედიც ჰქონდა.

ამ ომში გამარჯვებული არავინ დარჩენილა. საზღვრები, რომლებიც მთიან და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებზე გადადის, არ შეცვლილა, არადა, ამ ადგილებზე ორივე ქვეყანა აცხადებს პრეტენზიას.

ემიგრანტთა ნაწილი სალვადორში დაბრუნდა, დანარჩენი კვლავაც ჰონდურასში ცხოვრობს.

ორივე ქვეყნის მთავრობა კმაყოფილი დარჩა ომით, რამეთუ რამდენიმე დღის განმავლობაში სალვადორიც და ჰონდურასიც ყველაზე ხშირად იხსენიებოდნენ მსოფლიო პრესაში და რალაც კუთხით საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მთავარ ობიექტებად იქცნენ. მესამე, მეოთხე და დანარჩენი სამყაროს ქვეყნებს ხომ მხოლოდ მაშინ უჩნდებათ შანსი მსოფლიოს ყურადღების მიპყრობისა, როდესაც იქ ომი და სისხლისღვრა იწყება. სამწუხარო ქუმპარიტებაა, მაგრამ ეს მართლაც ასეა.



ღია ლექოკელი

მე პაპაჩემი მძულდა და მინდოდა, მომკვდარიყო.
 მძულდა მისი წყლისფერი თვალები, როცა მიყურებდა და ვგრძნობდი,
 ერჩია, ვინმე სხვა დაეხახა.
 მძულდა მისი ქუდი, რომელსაც მხოლოდ ძილში იხდიდა
 და ბავშვობიდან ვიცოდი, დავისჯებოდი, თუ შევეხებოდი.
 მძულდა სახლის სიჩუმე მისი შინ ყოფნისას,
 თითისწვერებზე სიარული და სიცილის მოთმენა, როცა ხასიათზე არ იყო.
 მძულდა ჯოხი, რომელსაც ძროხებს ურტყამდა და ზოგჯერ ჩემს კატას,
 ცული, რომლითაც ტყეში დადიოდა
 და ხეებს ხოცავდა
 ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, სანამ სიარული შეეძლო.
 მძულდა მისი მსუბუქი, მოძრავი სხეული,
 რომელსაც ვერაფრით ეწეოდა სიბერე.
 და ვფიქრობდი, ვერც სიკვდილი დაეწეოდა.
 წელიწადში ორჯერ მიდიოდა ქალაქში მანქანის ნაწილებს საყიდლად,
 ან რაღაც სხვა საქმის მომიზეზებით.
 აუცილებლად შეივლიდა აბანოში და ნავთულის ბაზარში,
 საიდანაც მოჰქონდა ბევრი უსარგებლო ნივთი
 და ჭრელი საკაბეები დედამისისთვის.
 ერთხელ ყური მოვკარი, ამბობდნენ, რომ ქალაქში ქალი ჰყავს,
 და წელიწადში ორჯერ მისთვის მიაქვს ბებიჩემის გაკეთებული ყველი.
 უკან დაბრუნებულს მოჰქონდა ავტობუსების სადგურში ნაყიდი
 ძველი, ძნელად დასალექი თაფლაკვერები.
 ის თაფლაკვერები ყველაფერს მერჩია და ისე ვჭამდი, არავის გაეგო.
 ვჭამდი და ვფიქრობდი, რომ ეს კაცი არასოდეს მოკვდება.
 როცა ბებიჩემი აღარ იყო, ყველა ამბობდა, რომ ძალიან დააკლდა.
 მე კი ვფიქრობდი, რომ ასე უქეთესად ცხოვრობს, -
 დამთავრდა ყოველდღიური ჩხუბი
 მინამდე დაბრილ, ხერხემალზე ცხოვრებაგადაკიდებულ ბებიჩემთან,
 და ზუსტად ვიცოდი, რომ დამნაშავეა -
 მასთან მოსული სიკვდილი გააცურა და ჩემი გატანჯული ბებია შეაჩენა.

მერე თანდათან მოტყდა.
 ტყეში ვეღარ დადიოდა, კიდევ უფრო დამძიმდა და გართულდა.
 მე კანი მეწეოდა მისი თვალებისგან
 და ყოველდღე ვუყრიდი საქმელში უზომოდ ბევრ მარილს და წინაკას,
 იმდენად ბევრს, რომ მთელი დღეები ხველება აბრჩობდა.
 მაგრამ ხმას არ იღებდა. მიყურებდა და ჭამდა.
 და მე ვფიქრობდი, რომ ეს სიძულელი არის ჩემი ჯოჯოხეთი.
 მერე რამდენჯერმე მძალე ღვინის ძმრით გაუღენთილი
 სახამთროს ნაჭრები ვაჭამე.
 ხმა არ ამოულია.
 და ვიფიქრე, რომ ეს არის ჯოჯოხეთზე მეტი
 და ჩემს თავში ცხოვრება აღარ შემიძლია.
 ბოლოს დაპატარავება დინყო.
 მესხიერებაც დაკარგა და მოძრაობის უნარიც.
 თითო ბავშვივით უვლიდა მამაჩემი,
 კოვზით აჭმევდა და საფენებს უცვლიდა.
 ზუსტად ერთი წელი კვდებოდა,
 და როცა ყველაფერი დამთავრდა,
 მე დიდხანს მესიზმრებოდა, როგორ ბრუნდება სახლში
 საიმედოდ დამარხული პაპაჩემი,
 როგორ მიყურებს ღვინის ძმარში დამბალი თვალებით,
 როგორ ჩამოსდის ნიკაპზე საქმლის წინაკიანი წვენი,
 და ვიცოდი, რომ მხოლოდ ამის გამო,
 თუნდაც მხოლოდ ამის გამო
 ვისაც გავაჩენ, ვერ შემეყვარებს, სანამ არ მოკვდება.
 ახლა ვიცი, როგორ მიყვარდეს.
 მიყვარდეს ბობოქარი, მძიმე და უფემური,
 ზუსტად ჩემნაირი პაპაჩემი,
 ყველაგან შუყვარებული,
 ქალაქიდან თაფლაკვერების მზიდავი უფიშო შვილიშვილებისთვის,
 კაცი, რომელმაც იარა, იარა და ბოლოს მაინც ბებიჩემს მოუნვა
 მიტოვებული სოფლის სასაფლაოზე.





ახლა ვიცი, მაგრამ მესამე ზედმეტია,
და ყველა ზედმეტია -
ისინი, ორნი,
ერთად წვანან და იციან, რომ არავინ უყურებს.

ხეალ თმას გადავიპარსავ

ხეალ თმას გადავიპარსავ.
გამომიჩნდება დიდი ცხვირი და დიდი ყურები.
უფრო მკვეთრად დამეტყობა ჭორფლი
და სილურჯე თვალების გარშემო,
როგორც ასწლიანი უძილობის ნიშანი.
ქუჩაში გამოვლისას
მივიღებ გამომეტყველებას, თითქოს ჩემზე ცხოვრებამ იარა.
ვივლი მკლავების ქნევით
და სიცხისგან ძარღვებამოყრილი ჩემი ხელები
დაემსგავსებიან კაცის ხელებს,
რომელმაც სახლი ააშენა,
შვილები გზაზე დააყენა
და უკანა ეზოში საკუთარი საფლავის ქვას ინახავს.
ვივლი ბეჭებში მოხრილი, ფეხების თრევით,
ცხელ შუადღეში წყლის საძებნელად გამოლასლასებული აქლემივით,
ჩემი ზურგი ამოიზრდის კუხს
და მივიღებ გამომეტყველებას, თითქოს ჩემიდან
სადაცაა რალაც ამოფეთქავს,
უჩვეულო და მნიშვნელოვანი.

ვივლი ქუჩაში ფართო და უფორმო,
ჩინურ მალაზიაში ნაყიდი ძალიან იაფი შარვლით,
გამოეჩნდები უფრო დაბალი
და რომანტიკულად ლარიბი.
ადვილად შესაძენევი ნაოჭები მოშიშვლებულ შუბლზე
და ტურების გარშემო
ყველას აგრძნობინებენ, რომ რალაც მნიშვნელოვანი გადავიტანე.
ამოხრილი ლავინის ძვლები და წერილი კისერი
ილაპარაკებენ, რომ არავინ შემიყვარა
და დიდი ხანია, არავინ მომფერებია.
ვინმე გაუმონყალეს ჩემი დანახვისას გაუჩნდება სურვილი,
სახლში წამოყვანოს და მაჭამოს.
რომელიმე შემხედვრს ვეტყვი, რომ ჩემი თმის სული
მოჩვენებად იქცა და მოსაკლავად დამდევს,
და ვაფიქრებინებ, რომ
ჩემთან ურთიერთობა საშუაია.
ვივლი დაბრეცილი, ცალ მხარზე ჩამოკიდებული
მძიმე, თავისფერი ზურგჩანთით
და ვინმე ფიქრებს, რომ სადაცაა ჩემი თავის ნაწილებს
სათითაოდ ამოვალავებ
და ქუჩის კუთხეში მწვანელივით გავყიდი.
ხეალ თმას გადავიპარსავ,
ქუჩაში გამოვალ
და ჩემი შიშველი თავი იქნება ნიშანი,
რომ ყველაფერი მნიშვნელოვანი უკვე გავაკეთე.
ვივლი დაღამებამდე და შემოვივლი ყველა ქუჩას
გამომეტყველებით, თითქოს ყველა ქვესკნელი უკვე შემოვიარე,
და როცა რომელიმე ცარიელ ბაღში
უჩიტისბუდეებო ხის ქვეშ ნადირივით მივწვები,
აპარსულ, დაბრტყელებულ კეფას
ცივ ქვაზე დავდებ
და მივიღებ გამომეტყველებას,
რომ ძალიან ვიცხოვრე
და ძალიან დავიღოლე.



ლევნია

აქ ჩემი დედობილი ძროხა ცხოვრობდა.
ლევნია ერქვა.
ცხოვრობდა დიდი ხნის წინ.
იმდენად დიდი ხნის წინ, ალბათ სწორი იქნება ვიფიქრო, რომ დავებრდი.
მითხრეს, რომ მისი რძით ვავიზარდე.
ჰქონდა მსხვილი ძვლები,
ყველა ძროხაზე განიერი მუცელი,



ბალახზე ვსხდებით.
 ბებიჩემს ჯამით ნაღები მოაქვს, წინ მიდგამს და მეუბნება,
 რომ ძალიან გაეხდი და კარგად უნდა ვჭამო.
 ქალები ტურებს ღვინით ფრთხილად ისველებენ.
 პაპაჩემი არ სვამს.
 დედაჩემი ბიცოლაჩემს ეუბნება, არ იდარდოს -
 მისი შვილები კარგად არიან და ბავშვებიც კარგად ჰყავთ,
 ზაფხულში ამოვლენ და მოინახულენ.
 პაპიდაჩემი დარდობს, რომ მის ეზოში
 მალე ჟოლო დამნიფდება და დასაკრეფი დარჩება.
 მე ვდარდობ, რომ ბოლოს ჟოლო ათი წლის წინ დეკრიფე.
 ბებიჩემი დარდობს, რომ წინდებს აღარავინ გვიქოსოს
 და ზამთარში ფეხები გაგვიცივდება.
 მე ვდარდობ, რომ ქსოვა არ ვიცი.
 პაპაჩემი ჩივის, რომ გულზე მურყანი ამოუვიდა
 და რამდენიც მოჭრა, იმდენი ამოდის;
 ამბობს, რომ წელს ბალახი ბევრია, მალე თიბვა დაიწყება
 და ცელი სად მიაყუდა, არ ახსოვს.
 მე ვდარდობ, რომ მამაჩემს ხერხემალი ანუხებს,
 რომ ჩემი ძმა რამდენილაც წლით
 რამდენილაც ათასი კილომეტრის იქით გადასახლდა,
 პაპაჩემს ახალ ცელს აღარავინ აუნყობს,
 და ჩვენი სათიბები რამდენილაც წლით,
 ან - სამუდამოდ,
 გასათიბი დარჩება.

ვჩუმდებით, სოფელს გადავყურებთ.
 ერთადერთი სახლიდან სუსტი კვამლი იფანტება.
 ბებიჩემი ამბობს, რომ ცუდი ნიშანია, როცა სოფელში ძალი არ ყფვს
 და კვამლი კენტად ამოდის.
 მე ვფიქრობ, რომ აქ უკვე აღარავინ მოკვდება.
 ვდგებით.
 ბიცოლაჩემი მისი საფლავის იების თესლს გვატანს.
 პაპიდაჩემი მარტო დგას.
 მივდივარ და ვეუბნები, რომ მისი თავსაფარი
 მთელი ზამთარი ყელზე მეხვია და მათობდა.
 მამაჩემი პაპაჩემს რამდენიმე სანთელს უტოვებს
 და ეუბნება, თვითონ აანთოს,
 თუ შემდეგ სულთმოფენობას ამოსვლას ვერ მოეხერხებთ.
 ბებიჩემი ამბობს:
 თქვენ კარგად გყავდეთ. ჩვენ არაფერს გავიჭირებთ.

მოვდივართ.
 წინ მამაჩემი და დედაჩემი მიდიან.
 მამაჩემი მალალ ჭინჭარს ხელით იჭერს, რომ დედაჩემს არ მოხვდეს.
 მოშორებით მივყვები და ვუყურებ, როგორ მიდიან ერთად.
 უკან ჩვენი მკვდრები დგანან
 და გვიყურებენ, როგორ მივდივართ ერთად.
 მამაჩემი, დედაჩემი, მე.
 ჩვენ უკან არ ვიხედებით.
 მალალ, ნანვიმ ბალახს გაჭირებით მივკვალავთ
 და უკან არ ვიხედებით.

აღმოსავლეთი - დასავლეთი

ყოველ გაზაფხულზე
 მამაჩემი იმახსოვრებს მერცხლების მოფრენის თარიღს
 და ყოველი შემთხვევისთვის
 აღმოსავლეთის კედელზე ანერს.
 ცაში ნასროლი კენჭებით
 ბრუნდებიან მერცხლები
 ყოველ გაზაფხულზე.
 მე ვჯდები პირველ ბალახში
 და ვიმახსოვრებ თოვლს, რომელიც შავ-თეთრია:
 მამაჩემის დაბრუნებულმა მერცხლებმა
 დაიმახსოვრეს თბილი ქვეყნები
 და ჩამოთოვეს ჩემში.

ყოველ ზაფხულს
 მინდვრები იმახსოვრებენ ცელებს.

და სამხრეთის კედელზე მიყუდებული ცელი
 იხსენებს ჩემი ძმის სისხლს,
 ცელის პირზე შეჭრილი ხელიდან
 ნითლად რომ დათოვა ბალახზე
 რომელიღაც ზაფხულში.
 ყოველ ზაფხულს
 მდინარე იმასხოვრებს ჩემს ტანს -
 ენევარ წყალში გულალმა
 დიდი თეთრი თევზი
 და ჩემი შიშველი სხეული
 წყალქვეშ უფრო შიშველია,
 როგორც მისთვის ნათქვამი სიტყვა,
 ვინც აღარ დაბრუნდება.

ყოველ შემოდგომაზე
 დედაჩემი იმასხოვრებს ეზოდან გზისკენ განვრილებულ ჩრდილს
 და იხსენებს, როგორც ხეს,
 რომელიც მუცლიდან ამოუზარდა,
 ჩემი სახელი ჰქვია,
 და როცა ეხვევა, მხრებზე ემტვრევა მისი ხნელი მკლავები.
 და შემოდგომის გზაზე
 ყვითელი თოვლია ჩემი ნაფეხურები,
 როგორც ბებიჩემის ნასვლა დაუმშვიდობებლად,
 ხელის დაქნევის გარეშე.

ყოველ ზამთარს
 ცარიელი ბუდეები იხსენებენ მერცხლებს.
 ცარიელი მდინარეები იხსენებენ თევზებს,
 და როცა თოვას იწყებს,
 მე ვიხსენებ თოვლს, რომელიც ყვითელია -
 თითქოს დედაჩემი
 დაეინყებულ სარდაფის კარივით შევამტვრიე,
 ჩავედი,
 და კიბის ყველა საფეხური ჩემი თავი აღმოჩნდა,
 ყველა ერთმანეთზე ბებერი.
 მე ვიხსენებ თოვლს, და ნითელია თოვლი -
 თითქოს ჩემმა ძმამ ცელის პირს შეაჭრა ხელი
 და ნითელ წვეთებად ეფინება გზას ჩვენი სახლისკენ,
 რომელიც ჩრდილოეთის კედელზე მიშენებულ
 მიტოვებულ ბუდეს ჰგავს,
 საიდანაც ათასჯერ გავფრინდით
 და ერთხელაც არ დავბრუნებულვართ.
 მე ვწვები მინაზე და ვიხსენებ თოვლს,
 რომელიც ყველა კედელზე წერია,
 ყველა მდინარეში დაცურავს, როგორც თეთრი თევზი,
 ყველა სათიბიდან მიდის ხელის დაქნევის გარეშე,
 ყველა ზიდან თოვს
 და წვება მინაზე, როგორც მე ჩემს ჩრდილზე.
 და მინა გვისხენებს ჩვენ,
 ჩვენ - დასავლეთის კედელთან ჩამწკრივებულებს,
 დიწჯად, მეჯითად გვიხსენებს საითაოდ
 ყველაზე ზუსტი ვახსენებთ
 და ყოველი შემთხვევისთვის
 მუცელზე შემონყობილ ქვებზე იწერს
 ჩვენი დაბრუნების თარიღს.



ნუ ლაპარაკობ ამაზე, გოგო

ნუ ლაპარაკობ ამაზე, გოგო.
 დადიხარ ამბებით მუცელგამობერილი
 და უყვები ყველა შემხვედრს,
 თითქოს აგვისტოს ნათელი იდგეს
 და ყველაფერი შეიძლებოდეს.
 გაჩუმდი, გოგო.
 ნუ ლაპარაკობ იმ ლამებზე,
 ახილი სახურავებივით რომ გადარეკა ქარმა და შიშველი დაგტოვა.
 გაჩუმდი და რამე გადაიფარე.
 გაჩუმე შენი ხელები, წყლიდან ამოყრილი თევზებივით რომ თრთიან,
 როცა ყვები, როგორ კოცნიდი.
 ნუ ლაპარაკობ, რომ დაკბენილ მკლავებს მოიქნევ,

და ეს გრძნობა ისეთია, თითქოს სადღაც თოვლი მოვიდა.
დადიხარ და ლაპარაკობ შენს ლამევებზე
ისე, როგორც ჭრიჭინები ყვებიან მინდვრებს
დამთავრებული ზაფხულებიდან.
ლაპარაკობ ისე, თითქოს ათასჯერ ნანახ სიზმარში წევბი
და მთელი ქვეყნის შენს ლოგინში შეთერეას ცდილობ.
გაჩუმდი, გოგო.
ნუ უყვები ყველა შემხვედრს,
რომ უმნიშვარი ბავშვის სხეული ერთ ზამთარში დაგიბერდა.
ნუ ლაპარაკობ, რომ გაყვითლდი და ისე გახდი,
რომ ნეკნებზე გადაჭიმული შარშანდელი შემოდგომიდან
მისი პირველი შეხება გიჩანს.
ნუ ყვები, რომ შენი სიტყვები ისე დამძიმდნენ,
მასთან გასაგზავნ ნერიოლებში ველარ ჩატენი.
ნუ ყვები, რომ შენი ამბები
ცეცხლზე დაყრილი ქვებით დასკდნენ,
ამოდულდი და გადმოიღვარე.
ნუ ლაპარაკობ, რომ მოყვავილე ცაცხვების მტვერში
თავდაკარგული ფუტკარივით
ერთ სურვილად გადაიქცი.
და თუ არ მოვა, არ იქნება,
ადგები და გამოიგონებ.
დადიხარ და ლაპარაკობ,
საკუთარ დანაღმულ სიტყვებზე ფეთქდები.
და ინელება შენი ჩრდილი - ლოდინის თოკი,
ზედ გაასპრობად გაფენილი ფერადი პერანავივით ფრიალებ.
თითქოს აგვისტოს ნათელი იდგეს,
და იცოდე, რომ შენი მუცლიდან
არაფერი დაიბადება.
გადიფარე რამე, გოგო,
ხელები მუცელზე შემოიხვიე,
და ნუ ლაპარაკობ ამაზე - სირცხვილია.
ჩუ გოგო, ჩუ.



...
დღია იყოს.
ჭალებზე ნისლი იყოს.
მთის კალთებზე ბურუსიდან რბილად ჩამოხორბლილი მზე იყოს.
ჩემი სახლის წინ ქვებს შორის ამოხალასმწვანებული ბალახი იყოს.
ტყიდან გუგულის ხმა იყოს.
წყაროსთან ტირიფის ქვეშ მამაჩემის ზურგი იყოს.
დღეაჩემის რეზინის ხელთათმანები და მოკრფილი ჭინჭარი იყოს.
სახლის კართან ჩემი ძმის მაღალყელიანი ბოტები იყოს.
ეზოში შარშანდელი თივის წარჩენი იყოს.
ნაზამორტოტებჩატეხილი ვაშლის ხეები იყოს.
ბოსტნის ღობეს შემენძილი ხმელი ხვიაგრების შრიალი იყოს.
აივანზე გადმოფენილი ზოლიანი ფარდავი იყოს.
კიბის თავზე დათვის ტყავზე ჩრჩილის პეპლების ტირილი იყოს.
ცა პირველი შერცხლების ლურჯხევიე საკენკი იყოს.
მეზობელი სახლიდან
ვინმე ზამთრის ბოლოს დაბადებულის პირველი სიცილი იყოს.
ფარდებში მზის ფართხალი იყოს.
გაზაფხულის ქარის თითების კანკალი იყოს.
ფანჯრის რაფაზე კატის ნაფეხურები იყოს.
მუცელმსუქან ქოთნებში კაქტუსების ზმორება იყოს.
ასანთის კოლოფში ყვავილების თესლი იყოს.
სახლში დედაჩემის ფრთხილი ნაბიჯების სიჩუმე იყოს.
სიჩუმეში ბევრი სიტყვა იყოს.
მზეში ჩასადნობი ბოლო თოვლი ჩემი შიშველი მუხლები იყოს.
მუხლებზე ბებიაჩემის კაბის ჭრელი იყოს.
კაბაზე ჩემი ხელები ბებიაჩემის ხელები იყოს.
შავად გაფუებული მინა იყოს.
ზამთარში ჩათყისილი ამბების ამომყვავებელი მინა იყოს.
სახლიდან ნასული კაცების დამბრუნებელი მინა იყოს.
სახლების დამბრუნებელი მინა იყოს.
სოფლების დამბრუნებელი მინა იყოს.
ქვეყნების დამბრუნებელი მინა იყოს.
ცხოვრების დამბრუნებელი მინა იყოს.
მინა იყოს.
ვიყო.

და არ მესმის,
 ნუთუ ახლა უნდა ვიგებდე,
 რომ თურმე დღემდე არაფერი გსმენია ჩემზე?

5

ან ხსოვნა უნდა ამერჩია, ან გადარჩენა.
 წვერი მოვუშვი, თმა გადავიპარსე,
 ცალი თვალი ავიხვიე, როგორც მეკობრემ,

რომ, ღმერთის გარდა, ვერავის ვეცნე,
 და დავემხე მის ხატთან:
 ღმერთო,

გასაგებია, ცოდვებისთვის ვისჯები ასე,
 გასაგებია, სისულელისთვის,
 და შენთანაც

განა რწმენამ მომიყვანა,
 მითუმეტეს - განა სინანულმა,
 უბრალოდ, სხვა გზა აღარ დამრჩა

გარდა იმის,
 რაც სიკვდილზე მეტად მზარავს -
 პასუხისმგებლობის,

და ვიდრე ხსოვნას გადარჩენას ვამჯობინებდე
 ან პირიქით, ბარემ იცოდე,
 რომ მზად ვარ, ყველაფრისთვის ოდესმე დამსაჯო.

რატომ ოდესმე -
 თქვა და გადმოვიდა.

6

შთაგონებაც, თუ არსებობს, არაფერს ნიშნავს.
 ყოველ შემთხვევაში, არაფერ პოეტურს -
 ის ჰგავს სმენის გამყინავ სირენას,

რომელიც გულისხმობს სახანძრო ან სასწრაფო მანქანას,
 რომელიც არ ჩანს, მაგრამ ისმის, და ცალსახად გულისხმობს ამბავს,
 რომელიც, თავის მხრივ, არ გულისხმობს (ცალსახად) ტრაგედიას.

7

ეს შეიძლებაოდა ყოფილიყო ცუდი სიზმარი
 ან კარგი ლექსი. ხელში მეჭირა შენი სახე
 და რასაც მივუშვერდი, ყველაფერი უმალ ქრებოდა -

ცა, სახლები, ხეები, ხალხი.
 გზას მივიკვლევდი ასე და მომწონდა.
 და როცა ირგვლივ არაფერი დარჩა გასაქრობი,

როცა ასე ცოტალა მაკლდა

ცულ სიზმრამდეც, კარგ ლექსამდეც,
ყველაფერი გავაფუჭე: სახე ჩემკენ შემოვებრუნე,

მაგრამ არ მოხდა სასწაული:
გაქრა სახე, დარჩნენ ხელები -
განებილები ცუდი ლექსის წყალწყალა სისხლით,

და დაბრუნდა ყველაფერი კუთვნილ ცხადში -
ცა, სახლები, ხეები, ხალხი.

8
შენც რას გაჯიუტდი, ღმერთო? დამსვი, მანერინე.
და ბოლოს, როცა არაფერი გამომივა,
ადექი და მაშინ დამცინე. ახლა ხომ ისეც ცუდადა ვარ.

ისეთს რას გთხოვ? ფულს ხომ არ გთხოვ -
ფიფქებსა და წვიმის წვეთებს გამოატანო;
გაჩენილი მუქთა ფული მეც კი არ მინდა.

შენ ხომ მაინც ყოვლისშემძლე ხარ.
შესაბამისად - დაუღლეელიც.
რომელ ფულიან სამსახურსაც ხელს დადებ, ყველა აგიყვანს

და, ვიდრე დავნერ,
ჩემ მაგივრად იმუშავე. თვითონაც იცი,
რომ არაფერი გამომივა. არაფერს რისკავ.

დავნერ, როგორი ცუდი ვარ და თვითონვე ვხვდები.
ხოლო იმაზე, ალაგ-ალაგ კარგიც რომ ვარ
და ვერ ვხვდები, არაფერს დავნერ.

გინდაც ვხვდებოდე,
სიტყვას გაძლე, რომ ამაზე არაფერს დავნერ.
არავისთან წამომცდება, რომ შენ მინახავ.

ჩემ მაგივრადაც აკი მოკვდი, სხვების არ იყოს.
და ჩემ მაგივრად რომ იცოცხლო,
ვიდრე გონზე მოვეგები, რა დაშავდება?

(რეებს მასწავლი, ღმერთო, რეებს?
რეებს მაჩვენებ? რეებს
მასწავლი?)

9
საზარელი წამი იყო -
ვერც დაყვირება მოვასწარი,
ვერც თვალის დახუჭვა.

მაგრამ მოხდა სასწაული
და მანქანამ მანქანაში გაიარა:
მე სვლა განვაგრძე შემოდგომის უხმო წვიმაში



და უკანა ხედვის სარკიდან
 ვხედავდი მეორეს,
 რომელიც თოვლში მილოდავდა.

ასე სიზმარშიც კი არ ხდება -
 ვჩურჩულეხდი ეს-ესაა გაღვიძებული
 და გადარჩენის სიხარული ველარ ახშობდა

ხმას, რომელიც ჩამძახოდა:
 რა შემოდგომა? რა ზამთარი?
 ეს გაზაფხულია, გაიგე, ზაფხული!

10

მას აქვს უკეთესი წარსულის მოლოდინი.
 ასეა. დღითიდღე მიფუჭდება ხასიათი.
 მას აქვს სიმართლე. თუნდაც თავისი.

როცა პატიობენ, ის რწმუნდება თავის სიმართლეში.
 როცა ამხნევენ, ისევ იპყრობს სასონარკვეთა.
 სასონარკვეთა? ტყუილია. მე ასეთი ძლიერიც არ ვარ.

ის მზად არ აღმოჩნდა ხანგრძლივი ტანჯვისთვის.
 ესეც სიმართლეა. მირჩენია, ირგვლივ ყველა კარგად იყოს,
 ჩემ თავს როგორმე მივხედავდი.

მას ურჩენია, არავინ იყოს მის იმედად. ოცნებობს ამაზე.
 მას აქვს მკაფიო წარმოდგენა სამომავლო თავისთავზე,
 ცხოვრების წესზე და ლექსებზე. რაც ადრე არ ქონდა.

მას არ აქვს იმედი, რომ დიდხანს იცოცხლებს.
 ტყუილია. მე არასდროს ვაყენებდი პოეზიას
 ჩემ თავზე მაღლა.

მას უბრალოდ ცუდი დრო უდგას
 და ჰგონია, რომ ყოველთვის ასე იქნება.
 მას არ აწყენდა ფსიქოლოგის დახმარება, მაგრამ ფულიც შემოეღია.

შესაძლოა, ცუდი დრო მიდგას.
 შესაძლოა, არც ისე ცუდი.
 კარგი არ მახსოვს, რომ შევადარო.

მას არ აწყენდა მეტი რწმენა,
 მაგრამ ვერაფრით დააჯერებ, რომ ურწმუნოა.
 მას ენატრება ის წლები და გაღვიძებები,

როცა სიზმარი ვერ გამოჰქონდა.
 ვალიარებ. ცოტას ვფიქრობ ჩემს სიკვდილზე.
 ალბათ ამიტომ მესახება ის ასე საზარლად.

მას არც ისე უსაფუძვლოდ ეჩვენება,



რომ ყველამ და ყველაფერმა მოიძულა
და მეც, მათშორის, მისი მტერი ვარ.

სიცრუეა. ვარ სრულიად ჯანმრთელი და სრულფასოვანი.
მე მაქვს მხოლოდ უარესი მომავლის შიში
და უკეთესი წარსულის იმედი.

11

ახლა დედამინა შორსაა. სრული სიშავე,
სადაც ჰკიდობარ თავდაყირა და უწონადი,
არაა ლამე, არც სიკვდილი. ესაა რისხვა,

რომლითაც ცდილობ თავის დასჯას
სამი ძვირფასი და მძინარე არსების გამო,
რომლებიც დედამინამ გაიტაცა, წაიღო,

შენ კი თვალის გაყოლებაც არ შეგიძლია,
რადგან ჰკიდობარ თავდაყირა და უწონადი
სრულ სიშავეში. ყოველთვის გრძნობდი,

რომ ერთხელაც ცუდი კაცი გამოდგებოდი,
მაგრამ გეგონა, რომ ამაში საბოლოოდ დარწმუნებამდე
მეტი დრო იყო დარჩენილი. ყოველთვის გრძნობდი,

რომ ართხელაც არაფერი დაგრჩებოდა დასაწერი
გარდა ისეთი ლექსებისა, სადაც ვერავინ ამოგიცნობს
თავდაყირას და უწონადს, მოქანავეს სრულ სიშავეში.

12

არც ცხადში ხდება უკეთესი. უნდა იჩქარო -
როგორმე ტანი აიზიდო,
ვიდრე ჯერაც უწონადი ხარ,

უნდა აწვდე
და კბილებით გადაღრღნა ყულფი
ჩაშავებული, უგრძნობი წვივიდან.

რაც უფრო დიდხანს გასტანს ვარდნა, მით უკეთესი.
მით უფრო მაღლა დაეცემი.
საოცარია,

როცა ყველაზე ცუდად გახდი,
სწორედ მაშინ გაუსწორე ცხოვრებას თვალი
და ველარ მიხვდი, რა გაშინებდა.

13

მთავარი მაინც ვერ გათვალე:
ვერც უბედურებას მიიღებ ბოლომდე,
როცა ხვდები, რომ ყველაფერი შენი ბრალია.



ბექა ყორშია

დაშლამდე

არავინ არ არის.

ოთახი თეთრია და ცარიელი,
 შენ ამ ოთახში ხარ -

შენი ხმელეთი ეს იატაკია,
 შენი წყალია მისი სიმშრალე -

შენს ღიმილს დაბნეულობა ჰქვია.

ვინ დაუჭიმა ტკივილს სიმები,
 რომ უფრო მკვეთრი გამხდარიყო
 მისი ხმა შენში?

არავინ არ არის, ვინც განუგეებს,
 გადაგეხვევა -

ამ ოთახს ხელები რომ ჰქონდეს
 ყელში ნაგიჭერდა,
 სულში კედლებს ჩაგიშენებდა...

არავინ არ არის.

როგორი პატარა ჩანხარ
 საკუთარი ტკივილების ცათამბჯენიდან...

დაშლა

სულ მთლად თეთრია ეს ოთახი
 ერთ ლაქასაც ვერ ნახავ მის კედლებზე -

არ აქვს ფანჯრები
 არ აქვს კარი და არ აქვს ქერი

შუაგულში მრგვალი მაგიდაა
 და ერთი სკამი -

ოთახის კუთხეში ზის ახალგაზრდა კაცი,
 რომელსაც სიკედილის შიში აწერიანებს
 უმხგავსო ლექსებს...

ნუთუ მას მართლა სჯერა
 რომ ერთხელაც -
 მისი ლექსები გაფრინდებიან იქ,
 სადაც «კარი» ნიშნავს - ღიას,
 ხოლო «კედელი» -
 ასეთი სიტყვა იქ არ არსებობს...



დაშლის შემდეგ

რალაცნაირი სიტყვაა "ჩიტი"
სწორად შერჩეული ბგერებით -

როდესაც ამბობ
ბაგეებსაც კი არ კუმავე,
ხელს არ უშლი,
შენი პირიდან ამოფრინდეს,
როგორც ბუდიდან.


რალაცნაირი სიტყვაა "ადამიანიც",
როდესაც ამბობ
თითქოს მინას უსინჯავ გემოს

ამბობ და ამ დროს
შენი პირის ღრუ
ნაბლის ფიცრებით ამოჭედილი
კუბოა, კუბო...

...
ჩიტს რომ ადამიანი ერქვას,
შეძლებდა კი
ამ მინდვრების გადაფრენას ?

ან მე,
ადამიანს,
რომ მერქვას ჩიტი -
ისევ გამოითობდა ზამთარი სულს ?

...
თითქოს არაფერი
სახელები შეეცვალე მხოლოდ,
მაგრამ როგორი სიმსუბუქე
ვიგრძენი ნამით...



ტოპოგრაფია

რომ შემეძლოს,
ჩვენი სულების საერთო რუკას
შევადგენდი -

დავინახავდი,
სად ფარავს შენი გულგრილობის ოკეანე
ჩემი იმედების ხმელეთს

*
დიდი ხანია,
ძველ, მინის ლამფას
სალიარის ნაცვლად,
სისხლს ვუსხამ ჩემი ვენებიდან
და ლეიკემიურ, ცარიელ კედლებს
ნითლად ვანათებ -

დიდი ხანია,
 ცაზე გათიშული თირკმელივით
 ჰკიდია მთვარე,
 და ვარსკვლავები ციმციმებენ,
 როგორც შარდის ნვეთები -

დიდი ხანია,
 გადმოჰყურებენ ვარსკვლავები ადამიანებს,
 როგორც შორეულ,
 უცხო სხეულებს -



ჩვენ კი გაშლილ მინდორზე ვწვებით
 და ათასობით ვარსკვლავს ჩვენს ოცნებებზე
 ვესაუბრებით...

*

რომ შემეძლოს,
 შევადგენდი
 ჩვენი სულების საერთო რუკას

დავინახავდი,
 სად კვეთს შენი სურვილების გრძელი
 ჩემი ოცნებების განედს -

ნუთუ არსად არ ერთდებიან
 ჩვენი მდინარეები,
 ნუთუ სხვადასხვა ზღვისკენ
 მიჰყავს კალაპოტს
 მათი თხევადი სული ?!



ხათუნა ხაბულიანი

ვახო ბუღაძის სერია „იპოდრომი“

ისტორია და მეხსიერება ფერწერაში



თბილისის იპოდრომი, ტილო, შერეული ტექნიკა, 200 X 170. © ბალა ბალერა


1990-იანი წლები ქართული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდია და, შესაბამისად, რთული მხატვრული ფორმებით გადმოსაცემად. ეპოქალური ცვლილებების, ე.წ. გარდამავალი პერიოდის გავრცობის ველში ჩვენ მარტო არ ვიყავით, მსგავსი პროცესები სხვადასხვა სპეციფიკური მახასიათებლებით მთელ ყოფილ სოციალისტურ სივრცეს ეხებოდა და ზოგჯერ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ გეოგრაფიულ წერტილებში სრულიად იდენტური ამბებიც ხდებოდა. უშუალოდ იმ დროში რთულ იყო იმის რაციონალურად გააზრება, სად ვიმყოფებოდით, თუმცა არტისტული აქტივობები დაშლილი სისტემის ყოფილ ცენტრებში მაინც მიმდინარეობდა და ზოგჯერ პარადოქსულად აქტიურადაც კი გამოიყურებოდა მიმიკ სოციალური ფონის პირობებში. ეს არის დრო, როცა პოსტსტატუსთა სივრცის ხელოვნების უმეტესობა მიმართავს პერფორმანსის, აქციის ფორმატს და ამ ყველაფრის დოკუმენტად ქცევას ცდილობს სხვადასხვა მედიუმის საშუალებით. ვიზუალური ხელოვნების სივრცეში მთავარი თემა ვახდა დოკუმენტაცია, - თეორეტიკოსები აღნიშნავენ, რომ „ბოლო საბჭოთა თაობის“ (ტერმინის ავტორია ჩექესეი იურჩიკო) მხატვრებს სხვა არაფერი დარჩენოდათ, თუ არა თვალყური დევნებით ნათ მიმდინარე მოვლენების ინტენსიური ნაკადისთვის და თანამონაწილეობის გარეშე, დისტანციიდან დაეფიქსირებინათ მათ თვალწინ გათავსებული დრამა. ქართული პრეცედენტებიდან ცნობილი მაგალითია კოკა რამიშვილის „ომი ჩემი ფანჯრიდან“ (1992) - თბილისის ომისას მხატვრის ბინის ფანჯრიდან ერთ ადგილას დამონტაჟებული კამერით გადაღებული ფოტოსურთი; ან გურამ ნინაბაშვილის სერია „ულისე“, - ე.წ. სენაპოთების კოლექცია, იმ პერიოდის ერთგვარი ვიზუალური ქრონიკა. ეს სახეობით ბუნებრივი იყო, რადგან უშუალოდ პროცესში მყოფთათვის ძალიან რთული მოსაძებნია მხატვრული კომენტარის რეფლექსიური ფორმა არსებულ რეალობაზე, თან იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგადად თანამედროვე ხელოვნების და უახლესი პრაქტიკების შემოსვლა გაზიარებას დიდი წინააღმდეგობები ახლდა თან.

ორი ათეული წლის შემდეგ უკვე არსებობს გაცნობიერებული გამოცდილებების ისტორია და ინტერესიც გაჩნდა კრიზისული წლების უკვე დროითი დისტანციიდან დასახანად. თითქმის ერთმანეთის მიყოლებით მიენყო გამოფენები 1980 თუ 1990-იანების თემებზე, რომელთაც შესაძლოა სრულად ვერ აჩვენეს სხენებული პერიოდებისა და მათში მოქმედი არტისტული ენერჯის გადაკვეთის მომენტები, მაგრამ უახლესი ისტორიის გააზრების გზაზე მნიშვნელოვანი სამუშაო შესარულეს. „ისტორია - კონსტრუქციის საგანია, რომლის ადგილიც ცარიელი და პოოტენური დრო კი არ არის, არამედ „აქტიუალური ანმყოფი“ სავსე დრო“, - წერს ვალტერ ბენიამინი ნეროდში „ისტორიის ცვლების შესახებ“. ამ გაგებით აქტუალური ანმყოფ რესტავრაცია მოხდა ვახო ბულაძის ფერწერულ სერიაში - „იპოდრომი“. გამოსახულებებში არაფერია ნათქვამი იმ დროის ისტორიულ ფაქტებზე, ენერგეტი-

კულ კრიზისსა და ომზე, - აქ პერსონალური ისტორია ვითარდება, დაკავშირებული კონკრეტულ ეპიზოდთან ცხენებით დაინტერესებული სამეგობრო ცხოვრებიდან. ეს „ნამდვილი ამბავი“ იმაზე მდგომარეობს, რომ მათ ჩრდილოეთ კავკასიაშიც ცხენები თბილისში ჩამოიყვანეს და ამ ინიციატივამ თბილისის იპოდრომის ცხოვრება შეცვალა, გაიზარდა თითქმის მოძრაობად ქცეული ცხენისობის მოყვარულთა წრე.

თავლა, მის ირგვლივ გავრცობილი ურთიერთობები და ამ ყველაფერთან დაკავშირებული მოვლენები მრავალი წლის შემდეგ იქცა ვახო ბულაძის ფერწერული სერიის ინსპირაციად, უფრო ზუსტად კი გამოცდილების გააზრება დასრულდა იმ ენით, რომლითაც მხატვრობა მეტყველებს. სერიოზი გადმიცემული მიკროსამყაროს, რომელიც თავისი სრული ცხოვრებით ცხოვრობს და საკუთარი შიდა კანონზომიერებები აქვს, ირიბი მიმონებებით მოაქვს იმ პერიოდის სახასიათო ატმოსფერო, რასაც პოეტურად „დროის სულს“ უწოდებენ. ვახო ბულაძის მხატვრული სტილი, რომელიც რთულად განსასაზღვრია იმ მიზეზით, რომ აბსტრაქციისა და ფიგურატიულობის ძალიან სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს და მუდმივად საზღვრის წინ მდგომის განცდას უტოვებს მაყურებელს, თითქმის ყოველთვის თანაბარი ძალის ექსპრესიულობით განისაზღვრება და „იპოდრომის“ შემთხვევაში განსაკუთრებული დრამატულობა ახასიათებს. სერიის თითოეული კომპოზიციის ცალკეული ელემენტების ურთიერთქმედებები და შიდა კავშირები იმ ენერჯის მაორგანიზებელია, რომელიც პერიოდულად სტიქიური კატასტროფების ფატალურობასა და გარდევლობის განცდას ატარებენ. ვახო ბულაძე ხშირად მუშაობს ცხოველებისა თუ ფრინველების სხეულების პლასტიკურის ფექტიურ მომენტებზე, ზოგადად სხეულის ბუნება მისი ინტერესის მუდმივი საგანია. ამ სერიაში კი მხედრის თემას ცხენებისა და მათი მხედრების სხეულების ურთიერთობის თავისებური ენით აჩვენებს. ეს ერთგვარი „კენტივრული“ ზოგად ცხენოსანი სკულპტურების მოდელს იმეორებენ და ისტორიულ მესიერებას ეხებიან ცხენოსანი ძეგლების კონცეფტის ციტირებით, რაც ლიდერისა თუ წინამძღოლის, ძალაუფლების მატარებლის სიმბოლურ-იკონურია სქემა.

ნამუშევარში „მუზეუმი“, სადაც ფრესკის იმიტაცია ცხენების სხეულების დინამიკურ ფრაგმენტებს აჩვენებს, ანტიკური მითოლოგიის მოტივი, მარმარილოს ფაქტურის ღვთაებრივი ძალის ფრთოსანი ცხენების ანტიკური გამოსახულებების ფსევდონაშთობად იქცევა სრულიად კონტრასტულ ნეიტრალურ ფონზე, ეკდლის ფაქტურითა და ფართო მონასმებიანი ღრუბლებისმაგვარი ლაქა-სილუეტებით. ცხენებისა და ადამიანების ურთიერთობა აქ აგრძელებს ვახო ბულაძის მხატვრობის თემა-ერთ მთავარ თემას, სადაც ცხოველები ერთგვარ გამოცანად რჩებიან ადამიანების სამყაროში მათთან ურთიერთობის განსაკუთრებული გამოცდილებით, როცა ისინი უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთს ან უბრალოდ ერთ სივრცეში თანადასტე-



მძვინვარე მხედრის და ყვილა სამუდამო მხედარს; ტილო, უკრეული ტექსტილი. 200x140. © ბალა გალერეა

ბენ. ამ სერიისი ექსპიკური-მითოლოგიური თემები თავიანთი ეპოქებიანად წარსულის ფაქტებად არსებობენ და ამავდროულად ამ მოდელის დეკონსტრუირების პროცესს აჩვენებენ თანამედროვე კულტურის პირობებში. ტილო „თბილისის იპოდრომი“ ამ ამბივალენტურობას ცხვენსაღის მხედრის ტრანსფორმაციით აჩვენებს, ის პოსტამენტზე რეპრეზენტატულად, შუა საუკუნეების კონდოტიერივით დგას, მისი აღქმაც ტრადიციულად პოსტამენტზე მდგარი სკულპტურის მსგავსად იწყება, ქვედა რაკურსით, ზემოთკენ კი თანდათანობით ექსპრესიული ფერწერით იტვირთება და უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. სხეულებს, უფრო სწორად კი მატერიის განზოგადებულად შერქმება-გააზრებას კონტრასტული და უფრო პოპარტისტული ფონების ერთგვარად „ბანალური“ ჩანართები გამოკვეთს. ამ ფონების მოტივი - ლობის, შპალერის, თავლის გამოსხვების ვერტიკალური ზოლები სრულიად არ გამოიყურება ვულგარულად და ტილოებზე განვითარებულ ფორმებს ერთგვარ ინტიმურობას აძლევს, ნამუშევრის ძლიერ ექსპრესიას დახვეწილად ამსუბუქებს. მსგავსი ხასიათის სინთეზური ექსპერიმენტია ნამუშევარი, სადაც ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებული ფიგურის მონუმენტური სილუეტით ლურჯი ფერით სრულიად კონტრასტულ გამოსახულებას ქმნის (საკმაოდ ორიგინალური თამაში იმპერიული სკულპტურისა და მოდერნისტული ფერწერის სინთეზით) და მონოტონურად განლაგებული თეთრი წერტილებიანი „ბაბით“ გადაფარვისას განსაკუთრებულად მგრძობიარე ხდება.

ეს კონტრასტი - ერთდროულად ძალიან ბრუტალური და ამავე დროს დახვეწილად მგრძობიარე - განსაზღვრავს ვახო ბულაძის ნამუშევრებით მიღებულ ეფექტს. ემოციური მუხტს აქცენტების მონაცვლეობა განსაზღვრავს სხვადასხვა ტილოებზე, - ზოგან ფიგურატიული მოტივი დომინირებს, ზოგან კი - აბსტრაქტული. ნამუშევარი „მეფინიბის ოთახი“ პრივატული სივრცის, საკუთარი სამყაროს რღვევის სურათს დრამატული ქაოსით გამოხატავს. დრამატიზმი ყველაზე მეტად გამაფრთხილია ღვინისფერ-შავ ზოლებთან ფონზე გამოსახული სხეულის ფრაგმენტით. სერიის სხვა ნამუშევრების მსგავსად შერეული ტექნიკით შესრულებული „მალუბა“ თავისი ფერწერული ტექნიკითა და ხორცი-მატერიის ფაქტურის სიღრმისეული განცდილი ფრენის ბეკონის ფერწერის ასოციაციებს ვაგინენთ, რომლის კოლორიტსაც „საყასბოს“ ინტერიერს ამსგავსებდნენ. თუმცა „იპოდრომის“ დრამატურული სქემა მხოლოდ დაძაბული სხეულებისა და მხედრების ნაგულისხმები ბიოგრაფიებით არ არის აგებული. ასევე ძლიერი ემოციური მუხტისაა „ტრიბუნა“, - მუქი, ხისა და მინის ფერების ფაქტურული ფერწერით ნაჩვენებია იპოდრომის ტრიბუნის ნაწილი და კიდევ უფრო ექსპრესიული „არბოლა“, - ასევე ტრიბუნების ფონზე გაფანტული სქელი, ნალვენიტიანი მონასმებით გამოსახული შავი ცხენებისა და ყვითელი მხედრების პლასტიური, „დამდნარი“ სილუეტებით. აბსტრაქტულის, ფიგურატიულისა და რედიმიდის

სინთეზური ვარიაციების დახვეწილი და განსაკუთრებით ორიგინალური ვერსია „დერბი“ - აქ მონოქრომული აბსტრაქციებისათვის სახასიათო გეომეტრიული მინიმალში სიურრეალისტური ეფექტით უერთდება ფიგურატიულ დეტალს. მუქ ნაცრისფერ ფონზე იკვეთ ფორმატის ვარდისფერი დაკორაბული ფაქტურული ჩანართი კვლავ ზოლებიანი მოტივისაა, რომელიც მუქ ფონზე დადებულ კონტრასტულ ზედაპირად აღიქმება და ფერის მეტყველებისა და ურთიერობის მედიტაციური ჭკრეტის განზომილებაში შევყავართ, თანაც ამავე დროს სურათის ტრანსფორმაციის მოწმივობაც გვინეცს. ის მონოქრომულ-აბსტრაქტული გამოსახულებიდან რეალისტურ კომპოზიციში გადადის, სადაც ძალიან მაღალი ვარდისფერი „პოსტამენტი“, რომლის ზემოთ მასზე მდგარი ცხენის ფხევი ტილოს სივრცით განზომილებას ცვლის. ნამუშევარი ამ მხრივ ძალიან რთულია და მისი ღირებულებაზე ზუსტად თავისი ავტონომიური დრო-სივრცითი კატეგორიის გამოკვეთილ ფლობაშია. მასში მოგზაურობთ და იმ ცვლილების თანადაცვლადში ხართ, რომელიც სურათში ხდება. სერიის ტრაგიკული ქვეტექსტების (მხედართა ნაწილი ქვეყნის კონფლიქტური ისტორიის მსხვერპლთა რიცხვი აღმოჩნდა) პარალელურად ძლიერია სივრცის პულსაცია, განსაკუთრებით ეროტიულ მოტივებსა („მეფინიბის საყვარელი“, „ეკირადლე“) თუ ახალდაბადებულ კვიცის გამოსახულებაში („უფლისწულის დაბადება“). ექსპრესია განსაკუთრებით ინტენსიურია ამ ნამუშევრებში, გამოსახული კვლავ სხეულების პლასტიკითა და ენერგიული მონასმებით.

სერია „იპოდრომი“ საქართველოს ეროვნული გალერეის დარბაზში 2013 წლის გაზაფხულზე გამოფინა პროექტის ფარგლებში, რომლის სათაურიც იყო „Victoria“. ის გალა გლერეის „სავსელით“ გამოფინებიდან ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური იყო და ვახო ბულაძის გარდა აქ ოლეგ ტიმჩენკოსა და უშანგი ხუმას ნამუშევრებიც იყო წარმოდგენილი. კურატორის, დეიდა ბულიას თქმით, ამ სამი განსხვავებული მხატვრის ერთ პროექტში გაერთიანება მხოლოდ იმ მიზეზით არ მოხდა, რომ ისინი თანამედროვე ქართული ფერწერის საუკეთესო მოქმედნარმომადგენლები არიან, - მათ აერთიანებდათ ინტერესი ისტორიისა თუ ადამიანური დიამტის მიმართ, რასაც განსხვავებული მხატვრული სტილებით გამოხატავენ. სათაური „Victoria“ ოლეგ ტიმჩენკოს ერთი ნამუშევრის სათაურის მიხედვით შეირჩა, რომელიც ავტორის კომენტარის ომის ანსუერის თემაზე უკავშირდებოდა. ამის გარდა, თუ უშანგი ხუმას აბსტრაქტული ტორსების სერიასაც გაერთიანდისინებთ, საბოლოოდ ძალიან ექსპრესიული და დრამატული ექსპოზიცია შედგა, რომლის ცენტრალურ ნაწილად ვახო ბულაძის ეპიკური სერია იქცა, როგორც უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვრული ინტერპრეტაცია.



უფლისწულის დაბადება; ტილო, შერეული ტექნიკა. 200x140. © ბალა ბალერა

მზია ბაქრაძე

რემონ კარტიე საქართველოში



1959 წლის ერთ სუსხიან ზამთარში ცნობილი ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალის, „Paris-Match“-ის, გენერალურმა დირექტორმა რემონ კარტიემ ორი თვე იმოგზაურა საქატიო კავშირში და 25 000 კმ. მოიარა. „იგი იყო რუსეთში, უკრაინაში, ვოლგის სტეპებში, კავკასიის რესპუბლიკებში - საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, ცენტრალურ აზიაში, ციმბირში და სხვა. მან დაათვალიერა 12 დიდი ქალაქი: მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, სტალინგრადი, თბილისი, ერევანი, ბაქო, ტამკენტი, სამარყანდი, ირკუტსკი. მან დაათვალიერა 12-ოდე დიდი ინდუსტრიული საწარმო: რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, კონიაკის ქარხანა საქართველოში, ფოლადნამომსხმელი უშველებელი ქარხანა დონბასში და ბევრი სხვა.

სსრკ-ში მან მანქანით მოიარა ბევრი რაიონის დიდი ქალაქები და სოფლები, სადაც განცვიფრებული მოსახლეობა მისი მანქანის გარშემო იკრიბებოდა, რადგან პირველად ხედავდა ნამდვილ, ცოცხალ უცხოელს და უცხოურ მანქანას. „ვეესაბრეთი რამდენიმე ათეულ საბჭოთა მოქალაქეს, ცნობილ მეცნიერებს: ბიოლოგ ოპარინს და ოკანოგრაფ სენკევიჩის, მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს და მეცნიერებს“ - ამბობს კარტიე სააფრანგეთში დაბრუნების შემდეგ გამოქვეყნებულ სტატიების შესავალში.

რემონ კარტიემ თავის ჟურნალში, „Paris-Match“-ის მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა ექვსი წერილი, რომლებშიც სსრკ-ში თავისი ორთვიანი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს უზიარებს მკითხველს.

რემონ კარტიეს მეექვსე წერილი მიეძღვნა საქართველოში მისი 4-დღიანი ვიზიტის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს.

სსრკ-ში ლეღობის პერიოდი დაიწყო, ამ პერიოდთან სსრკ-ის საზღვრები ნელ-ნელა გაიხსნა და შედარებით გადავიდა ტურისტული მოგზაურობა, მასწავლებლების, ასპირანტების, სტუდენტების მივლინებები და სტაჟირება კაპიტალისტურ ქვეყნებში. თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის კათედრის მასწავლებელი - დოცენტი პირველად 1958 წელს გაემგზავრა საფრანგეთში თვესახეური. შემდეგ წელს 3-თვიანი სტაჟირება იყო, ხოლო 1960 წელს უკვე ერთწლიანი მივლინების საშუალება მიეცა საქართველოს.

სწორედ 1960 წელს, უცხო ენების ინსტიტუტმა, სადაც მე ვმუშაობდი,* საფრანგეთში, სორბონის უნივერსიტეტში ერთწლიანი სტაჟირებაზე წარმადგინა, მაგრამ ცენტრმა - მოსკოვმა იმ წელს საქართველოს არც ერთი ადგილი არ არგუნა. ტყუილად შევაგეს წარმოდგენილი რაოდენობის ანკეტები. 1961 წელს კი გამიმართლა; მართალია, ხელშეორედ მომიხდა თითქმის იმავე რაოდენობის ქალაქების შევსება, მაგრამ ამჯერად იღლიანად და როგორც იქნა საქართველოდან სამ ადამიანს ბედი ეწია, ერთი წლით გამგზავრებულ იყო საფრანგეთში. პირადად მე სორბონის უნივერსიტეტში წავიდა.

პარიზში ჩასვლის მეორე დღეს 14 სტაჟიორი გამოცხადდით სსრკ-ის საელჩოში, განყოფილების უფროსთან, ვინც ვლოკინთან, რომელსაც ჩვენი ჯგუფის კურატორობა ჰქონდა დავაულებული. ერთი შეხედვით სიმპატიური ჩანდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საკმაოდ შეზღუდული და, მეო-

* იმ წლებში ვმუშაობდი უცხო ენების ინსტიტუტში (ახლანდელი ილიას უნივერსიტეტი) და შუთავსებით გოქსეში (ГОКХ).

ნ, მშობრაც იყო. როგორც შემდგომ მიხვდით, ჩვენ შეკითხვებსა თუ თხოვნებზე, თვითონ ვერაფერს წყვეტდა, ეტყობა, უფრო მაღლა მდგომ, ან უფრო „კომპეტენტურ“ თანამშრომლებს ეკითხებოდა და პასუხს რამდენიმე დღის შემდეგ გვაძლევდა.

ჩვენს პირველ შეხვედრაზე მან „ლექცია“ ჩავგიტარა როგორც უნდა მოექცეულიყავით საფრანგეთში ყოფნისას. თუ ნაცნობი ფრანგები გვყავდა და მათთან შეხვედრა გვინდოდა, ნებათავე მისგან უნდა აგველო. ემიგრანტებთან და განსაკუთრებით ქართველებთან (ეს ხაზგასმით იყო ნათქვამი) აკრძალული გექონდა რაიმე კონტაქტი ან მისგან სპეციალური ნებათავე უნდა აგველო მთელი რიგი ახსნა-განმარტებების მოშედეგებით.

მოხუცდავად გამოცდილი ადამიანების, ნაცნობების და გოქის თანამშრომლების არაერთი რჩევა-დარიცებისა, ფრთხილად ვყოფილიყავი საერთოდ და განსაკუთრებით საელოოს თანამშრომლებთან, მე ეტყობა, მაინც თავიდანვე შედგომა დავეუშე!

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, გოქსში 7 წლის მუშაობის პერიოდში ბევრი უცხოელი გავიცანი, ძირითადად ფრანგები, როგორც ცალკეული პირები, ასევე დელეგაციების წევრები. დიდ უმრავლესობასთან მუშაობა ძალიან საინტერესო, სახალისო იყო და ბევრს დავეახლოვედი კიდევ. თითქმის ყველა მებატურებოდა თავისთან, თუკი ერთ დღეს საფრანგეთში ჩავიდოდა.

მე ჩამოვწერე იმ ფრანგი ნაცნობების სია, ვისთანაც შეხვედრა მსურდა და ერთი ქართველი ოჯახიც* მივანერე ბოლოში. საიში 30-ოდ ფრანგი ნაცნობის გვარები მენურა. დიდი ყოყმანის შემდეგ სიას დაუმატე განთქმული ფრანგი ჟურნალისტის სახელი და გვარი რემონ კარტიე. მისი გვარის შემდეგ კი ორი თუ სამი დიდი კითხვის ნიშანი დავსვი, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ვიცოდი ვინ იყო - ჟურნალისტი, რომელსაც სსრკ ვულზე არ ეხატა, მეტიც, არ უყვარდა, მეტი რომ არ ვთქვა.

ვდოვინთან პირველ შეხვედრისას სტაჟორებს ბევრი საკითხი ჰქონდათ დასაზუსტებელი და მოსაგვარებელი: ზოგს საერთო საცხოვრებელთან, ზოგს სტიპენდიასთან დაკავშირებით და ბევრი კიდევ სხვა.

მე ვდოვინს შევეკითხე, საელჩოში თუ იყო ბიბლიოთეკა. მან მიპასუხა, რომ ბიბლიოთეკა ჰქონდათ და დანტრერსდა რა მჭირდებოდა. ვუპასუხე, რომ მინდოდა ნამეკითხა რემონ კარტიეს სტატიები ჟურნალში „Paris-Match“, რადგან ის საქართველოშიც იყო და მასთან 4 დღე ვიმუშავე. ისიც გავიგე, რომ სსრკ-ში თავისი მოგზაურობის შესახებ მას რამდენიმე ნერილიც გამოუქვეყნებია და დანტრერსებდა რა დანერა-მეთუი.

სწორედ აქ დავეუშვი გამოუსწორებელი, „საბედისწერი“ შეცდომა. პირველი ის, რომ სორბონის და საჯარო ბიბლიოთეკებში ისედაც უნდა ჩავწერილიყავი და სულაც არ მჭირდებოდა საელჩოს ბიბლიოთეკა, მეორე - საქმე ეხებოდა ცნობილ ფრანგ ჟურნალისტს, რომელსაც სსრკ არ უყვარდა და თავისი 2-თვიანი მოგზაურობის შემდეგ კრიტიკული ნერილიც გამოაქვეყნა ყველაფერზე საქართველოს გარდა, და მესამე, კარტიეს წერილების საფრანგეთში გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ, საბჭოურ გაზეთში - „Правда“ იყო თუ „Известия“, არ მახსოვს, დაიბეჭდა საპასუხო ნერილი სათაურით „Ложь и клевета Рамона Картье“. იმის შიშით, რომ საქართველოც მოხვედრილი იქნებოდა ამ კრიტიკის ქარცეცხლში, სტატია რამდენჯერმე გულდასმით ნავიკითხე. მაგრამ მოხდა „უარესი“, სსრკ-ზე გამოქვეყნებულ 6 ნერილი მხოლოდ საქართველო იყო კარგად მოხსენებული, რის შესახებაც ტვემით ვიამბობთ.

ახლა კი ისევე ვდოვინს უნდა დაუბრუნდე. ვახსენე თუ არა რემონ კარტიე, შევაშინე, რომ სახე ეცვალა, დაიძაბა და უცებ მკვდარი და ავრესიულად მომხალა: „И что Вы такое с ним сделали, что он охватывает весь Советский Союз и хвалит только Грузию“.

შეტევა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ცოტა დავიბენე, მაგრამ მაშინ თამამი ვიყავი და წყნარად ვუპასუხე: „Ничего особенного. Я с ним и с его супругой работала также как со всеми делегациями, с дружескими или с недругами: Ему видно понравилась Грузия, погода была замечательная, весеняя, все кого он встречал хорошо говорили по французский; его встречна с экономистами и с юристами была острая, интересная на высоком научном уровне.“

ემუ очень понравились грузинские народные песни, помятники старины, музей, люди; наверно поэтому Грузия ему так понравилась“.

ვდოვინის რისხვას კარგი შედეგი რომ არ მოჰყვებოდა, ნათელია. ამ ინიცნდენტის შემდეგ, როცა რამდენჯერმე ჩავაყენე საქმის კურსში, რომ ქალაქგარეთ ან ნაცნობ ფრან-

* მედეა დამბაშიძე - დედაჩემის ბავშვობის მეგობარი და შოთა ნიკოლაძე - მამაჩემის გიმნაზიის მეგობარი და მედეას მეუღლე.



გის ოჯახში ვიყავი დაბატოებული, მესამე თუ მეოთხე თხვი-ნახე, გალიზიანებით შემოიღია: * "Вы что приехали учиться или гулять? რაზეც ვუპასუხე: "По воскресным дням все отдыхают; после очень напряженной недели стажеры тоже имеют право на отдых".

მაგრამ ორი თვის შემდეგ, როცა პარიზს ვავეშინაურდი, უკვე ნებართვის აღარ ვთხოვლობდი და აღარც ის გვა-მონებდა.

თანაც, ჩემდა ბედად, კიდევ ერთმა შემთხვევამ მისხნა ვლოინის რისთვისგან. პარიზში ჩასვლიდან ორი კვირის შემდეგ სტაჟორების ჩვენი, 14-კაციანი ჯგუფი მიგვიღო საფრანგეთში სსრკ-ის ელჩმა ბატონმა ვინოგრადოვმა, რომელსაც, როგორც შემდგომ შევიტყვე, საფრანგეთის მთავრობაში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და მაღალი საზოგადოების წრეებში დიდ პატივს სცემდნენ და ანგარიშს უწევდნენ. ელჩთან მიღებას ვლოინიც ესწრებოდა, როგორც ჩვენი კურატორი.

მოქთან შეხვედრისას თვითოეულ ჩვენგანს მისთვის უნდა მოესხენებინა რომელი რესპუბლიკიდან და ქალაქიდან იყო, რა განხრით უნდა ესწავლა, ემუშავა თუ კვალიფიკაცია ავალაგებოდა, რომელ უმაღლეს სასწავლებელში თუ ორგანიზაციაში უნდა ჩაენეროლიყო ან ემუშავა და ა.შ.

ჩემი ჯერი რომ დადგა, ვთქვი ჩემი სახელი, გვარი, მამის სახელი, რესპუბლიკა, ქალაქი, სამუშაო ადგილი და მოკლედ, ერთ წლის სამუშაო გეგმა ვავაყენი, დისკრეტაციაც ვასიხე და სარტრიც, თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის კურსის მოსმენა და სემინარებში მონაწილეობა სიორბონის უნივერსიტეტში.

როცა დავამთავრე, პატარა პაუზის შემდეგ ელჩმა მთხოვა გვემეორებინა ჩემი გვარი. მეც უფრო ხმაშაღლა და გარკვევით ვავიძროვე; მომეჩვენა, რომ უფრო თბილი ხმით მკითხა: «2 месяца тому назад это не Вы принимали madame Cot?». მეც ვუპასუხე, რომ თბილისში რომ ჩამოვიდა თავის უმცროს ქალიშვილთან ერთად, ოთხი დღე მასთან ერთად გვატარებ-მეთქი. სსრკ-ში მოგზაურობის დროს ის რამდენიმე დღით ჩამოვიდა თბილისში. სერგი წულაძის ფრანგი მეუღლე მაღდენი პიერ კოტის მდივანი ყოფილა, სანამ წულაძეების ოჯახი საქართველოში ჩამოვიდოდა.

Mme Cot თურმე სსრკ-ის ელჩთან ვინოგრადოვთან მეგობრობდა და პარიზში დაბრუნების შემდეგ ვინოგრადოვისთვის მოუყვლია თავისი მოგზაურობის შესახებ, უთქვამს, რომ ძალიან მთავოყლიდი იყო საქართველოს გაცნობით და რამდენიმე თბილი სიტყვა უთქვამს ჩემზეც. ვინოგრადოვმა თქვა, რომ Mme Cot была очень довольна своей поездкой в Грузию и очень признательна Вам за теплимый прием, что Вы очень хорошо показали свою Республику.

Я тоже хочу Вам выразить благодарность, что Вы ее так тепло приняли. Она наш друг».

ამის შემდეგ ვლოინმა შეწყვიტა თავისი აგრესიული დამოკიდებულება ჩემ მიმართ, მაგრამ მისგან ოდნავი გალიმე-ბა მხოლოდ ერთხელ დავიმსახურე, როცა სსრკ-ის საელჩოს ერთ მიღებაზე ჩემ მიერ დაბატოებული სიმონ დე ბუზუარი და ჟან პოლ სარტრი გაეყვანა.

ახლაც კიდევ 1959 წელს უნდა დავებრუნე და განემარტო, როგორც გალიზიანდა ბ-ნი ვლოინი, როცა ჩემი ფრანგი ნაცნობების სიაში რემონ კარტიეს სახელსა და გვარს ნა-ანყდა.

* ვლოინის მიერ გაფრთხილებული ვიყავით, რომ როცა ვინმეს უნდა შევხვედროდით, ან ქალაქგარეთ ვასვლა გვინდოდა, ნებართვა მისგან უნდა აგველო.

** madame Cot – ცნობილი ფრანგი პოეტ-ტიტოკოსის, სოციალისტის Pierre Cot-ის მეუღლე იყო: Pierre Cot – დე გოლის მოსვლამდე საფრანგეთის მთავრობის მინისტრი იყო, მისი ინიციატივით სსრკ-ში გაბოდიდა ჟურნალი «В защиту мира».

უკვე ხუთი-ექვსი წელი იქნებოდა, რაც გოქსმა* რევერენტ-თარჯიმნად ემუშავებდა სხვადასხვა დელეგაციასთან, ძირითადად ფრანგულენოვან დელეგაციებთან, მაგრამ იმ ხანებში გოქსის ხაზით საფრანგეთიდან ცოტად დელეგაცია ჩამოდიდა; სამაგიეროდ, ჩვენს საზოგადოებას დახმარებისთვის ხშირად მიმართავდა სხვადასხვა ორგანიზაცია, რომლებსაც თარჯიმანი არ ჰყავდათ. უცხოელ ტურისტულ ჯგუფებს კი ინტურისტი იღებდა.

1959 წლის გაზაფხულზე, აპრილის თუ მაისის თვის ერთ დღეს, გოქსის თავმჯდომარე ბატონმა ვახტანგ ქოჩორაძემ გამომიძახა და მიიხრა, რომ ჟურნალისტთა კამპირის ხაზით საქართველოში ჩამოდიდა მსოფლიოში განთქმული ფრანგი ჟურნალისტი, ძალიან პოპულარული და გავრცელებული ჟურნალის, „Paris-match“-ის ვენერაბული დირექტორი რემონ კარტიე მეუღლესთან ერთად და მას სთხოვეს, რომ გოქსის რომელიმე ფრანგულენოვანი რეფერენტი დახმარებოდა ამ დელეგაციის მიღებაში.

იმ პერიოდში თარჯიმნები ჰყავდა მხოლოდ ინტურისტს, გოქსს კი რეფერენტ-თარჯიმნები, ამიტომ სხვადასხვა დაწესებულება თუ ორგანიზაცია ამ ორ ორგანიზაციას მიმართავდა ხოლმე დახმარებისთვის.

იმაწობას ჩვენთან, საქართველოში, ფრანგულენოვანი პრესა თითქმის არ შემოქონიდა, ინტურისტის კოლსკი იყიდებოდა მხოლოდ ფრანგული კომუნისტური გაზეთი „Humanite“ და დრო და დრო ლეი არაგონის ლიტერატურული გაზეთი „Lettres Francaises“. ამიტომ ჩვენ ძალიან ნაკლებად ვიცნობდით უცხოურ ფრანგულ პრესას და უცხოეთის ამგებთ მცირეოდენ ნაწილს მხოლოდ საბჭოური ჟურნალ-გაზეთები ვცნობდით.

სწორედ იმ დღეს, როცა ფრანგი ჟურნალისტი უნდა ჩამოსულიყო rendez-vous (შეხვედრა) მქონდა ბატონ სერგი წულაძესთან. დავერეკე და გავაერთიხილე, რომ ჩვენი შეხვედრა ვერ შედგებოდა, რადგან ფრანგი ჟურნალისტი, ვინმე რემონ კარტიე ჩამოდიდა საქართველოში და მე დამეველა მასთან შეხება-მეთქი.

თითქმის დღესაც ჩამეცხმის სერგის ვაკვირებელი მეძახილი და ჩემი ფრანს გამეორება: „un certain Cartier“.**

ეგ ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული ჟურნალისტი; ძალიან ცნობილი და გავრცელებული ჟურნალის, „Paris-match“-ის მთავარი რედაქტორი. დიდი პროფესიონალია. ძალიან ქვიანი და უაღრესად განათლებულია, თანაც საოცარი მესხობრების პატრონია. აბსოლუტად ყველაფერი იცის სსრკ-ზე, მის რესპუბლიკებზე, იქნება ეს ეკონომიკა თუ ინდუსტრია, კომმუნურებო თუ მეურნეობა. თანაც სსრკ-ულზე არ უხატება, უფრო სწორი იქნება ვთქვა, არ უყვარს; ისეთ შეკითხვებს მისივანამს, შეიძლება დაიბნე და შუკრი რომ არ გაეხვიო, აჯობებს მასთან არ იმუშაო, ან თუ მინც მოგიხდნება მუშაობა, ძალიან ფრთხილად იყავი, ყოველი სიტყვა ანონ-დანონე, არაფერში გამოეჭიროს“.

ბატონმა სერგიმ იმდენი რამ ჩამოთვალა, ახლა რომ ვთქვა, აღბათ ორი სიტყვით შემოიფარგლებოდა, იტყვოდა, „თავი კომპოუტერი აქვს“. სერგი იმითაც იყო გაოცებული, რომ სსრკ-ის მთავრობამ კარტიეს ნება დართო ჩამოსულიყო 2 თვით, ენება ბებერი რამ, მოველო სსრკ-ის რესპუბლიკები და დიდი ქალაქები.

* გოქსი ГОКС-Грузинское общество культурной связи с заграницей. შემდეგ ეს სახელი შეიცვალა და გახდა ГОДИКС - Грузинское общ-во дружбы и культурной связи с зарубежными странами.

** უნ ცერტიანი ჩარტიერ - ვინმე კარტიე.

ფრანგებთან მუშაობა ძალიან მიყვარდა და მომწონდა, ბევრ ახალს ვიგებდი. ჩემმა ძალიან საყვარელმა დიდიდამ ანა (ანეტა) შერვაშიძე-დიასამიძისამ მშვენიერი ფრანგული იცოდა, მეც მასწავლა და ძალიან შემეყვარა კიდევ.

ფრანგები, როგორც წესი, საინტერესოები და სიმაპათიურიები იყვნენ, კომპლიმენტებსაც არ იშურებდნენ, მაგრამ სერჟი ნულისძის ნათქვამმა დამაიფიქრა.*

მეორე დილას გოქის თავმჯდომარესთან, ბატონ ვახტანგ ქოჩორაძესთან შევედი, სერგის ნათქვამი ვუთხარი და ვთხოვე, იქნებ ვინმე სხვამ იმუშაოს-მეთქი. ბატონმა ვახტანგმა დამამშვიდა, ნურაფრისა შეეგეშინებდა, ჩვეულებრივად იმუშავე, როგორც ყველა სხვა დელეგაციასთან მუშაობო.

არ მისხოვს რატომ არ დავხვდი სტუმრებს აეროდრომზე (როგორც წესი, ის რეფერენტს რომელსაც დელეგაციასთან უნდა ემუშავა, აუცილებლად ხვდებოდა აეროდრომზე).**

მეორე დილას სასტუმრო „თბილისში“ ინტურისტის თანამშრომელმა წარმადგინა - უცხოეთთან მეგობრობის და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თანამშრომელი, რომელიც მათთან იქნებოდა მათი საქართველოში ყოფნისას. პირველი შთაბეჭდილებით კარტიეს მკაცრი გამომეტყველება, მაგრამ ძალიან მეტყველი და ქვეყანური თვალები ჰქონდა. ცოლი კი თავიდანვე ძალიან სიმაპათიური მეჩვენა.

სტუმრებს მომზადებული, სავარაუდო გეგმა გავაცანი და ვკითხე, რამის ხომ არ დაუმატებდნენ ან პირიქით - ამოიღებდნენ. არაფერი შეუცვლიათ, არც მოუთხოვიათ, მხოლოდ Mr. კარტიემ იკითხა, მეცნიერებთან შეხვედრაზე ვინ იქნებაო. სურვილი გამოთქვა შეხვედროდა იურისტებს და ეკონომისტებს და ესაუბრა მათთან. შეთავაზებული 4-დღიანი გეგმა მიიწინა.

დილის საუზმის მერე, დღე ქალაქის დათვალიერებით დაიწყო. სასტუმროდან რომ გამოვედით, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და იქვე ბალის შესასვლელთან ბ-ნი ვახტანგ ბერიძე შემოგვხვდა, პორტფელით ხელში, რომელიც ეტყობა სამსახურში, ხელოვნების ინსტიტუტში მიდიოდა.

ბ-ნი ვახტანგი ძალიან ხშირად დაგვხმარებია ფრანგე-

ბის სტუმრობისას. მშვენიერი ფრანგული იცოდა და თავისი დარგის დიდი მცოდნე და ძალიან საინტერესო მთხრობელი იყო. ეს საინტერესო შეხვედრა ქუჩაში დილით სტუმრებისთვის მოულოდნელად და სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ბ-ნი ვახტანგი სტუმრებს წარუდგინა; მათ ცოტა ხანს ისაუბრეს და მე მორიდებით ვკითხებ ბ-ნი ვახტანგს, ხომ არ ეცალა, რომ ქალაქი სტუმრებთან ერთად დაგვეთვალიერებინა. აღმოჩნდა, რომ ლექციაზე მიდიოდა სამხატვრო აკადემიაში, სამაგვიროდ შეგვიპირდა, რომ მეორე დღეს თავისუფალი იყო და თუ მცხეთაში ვაპირებდით წასვლას, სიამოვნებით გავვიძლივებოდა. ამან ძალიან გამახალსა, რადგან ბატონი ვახტანგის საინტერესო თხრობით და მშვენიერი ფრანგული სტუმრები მოხიბული რჩებოდნენ და მეც ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მომიხმენია მისთვის.

ბ-ნი ვახტანგთან სასიამოვნო საუბარის შემდეგ ქალაქის დათვალიერება დაიწყო. მანქანით გავედიტე მეტეხის ცოხესთან, საიდანაც მშვენიერი ხედი მოჩანს და იქიდან ფეხით მოვიარეთ აბანოთუბანი, გააჩრდილეთ ანისხატთან, მერე სიონთან, რომლის შესასვლელთან ბევრი მათხოვარი იდგა, როგორც ყოველთვის. კარტიემ ფოტოაპარატი მოიმარჯვა და რამდენიმე ხანი გადასაღებად ემზადებოდა. უცებ მომიხილავდა და დიდხანს გალიზიანებული ტონით მითხრა: „გადაღება რატომ არ მიშლით?“. „აკვირებულმა ვკითხე: „რატომ უნდა დაგიშლით?“ - „იმიტომ, რომ მათხოვრების გადაღება მინდა“. მე ვუპასუხე, რომ ეკლესიის წინ მათხოვრები ყოველთვის დგანან, ხან მეტნი არიან, ხანაც - ნაკლები“. გაოცებულმა დაკვირვებით შემომხედა და მკითხა, „მე ხომ საბჭოთა კავშირში ვარ?“ ცოტა დავიბნე და შეკითხვა გავამეორებინე. მერე კი ვუპასუხე: „დაიბ, სსრკ-ის ერთ-ერთ რესპუბლიკაში, საქართველოში ბრძანდებით მეთქი“. კიდევ რაღაც ნაიბუზუნა, მერე კი გარკვევით თქვა: „არ ვიცი, სხვაგან როცა ვიღებდი, ხან ვივლიც ხელს აფარებდა იმიტეტებს, ხან ვივლიც წინ დამიდგებოდა ხოლმე“ და სურათების გადაღება განაგრძო.*

ძველ უბანში რამდენჯერმე მანქანა გააჩრებინა და შემორჩენილი ძველი შენობები მტკერის ზემოთ (რაც ესპანეთის რომელიღაც ქალაქის უბანს მიაგმავს), მეტეხის ციხე და ქრელი აბანოებიც გადაიღო. გოგირდის აბანოში შესვლის ნებაც ითხოვა და სურვილიც გამოთქვა, თუ დრო დაგვ-

* გარეგნობითაც მშვენიერი იყო.

** ალბათ იმიტომ არ დავხვდი, რომ გოქის ხაზით კი არ ჩამოდიოდა, არამედ ფურნალისტია კავშირის ხაზით.

* უნდა აღენიშნო, რომ საქართველოს შესახებ დანერლი სტატიაში, კარტიეს მათხოვრების არც ერთი ფოტო არ გამოუქვეყნებია.



რჩება დომესაფით გოგორდის წყლების აბანოსაც გავსინჯავდით. იქაც რამდენიმე ფოტო გადავიღო.

ქალაქის დათვალიერების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ჩუბინაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი. იქაც მშვენიერი ფრანგული გაუძღვა დათვალიერებას ბინი ლალი ჯავახიშვილი.

ქალბატონმა კარტიმ აღნიშნა, რომ ასეთი გემოვნებით და ასეთ მალღ დონეზე მონყობილი გამოყენა მხოლოდ ქაიროში მინახავსო. ბ-მა კარტიმ კი აღნიშნა: „ამ ბოლო დროს ყველგან ინგლისური ენა ჭარბობს, აქ, საქართველოში კი ისე მეჩვენება, რომ ფრანგული ყველამ იცის: სადაც კი ვიყავი, ფრანგული ყველგან კარგად იცინა“.

საუზმის შემდეგ ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმი დათვალიერეთ; გიდის გვიარ აღარ მახსოვს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ დათვალიერება ფრანგულად ჩატარა და ძალიან კვალიფიციურად.

დღის მეორე ნახევარში გოქისაშვილის მუზეუმში შეხვედრა განმარტა ორისიტბთან და ეკონომისტბთან. ამ შეხვედრის დეტალბი არ მახსოვს, რადგან საუბარს თარჯიმნობა და მსოკვიდნ დაგმოყლილი ორისიტბი, რომელმაც ფრანგული იცოდა. როგორც მომეჩენა, საუბარი საინტერესოდ წარმინართა. გაცხივლელები კამათი იყო, რადგან კარტი ძალიან აკრიტიკებდა ასრკუის ეკონომიკას და მწვავედ და უშელავათოდ აკრიტიკებდა იმას, რომ ასრკუ-ში პიროვნება თავისუფალი არ იყო.

ინივესტორბს სტუმრები ლადო გუდიაშვილს ეწვიენენ. ბ-ნ ლადოს ყოველთვის სიაშოვნება ფრანგების მილებს, რადგან საფრანგებში გატარებული ახალგაზრდობის წლებს იგონებდა და ფრანგულიც ასხივდა, როგორც სტუმრებმა თქვეს, მათ ძალიან მოეწონათ ხელოვნბი, მისი ნამუშევრები და ის ატმოსფერო, რომელიც მის სახელოსნოში სუფევდა.

მესამე დღეს, დილით, სასტუმროს ვესტიბიულში რომ უცდელი, მათ დაავიანდათ და როცა ჩამოვიდნენ, რემონ კარტიმ ბოდიში მოიხადა დაგვიანების გამო, ქ-მა კარტიმ კი აღფრთოვანებული ხმით მითხრა: „ამჯერად დავვიანება გვეპატიება, რადგან გუშინ საღამოს, ვახშობის ბოლოს, შემთხვევით საოცარ კონცერტს შევესწართ და სანამ არ გაათავდა, ადგილიდან ვერ დავიხარით და დასაძინებლად გვიან ავიღეთ“.

წინა საღამოს 9სთ-ზე თუ 9.30 წუთზე მივაცილე სასტუმრომდე და გამიკვირდა, საღამოს 10-ზე უკონცერტი უნდა მოესმინათ.

როგორც ქალბატონმა კარტიმ მითხრა - საღამოს ცხრა საათზე თუ 9.30 წუთზე რესტორანში რომ ჩასულან სავახშმოდ, დარბაზში უკვე ცოტა ხალხი ყოფილა. მაგრამ მათ გვერდით გრძელ მაგიდასთან*:

„სუფრასთან ორიოდე მამაკაცი ზის, მაგიდაზე 40 დაცული ბოლია. კიდევ და კიდევ ბოთლები მოსეს სინი, რომლის სიმძიმე არ იგრძობა, ისე მსუბუქად მოაქვს ოგიციანტს. საორცად ამაღლებული, ემფატიკურ ტონალბანა ნათქვამი სადღეგრძელები. სუფრასთან სრული ურთიერთგაება და დისკომინა. სუფრის წინამძღოლი - თამადა, რომელიც სუფრის თავშია რიგრიგობით წარმოადგენს მაგიდასთან მსხდომთ, რიგ-რიგად ადღეგრძელებს მათ, შემდეგ სიტყვას აძლევს თითოეულს, უსმენს მათ ნათქვამს და მაღლობას უხდის ორატორებს: ლვინით სავსე ბოთლები კი უხვად მოედინება; სუფრასთან მჯდომ არცერთ მამაკაცს ლვინის მცერე კვლიც კი არ ახივია, არც თვალბი აქვთ ამღვრული, არც ენა ებნით - სიმეფრალბისათვის დამახასიათებელი არავითარი ვულგარულობა არ ეტყობათ.

მათმა ჩამუშოლბამ შეიძლება გაფიქრებინოს სოცია-

ლური შეგნების განსხვავებულობაზე: კისრთან შეკრული შავი ფეხმობისანული ტანსაცმელი; არწინისებური ცხვირის მქონე თამადა შეიძლება იყოს ან ყოფილიყო მალალი წოდების მატარებელი, დანარჩენები უფრო დაბალი საფეხურის წარმომადგენლები იყვნენ; იქნებ ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა ადმინისტრაციის წარმომადგენელია.

...გამხდარი, ნაგრძელებული სახეები, კუპრივით შავი თმები, რუსებისაგან ისეთივე განსხვავებულნი, როგორც ანდალუზიანი, თმების ფერიტ განსხვავებებიან შეგებისაგან, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოყვება, ასევე ლვინით სავსე სასმისები სასმისებს ცვლიან და სრულიად მოულოდნელად სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ერთი მამაკაცი სიმღერას იწყებს, მას ორი მამაკაცი აყვება და მაგიდასთან მჯდომი ყველა მამაკაცი პირმოკუთვლილ ზანს აძლევს. გიჟისმის ნამდვილი ორღანის მთების მწვერვლებს და უფსკრულების სიღრმეებიდან გვამცნობენ მრავალტანჯული ერის ისტორიას.

ეს ის ხალხია, რომელიც იცინის, როცა ლაპარაკობს და ტირის, როცა ის მღერის.

ეს ხალხი ქართველები არიან.

რაც აღვწერე, ეს მოხდა ქალაქ თბილისში, სასტუმრო „თბილისში“ რესტორანში. ჩვენ ის სპეციალურად არ აგვიჩრჩევიდა და არც მოგვიძებნია. ჩვენ იმ დღეს უკრანინდან თბილისში (ყოფილი ტფილისი) ჩავფრინდით. ეს იყო ჩვენი პირველი კავკასიური ვახშამი, დაუწინყარი საღამო“.

გამოქვეყნებულ წერილებში საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მსგავსებების, ერთფეროვნებებისა და ერთნაირობის აღწერის შემდეგ, საქართველოს შესახებ კარტი თხრობას შემდეგი სიტყვებით იწყებს: „თუმცა განსხვავებულობა, თავისთავადობა, ორიგინალობა მაინც არსებობს. რუსეთიდან ტიფლისში ჩასვლისას მხოლოდ იმ ფაქტმა, რომ საბაჟო არ არსებობდა, მაფიქრებინა და მაგრძობინა, რომ ისევე იქვეყანაში - სსრკ-ში ვიყავი, რადგან სრულიად განსხვავებულ ქვეყანაში, სრულიად სხვა ატმოსფეროში მოვხვდი. იქ ყველაფერი მოძრაობს, ცოცხლობს და ხალხობს“.

„თბილისის ქუჩებში ვერ ნახავთ მოსკოვის ან კიევის თავდაზრდი, ცხვირჩამოშვებულ ფეხით მოსიარულეებს. მათ დახშულ, მძიმე ჩურჩულს არ ჰგავს თბილისის ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა ლალი, გახსნილი, მალღ ტონებში უხუბარი, ქალიშვილები კოხტიბი არიან და ლამაზი თვალბი აქვთ. ვაუბტი მოქნილობით, სიმკვირცხლით, სიცოცხლით და ოდნავ გამოშვევი მშერიტ გამოიჩრჩევიან.

შესაძლოა ეს აისხნას გეოგრაფიული მდებარეობით და განედით, მაგრამ მწელი ასახსნელია ქუჩების საოცარი სიცოცხლისუნარიანობა. თვალშისაცემია გამკვლელების ელევანტურობა და ჩატყულობა, მანქანების სიმრავლე; თბილისში იგრძნობა კაცობილეობა, თბილისი ასხივებს თავისუფლებას. თბილისში ნაგრძნობი ეს შთაბეჭდილება არ ქრება იმით, რისი ნახვაც მე შევედი საქართველოში. კოლმეურნებები არ არის ისე უაზღვრველი ადგილები, როგორც მე უკრანინში ვიხილე“. პირველივე დღეს, როცა გვემას ვაცნობდით რემონ კარტიეს და ვახსენებდით რისი

* მოგვყავს რემონ კარტიეს წერილის ერთი ნაწყვეტი.

* როგორც შემდეგ დიღებში დავახუსტე, მომღერალი მამაკაცი კახეთის სიმღერის ანსამბლის წევრები ყოფილან, რომლებიც თბილისში გამართულ ფესტივალში იღებდნენ მონაწილეობას.

ნახვა სურდა კიდევ, კარტიემ კოლმეურნეობის ან მეურნეობის დათვალიერების სურვილი გამოთქვა. ერთი, ბოლო დღე დავიტოვეთ და სოფელ მეჯვრისხევში გავემგზავრეთ, რომელსაც კარგი კოლმეურნეობა ჰქონდა და თავმჯდომარეც საკმაოდ ცნობილი და ნარმატივული ჰყავდა.

გაზში კარტიემ წინა დღეებში დათვალიერებული მცხეთა იცინა და რიცა შორიდან, მაღლა ჯვრის მონასტერი დაინახა, აღტაცებით წარმოთქვა: "კიდევ ერთხელ დიდ ესთეტურ სიაშობებას ვიღებ ბუნებისა და უძველესი ძეგლის ასეთი საოცარი შერწყმის ხილვით" და დაუმატა: "შესანიშნავი შესაძლებლობა მომეცა თვალი მომეგლო ქვეყნის ერთი მხარისათვის. მხელი არ იყო ნარმოქმდგინა, როგორი სანტერესო ისტორია უნდა ჰქონოდა საქართველოს".

მეჯვრისხევში ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მივიღო. კოლორიტული ფიგურა იყო, დამაჯერებელი ტონით საუბრობდა თავისი კოლმეურნეობის შესახებ და ეტყობოდა, ენაყებოდა მისი მიღწევები.

თავმჯდომარესთან საკმაოდ ხანგრძლივი საუბარისა და ბევრი კითხვა-პასუხის შემდეგ, კარტიემ რომელიმე კოლმეურნესთან შეხვედრა და მასთან საუბარი მოინდომა. როგორც წესი, კოლმეურნის ოჯახის წინასწარ იყო ხოლმე გაფრთხილებული თავმჯდომარის მიერ, რომ უცხოელ სტუმარს მიუყვანდნენ. არ მახსოვს ამ დღეს ასე იყო თუ არა, მაგრამ კარტიე იმის ჩიტი არ იყო, რომ მდიდრულ ორსართულიან სახლში შესულიყო, სადაც შეიპატიჟებდნენ; ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, რომ თავმჯდომარეს აქაც გაფრთხილებული უნდა მყოლოდა ერთ-ერთი შეძლებული კოლმეურნე, რომელსაც ორსართულიანი კარგი სახლი ჰქონდა. როცა თავმჯდომარემ სტუმარს შესთავაზა ამ ოჯახს ვესტუმროთო, კარტიემ ძალიან ზრდილობიანად სთხოვა, თუ საინააღმდეგო არაფერი გექნება, სახლს მე თვითონ ავირჩევო, და მართლაც, სოფლის რამდენიმე ვინ-ტი ქუჩა რომ გავიკრეთო, რომელზეც ძალიან კარგი, მდიდრული შესახედარობის ორსართულიანი და დიდიანებანიანი სახლებიც იდგა და ერთსართულიანები და შეუხედავებიც, კარტიე წესიერად მოიქცა: მან აირჩია საშუალო შესახედარობის ერთსართულიანი სახლი, რომლის მიწის აივანზე ქართული ხალიჩებით დაფარული ორი ხის ტახტი იდგა და ერთზე საჩირედ გამზადებული დაჭრილი ხილი იყო გაშლილი ფიცარზე.

დავაკაუნე და კარი რომ შევეღე, მაგიდასთან ორი მამაკაცი იჯდა. მივესალმე მათ და ვკითხე, სტუმრებს ხომ არ

მიიღებდნენ. ვერც მოვასწარი იმის თქმა, უცხოელები ფრანგები არიან-მთქი, რომ ჩემთვის მოსალოდნელი პასუხი გაისმა:

- "მოობრძანდით, სტუმარი ღვთისაა".

შევედით, წარუვღებინე სტუმრები და ჩამოეთვალე კარტიეს ყველა რეგალია: მსოფლიოში განთქმული ფრანგი შურნალოსტი, ცნობილი შურნალის მთავარი რედაქტორი და მისი მუშაობა ქ-ნი კარტიე. სახლის პატრონი ოდნავ წამოინია და გაიმორცა: "მოობრძანდით, სტუმარი ღვთისაა" და დაუმატა - "ვინც გინდა ის იყოს". მერე ცოლს მიმართა - "ქათამი ცოტა დაუჭარე".

მე ყველაფერს ვუთარგმნიდი ცოლ-ქმარს. კარტიემ ამ სიტყვებზე გაიღიმა და თქვა: "რა თბილი მიღება და კარგი, ბრძნული სიტყვებია".

კვირა დღე იყო. როგორც სახლის პატრონმა ვკითხრა, მისი სტუმარი კახეთიდან ჩამოსული მეგობარი იყო, მან ახლად მოსულები დალოცა, მათი სადღეგრძელო დალია, როგორც "შემოსწრებულების".*

კარტიე ძალიან ემყოფილი დარჩა მიღებით, გაცივდა, ცოლს რომ უთხრა: "ხედავ, აქ და ყველგან რა ჩვეულებრივად და რა თავისუფლად იქცევიან".

წერილს რემენ კარტიეს სიტყვებით დავამთავრებ:

"1917 წლის რევოლუციის შემდეგ საქართველო სამი წელი დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. შემდგომაც, როცა რუსეთმა დაიმონა, ის აჯანყდა, მაგრამ უშედეგოდ, თუმცა მეორე მსოფლიო ომის დროს, მან საბჭოთა კავშირის მიმართ ერთგულება გამოიჩინა თათრებისა და ბაშკირების განსხვავებით, რომელთა სიძულელია მწაგრებლების მიმართ იფეთქა, როცა გერმანელები კავკასიას მიუახლოვდნენ.

შემდგომაც, თუნდაც 1956 წლის ამბოხით საქართველოს ლტოლვა თავისუფლებისადმი არ შეწყვეტილა.

თავისუფლება ქართველებს ძლიერად აქვთ სისხლში გამჯდარი და ეს ყველაფერში ჩანს და ყველაფერში იგრძნობა".

2014, 21 ივნისი

* ახსნაც მომიხდა, რას ნიშნავდა „შემოსწრებული“, ეს წესიც ძალიან მოეწონა სტუმარს.




ფოტოშია გოზა კარამელიძის არქივიდან

პრილის ივლისის რჩევლები

ბუკა მორჩილაძე, ჩრდილო გზაზე,
ბაკურ სულაკაური გამომცემლობა,
თბ. 2014.



ირაკლი მეფე ჩარკვანი, მშვიდი ტურნე,
გამომცემლობა ინტელექტი, თბ. 2014.



აბო იაშვალაძე, ოსმალური მარში,
გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2014.




ორჰან ფამუქი, სხვა ფერები,
ხათუნა ბასილაშვილის თარგმანი,
გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2014.



ქალაქ თბილისის თვითმმართველობა,
მაკა კეარაძეძელი,
გამომცემლობა არტანუჯი, თბ. 2014.



სალმან რუშდი, ფლორენციელი
ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა,
თბ. 2014.



ბ.გ. ულდაუსი, ეგრე ვაგბრძელე, ჯოგ ბი,
გია ჭუმბურიძის თარგმანი,
გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2014.



უან ჟიონო, ჭუსარი სახურაგზე,
თამარ კაპაბაძის თარგმანი,
ულვის გამომცემლობა 2014.




ბრილის ივლისის რჩეულები

ბაბრიელ გარსია მარკესი, პაფა პლაფე, თამარ სულაკაურიის გამომცემლობა, თბ. 2014.




კუდი ალენი, თანამდევ მოვლენები, გაიჭუმბურიძის თრგმანი, გამომცემლობა დიოგენე, თბ. 2014.



ბაბრიელ გარსია მარკესი, პოლკოვნიკს არავინ სწერს, გეგასალიას თრგმანი, ესპანურიდან, გამომცემლობა ინტელექტი, თბ. 2014.



ფრანსუა ვიოინი, მეტირ ანდერძი, დიდი ანდერძი, ლირიკა, დავით ნერსედიანის თრგმანი, ფრანგულიდან, ბაკურ სულაკაურიის გამომცემლობა, თბ. 2014.



კატსტროფაში მოხვედრილი კარკესი, საზღვაო ანუ ათი დღე ზვიგუნების პორისპირ, გეგასალიას თრგმანი, ესპანურიდან, გამომცემლობა ინტელექტი, თბ. 2014.



ბაბრიელ გარსია მარკესი, თამარ სულაკაურიის გამომცემლობა, თბ. 2014.



როლან ბარტი, S/Z, ნიჩო გაგომუშვილის თრგმანი, ფრანგულიდან, გამომცემლობა Seuil, თბ. 2014.



რამაზ შენგელა, სკართველის სპორტულ უურნალობათა ასოციაციის გამომცემი, თბ. 2014.



პა პაიქაძე უფიციური თქვანი რაქაბა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

26/67

